

ISSN 2346-8416

# აქცენტანი

სამედიცინო ჟურნალი

გამოცემის სამ თვეში ერთხელ

2

აპრილი – მაისი – ივნისი

თბილისი

2017

„არმანი – შორით მოსულისაგან მოღებული  
მის თემის ძღვენი“ (საბა).

ჟურნალი დაარსებულია 2016 წელს

მაგალი თოდუას

მიერ

რედაქტორი

მზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი

ნანა ჯანაშია

დამკაბადონებელი

ნანა ყანდაშვილი

მომკაზმველი

ირაკლი უშვერიძე

## რედაქციის წინათქმა

ჩვენი ჟურნალის წინამდებარე ნომერი თბილისში 2017 წლის მაისის ბოლოს (29 მაისი – 3 ივნისი) გამართული მესამე საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის აღმოსავლელ სტუმრებს ეძღვნება.

აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩვენს ლიტერატურულ ფესტივალზე რამდენიმე მწერალია მოწვეული. ესენი გახლავთ: ირანელი გოლი თარაყი, ლიბიელი იბრაჰიმ ალ-ქუნი, თურქი თოზან ალქანი, აზერბაიჯანელი ალი აქბარი, ბანგლადეშელი ანისურ რაჰმანი, სომეხი გევორგ გილანცი, ისრაელელი დითი რონენი და ამირ ორი.

ჟურნალის წინამდებარე ნომერში ქართველი მკითხველისთვის უკვე კარგად ნაცნობ ორ მწერალს – გოლი თარაყის და იბრაჰიმ ალ-ქუნის წარმოგიდგინებთ.

გასულ წლებში ამ მწერლების არაერთი მოთხრობა, მოთხრობების კრებული თუ რომანი გამოქვეყნდა ქართულად და მკითხველის დიდი ინტერესი და სიყვარული დაიმსახურა.

დღევანდელ ნომერში ამ ორი მწერლის ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან დაკავშირებული მასალა თავმოყრილი.

იბრაჰიმ ალ-ქუნი, ძირითადად ნაწარმოებების თარგმანებით და ინტერვიუებითაა წარმოდგენილი.

გოლი თარაყის განსხვავებული

კუთხით წარმოვაჩინებთ. აქაა მწერლის ქართული ბიბლიოგრაფია, წლების წინ საქართველოში მისი ყოფნისას წაკითხული ლექციის აუდიოჩანაწერის თარგმანი, ინტერვიუები... ნაწარმოებების თარგმანები ჟურნალში არ შევიტანეთ, რადგან სწორედ ამ დღეებში „დიოგენემ“ წიგნად გამოსცა მწერლის ბოლო კრებულებში შესული მოთხრობების ქართული თარგმანები (გოლი თარაყი, „არჩევანი“, სპარსულიდან თარგმნეს მ. ბურჯანაძემ და თ. შურღაიამ, თბილისი, „დიოგენე“, 2017).

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ჟურნალთან ახალგაზრდა თაობის თანამშრომლობის შესახებ. წინამდებარე ნომერში შევიდა ალ-ქუნის ნაწარმოებების ინგლისელი მთარგმნელის ესეის ანა ოთხოზორიასეული თარგმანი, ამავე მწერლის სატელევიზიო გამოსვლის თარგმანი, შესრულებული ლია ლონდარიძის მიერ. ასევე, ანი ლაზვიაშვილის წერილი გოლი თარაყის შესახებ და გოლი თარაყისთვის ბითას პრემიის მინიჭების ცერემონიალის აუდიოჩანაწერი, რომელიც თსუ ყოფილმა სტუდენტმა, ამჟამად დოქტორანტმა ნათია დუნდუამ თარგმნა.

დაბოლოს, გვსურს, განსაკუთრებული მადლობა ვუთხრათ ქალბატონებს – თეა შურღაიასა და დარეჯან გარდავაძეს, რომლებიც, რედაქციასთან ერთად, უშურველად დაიხარჯნენ,

რათა ჟურნალის სპეციალურ ნომერს ის სახე მიეღო, რომელსაც დღეს მკითხველის წინაშე წარმოვადგენთ.

„არმაღანის“ რედაქცია მოხარულია, რომ შესაძლებლობა ეძლევა, მიე-

საღმოს და სიყვარული და პატივისცემა გამოხატოს სასურველი სტუმრების მიმართ. ასევე, იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი მკითხველები ბევრ საინტერესოს იპოვიან ჟურნალის ფურცლებზე.

**„არმაღანის“ რედაქცია.**



გოლი თარაყი





# აბას მილანის სიტყვა, წარმოთქმული გოლი თარაყის ბითას პრემიით დაჯილდოების ცერემონიაზე

სტენფორდის უნივერსიტეტში 2009 წლის 29 ნოემბერს

ბითას პრემიის დაფუძნების მიზანი იყო, ყოველწლიურად გამოეველინა განსაკუთრებული ნიჭისა და მიღწევების შემოქმედი, ვინც წინა წლის ან მთელი ცხოვრების მანძილზე გამორჩეული წვლილი შეიტანა სპარსული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

ჩვენი პირველი პრემია ერგო სიმინ ბეჰბაჰანის, მარტივად რომ ვთქვათ, დღევანდელი ირანის ყველაზე ღვანლმოსილ და გამოჩენილ პოეტს. ჩვენ ვიცოდით, რომ მსგავსი სტატუსის მქონე შემოქმედის პოვნა პოეზიისა თუ პროზის სფეროში არ იქნებოდა იოლი საქმე. როდესაც მე ვამბობ „ჩვენ“, უნდა დავაზუსტო, რომ მთელი წლის განმავლობაში ვიღებ რეკომენდაციებს მეგობრებისგან, კოლეგებისგან და უცნობებისგანაც კი მომავალი წლის საუკეთესო კანდიდატის შესახებ. ვადგენ, სულ მცირე, სამწევრიან კომისიას, რომლის ერთ-ერთი წევრი ირანიდანაა და მსჯელობის შედეგად ვავლენთ ყოველი წლის გამარჯვებულს.

მრავალი წლის განმავლობაში გოლი თარაყი იყო სპარსული ლიტერატურის შეუპოვარი და, ამავე დროს, ჩუმი, მტკიცე და, ამავედროულად, თავმდაბალი წარმომადგენელი. მისი პროზა, ვფიქრობ, მისივე ესთეტიკური პიროვნული ძალის საუკეთესო მეტაფორას წარმოადგენს – არის ელეგანტურად სადა და სატირული. დაჰკრავს პოეზიის ელფერი და ჩეხოვისეული ნოველის

სიმკვეთრე. წლების მანძილზე გოლი თარაყი, ასევე, იკვლევდა კარლ გუსტავ იუნგის შეხედულებებს ლიტერატურასა და ქვეცნობიერზე, ანიმასა და ანიმუსზე, კოსმიურ როლზე ყოველდღიურ ცხოვრებაში. წიგნი „ყოფიერების დიდი ქალბატონი“ მისი დასკვნების შეჯამებას წარმოადგენს იუნგისეულ შეხედულებებზე. ასევე, ფორუყ ფაროხზადის პოეზიის გასაოცარ რეკონსტრუქციას, გატარებულს ანიმასა და ანიმუსს, მიზეზსა და ზემოთაგონებას, შინაგან „მე“-სა და პერსონას შორის კოსმიური ბრძოლის პრიზმაში. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ფორუყ ფაროხზადმა გააბედვინა ახალგაზრდა, მორიდებულ, ამერიკიდან ახლად დაბრუნებულ გოლი თარაყის, ქალაქზე გადაეტანა ის არაჩვეულებრივი ისტორიები, რომლებსაც ასე ოსტატურად ყვებოდა. ქალბატონი თარაყი, მსჯელობს ყოფიერების მითიური დედის ადგილზე ადამიანის ცნობიერებაში თუ წერს მამამისზე – უძრავი ქონებისა და საგამომცემლო საქმის მაგნატზე – როგორც თვითონ უწოდებს, ირანელ მოქალაქე კეინზე; აღწერს თავის სევდიან და სატირულად აბსურდულ ყოფას ისლამურ ირანში თუ სეკულარულ საფრანგეთში, მუდამ გასაოცრად ხალას გულწრფელობას ანიჭებს სათქმელს და ადამიანური სიტუაციების ტრაგიკომიკურობის ღრმა ცოდნას ავლენს.

გოლი თარაყის ნაწერებში კომი-

კური და სევდიანი განუყოფელია, ადამიანური სისუსტეები ჰუმანისტური პოზიციიდანაა დანახული, რაც კარგად არის გამოხატული არა მარტო მისი პერსონაჟების ქმედებებში, არამედ თავად ავტორის პიროვნებაშიც. ყველაფერი, რასაც ის აღწერს – ცხოვრებისეული ფაქტები თუ გონებაში წარმოსახული ამბები, წარსულის მითები თუ ყოველდღიური რეალობა – სპარსული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციისთვის დამახასიათებელ თხრობის მანერას შეესაბამება – მარტივს და დახვეწილს, ადვილად მოსაწონს და ძნელად მისაწვდომს.

აღსანიშნავია, რომ გოლი თარაყის ნაწერების შესაშური სისადავის მიუხედავად, მათ კარგ თარგმანებს ძნელად იპოვი. ამის გამოა, რომ მას ცუდად იცნობს ინგლისურენოვანი საზოგადოება. იშვიათია ირანელი მწერალი, რომელმაც თავად განიცადა დიასპორის ცხოვრებისეული სიმძიმეები და ეს ყველაფერი ასეთი სულისშემძვრელი სიტბოთი, დიდი ცოდნითა და ესთეტიკური სიფაქიზით გამოხატა. ის საგანს გარეშე პირის მიუკერძოებელი, სატირული და მკაცრი გულწრფელობით და, ამავდროულად, შინაურის ცოდნით, შემოქმედებითი ხედვითა და თანაგრძნობით უდგება. ასევე, მუდმივად გვახსენებს, თურა როლს ასრულებს კოსმიური და შეუცნობელი ყოველდღიური ცხოვრების თუნდაც ყველაზე მარტივ საკითხებში.

კრიტიკოსები ამბობენ, რომ ყველა ნაწარმოები ავტობიოგრაფიულია, მაგრამ გოლი თარაყის ტექსტებში ფაქტსა და ფიქციას, სინამდვილესა და გამონაგონს შორის საზღვრები შეუმჩნეველია. ბევრი მისი ნოველა და მოთხრობა ჰიბრიდულია და წარმოადგენს ჟანრს, სახელად *faction* – ნამდვილი რეალობის ფიქციად გარდაქმნას. ამავე დროს, მის ყველა ნაწარმოებში უცვლელად მთავარია ქალი-დედა, ერთდროულად – საზოგადოც და სპარსელიც. საზოგადო – თავისი ესთეტიკური აღქმითა და კოსმოპოლიტიზმით, სპარსელი – თავისი ცოდნითა და ლოკალური გამოცდილებით. მისი ქალური რაკურსი, თუნდაც მისი ფემინიზმი, იდეოლოგიურ ან თეორიულ აბსტრაქციებში კი არ არის ფესვგადგმული, არამედ მოქცეულია საკუთარი არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი ცხოვრების კონტურებში – ემოციური და ფინანსური კეთილდღეობიდან და „სახლის“ პოლიტიკური ავტორიტარიზმიდან დაწყებული, ემიგრაციის სიძნელეებითა და მარტოობით დამთავრებული.

მან ბევრი განსაცდელი გადაიტანა, მაგრამ არასდროს უთქვამს უარი ცხოვრების მხიარულ ზეიმზე, ჯადოსნურ სასწაულებზე, ირონიასა და სატირაზე. სწორედ ამ ღვანლის აღიარებაა, რომ დღეს გვაქვს პატივი, ბითას რიგით მეორე პრემია „სპარსული ლიტერატურისა და თავისუფლებისთვის“ გადაცემით გოლი თარაყის.

ინგლისურიდან თარგმნა  
ნათია დუნდუამ.

## 2005 წლის 23 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბანიმართა შეხვედრა გოლი თარაყისთან

მკითხველს მცირედი შემოკლებით ვთავაზობთ გოლი თარაყის გამოსვლის  
ტექსტს

ქალბატონებო და ბატონებო,

მოგესალმებით და მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის. მინდა, მადლობა ვუთხრა მთარგმნელებსა და გამომცემელს, რომელთაც მოამზადეს და გამოსცეს ჩემი წიგნი.

დღევანდელი შეხვედრის თემად თანამედროვე ირანული ლიტერატურა შეურჩევიათ. არ მინდა, მკვლევარივით ან ლიტერატურის ისტორიკოსივით ვილაპარაკო. ასეთი ცოდნა არც გამაჩნია. მე მწერალი ვარ, მხოლოდ თხრობა მეხერხება. მაგრამ ჩემი თხრობა ყოველთვის დაკავშირებულია იმ თემასთან, რომელზეც აზრის გამოთქმას მთხოვენ. ამიტომაც ნუ მოეღიბა, რომ გითხრათ: „ირანის ლიტერატურის ისტორია იწყება ათასრომელიდაც წელს ამა და ამ ავტორით და ა.შ.“ ასე არ არის. თანამედროვე ირანული ლიტერატურა რამდენიმე სახის გახლავთ, იგი რამდენიმე განსხვავებული ფორმით გვევლინება და მე შემოძლია, მხოლოდ ამ პერიოდებსა და ამ ფორმებზე მივითითოთ. ასეთ დროს, პირველ რიგში, ყოველთვის სადეყ ჰედაიათს ვასახელებ – მწერალს, რომელიც ქრონოლოგიურად პირველი არ ყოფილა, მაგრამ მნიშვნელობით უპირველესი თანამედროვე ავტორია. სადეყ ჰედაიათმა უამრავი ნაწარმოები შექმნა, მაგრამ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი, რომელიც, ჩემი აზრით, მარადის დარჩება, არის მისი

ცნობილი „ბრმა ბუ“.

მოგეხსენებათ, ყველა ქვეყნის ლიტერატურის ისტორიაში ძალიან ბევრი, ურიცხვი მწერალი ჩნდება, მაგრამ მათი დიდი ნაწილი მალევე ავინწყდებათ ხოლმე, მხოლოდ ერთი ან ორი რჩება სამარადჟამოდ. დრო საუკეთესო კრიტიკოსია. დროის გამოცდას ისეთი ნაწარმოებები უძლებს, როგორებიცაა შექსპირის თხზულებები, მისი „ჰამლეტი“ ან, მაგალითად, ბერძნული ტრაგედიები. ბერძნულ ტრაგედიებს რომ კითხულობ, დღესაც თანამედროვედ ჟღერს. თითქოს ჩვენთან ახლოსაა, დღევანდელ ჩვენს პრობლემებზეა საუბარი. ამიტომაც სადეყ ჰედაიათის „ბრმა ბუს“ – შესაძლოა, მის მხოლოდ ამ ნაწარმოებს, ფორუყ ფაროხზადისა და სოჰრაბ სეფეჰრის ლექსებს – აი, ამათ ვუნოდებ „თანამედროვე ლიტერატურას“. ასი წლის შემდეგაც სწორედ მათ მოიხსენიებენ, როგორც თანამედროვე ლიტერატურას. რადგანაც მათ ნაწარმოებებში დასმული პრობლემები ერთი რომელიმე საზოგადოებისა თუ რომელიმე ისტორიული ეპოქის პრობლემები კი არ არის, არამედ ადამიანის პრობლემებია. და აი, შედეგიც: დღეს მე ერთ წიგნს ვწერ – ფორუყ ფაროხზადის პოეზიას კარლ-გუსტავ იუნგის ანალიტიკური ფსიქოლოგიის თვალთახედვით განვი-

ხილავ და ვაანალიზებ<sup>1</sup>. სამმა მეცნიერ-მა გამოსცა გამოკვლევა სადეყ ჰედაიათზე, რომელშიც „ბრმა ბუს“ ანალიზი იუნგის ფსიქოანალიტიკური მეთოდით ხორციელდება. აღარაფერს ვამბობ ასობით წიგნზე, რომელიც სადეყ ჰედაიათის შემოქმედებას ეძღვნება.

მე არ მინდა, გვარების დასახელებით ზედმეტად გადაგლავოთ და ჰედაიათის შემდგომი ავტორები ჩამოვთვალო. ჰედაიათის თანამედროვე ისეთი მწერლების წიგნები, როგორებიც იყვნენ ჯამალზადე<sup>2</sup> და ბოზორგ ალავი<sup>3</sup>, დღეს ხელახალი ტირაჟით ზედიზედ თითქმის აღარ იბეჭდება. მწერალი, რომელიც უეცრად იქცა მნიშვნელოვნად, რადგან ისეთი ახალი თემა შემოიტანა, დღესაც რომ არ დაუკარგავს აქტუალობა, გახლავთ ჯალალ ალე-აჰმადი<sup>4</sup> თავისი „მედასავლეთეობით“. ალე-აჰმადს მწერლობაში ტრადიციულობისა და განახლების პრობლემა შემოაქვს. ეს კი ის საკითხია, რომელიც ახლაც, ჩვენს დროშიც, განიხილება ირანულ საზოგადოებაში, მასზე – განახლებასა და მედასავლეთეობაზე – ყოველდღე მსჯელობენ ქუჩაში, გაზეთებში, სახლში. საქმე ის გახლავთ, რომ ჯალალ ალე-აჰმადი გზას გვიჩვენებს, ეს კი ყოველთვის არასწორია. ჩემი აზრით, ხელოვნება კითხვას უნდა სვამდეს. მისი საქმე მხოლოდ კითხვის დასმაა. არ არის საჭირო, ხელოვანმა პასუხი გასცეს, გამოსავალს თქვენ თვითონ მოძებნით. ჯა-

ლალ ალე-აჰმადი სასტიკად ეწინააღმდეგება მედასავლეთეობას და გამოსავლად უკან დაბრუნებას, უკან – გლახური, სოფლური ცხოვრებისკენ მიბრუნებას გვთავაზობს. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ირანული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს პრობლემას ეხება, ამ წიგნს დღეს ღირებულება აღარ გააჩნია, მას სულ თავს ესხმიან, რადგან უკან დაბრუნება ვერ მოხდება, შეუძლებელია. დღეს ტრადიციულ საზოგადოებასაც აღარ შეუძლია, სოფლური ტიპის ცხოვრებას დაუბრუნდეს. ეს მხოლოდ ირანული საზოგადოების პრობლემა როდია, ზოგადად, დღევანდელი ადამიანის პრობლემაა. თქვენი პრობლემაა ამ თქვენს ქვეყანაში, ამ ურბანული ცხოვრების შუაგულში. მაგრამ, ამავე დროს, ისმის კითხვა: როგორ უნდა გავექცეთ ამ ურბანულ ყოფას და მის პრობლემებს? მოდერნიზაცია ჩვენი ისტორიული კალაპოტია, ჩვენი ისტორიული ბედისწერაა, ყველაფერია. შეიძლება, შეებრძოლო მოდერნიზმით მეტისმეტ გატაცებას, ამ ახალი სამყაროს ფასეულებების თავდავინწყებით სიყვარულს, მაგრამ საკუთარი თავის წინააღმდეგ ვერ წახვალ. მაშასადამე, ყველაზე მნიშვნელოვანი გაცნობიერებაა – მოდერნიზმის შეცნობა. სანამ რამეს არ შევიმეცნებთ, მას ვერც მივიღებთ და ვერც უარვყოფთ.

ახლა ლიტერატურას დავუბრუნდეთ. ჯალალ ალე-აჰმადის შემდეგ სხვა

<sup>1</sup> გოლი თარაყის ეს ნაშრომი „ყოფიერების დიდი ქალბატონი (მითი, სიმბოლო, არქეტიპი)“ 2007 წელს გამოიცა ირანში.

<sup>2</sup> მოჰამად-ალი ჯამალზადე (1892-1997) – თანამედროვე სპარსული პროზის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

<sup>3</sup> ბოზორგ ალავი (1904-1997) – ცნობილი ირანელი პროზაიკოსი.

<sup>4</sup> ჯალალ ალე-აჰმადი (1923-1969) – ცნობილი ირანელი მწერალი და კრიტიკოსი.

მწერლები მოდიან, სხვა რაღაცებს წერენ. ჩემთვის ისინი იმდენად მნიშვნელოვანნი არ არიან. ლიტერატურა, რომელიც ამ პერიოდიდან მოყოლებული რევოლუციამდე იქმნება, იდეოლოგიური ლიტერატურაა, მემარცხენე-მარქსისტული; ანგაჟირებული, პოლიტიკური ლიტერატურა. თუ ფოტოებს დააკვირდებით, ვერ აღმოაჩენთ ამ პერიოდის ირანელ მამაკაც მწერალს, რომელსაც ხშირი, სტალინის მსგავსი უღვაში არ ამშვენებს. ეს ის პერიოდია, როცა შაჰის სისტემას ეწინააღმდეგებიან, ციხეში მიდიან, იბრძვიან. თავისთავად მნიშვნელოვანი პერიოდია, მაგრამ მნიშვნელოვანი ლიტერატურა ამ დროს მაინც არ იქმნება. ირანელებისთვის შამლუ<sup>1</sup> ძალიან დიდი პოეტია, მაგრამ მისი პოეზია რაღაცნაირად სულ იდეოლოგიას უკავშირდება, პოლიტიკურ ჟღერადობას იძენს. მაშინ, როცა პრობლემები, რომლებსაც წამოჭრიან ამავე პერიოდის პოეტები – ფორუყ ფაროხზადი და სოჰრაბ სეფეჰრი – ფილოსოფიურია, კოსმიური ადამიანის პრობლემებია.

ახლა მივადექით რევოლუციასა და ომს – ორ უდიდეს ისტორიულ მოვლენას, რომელიც განუზომელ კვალს ტოვებს ხელოვნებაზე, ლიტერატურასა და საზოგადოების ცხოვრებაზე. მოგეხსენებათ, რომ ცვლილებებს, მით უფრო, სოციალურ ცვლილებებს რაღაცები ეწირება, მაგრამ ამავე დროს ათასი სხვა რამ იწყებს დუღილს. ეს ცუდია თუ კარგი, არ ვიცი, მაგრამ ასეა. სწორედ

ამიტომ, რევოლუციის შემდეგ ლიტერატურაში გაჩნდა ერთგვარი მღელვარების და ალტყინების ტალღა. ბევრი გაზეთი გამოდის, ცენზურის მხრივ დიდი თავისუფლებაა. ამ პერიოდში უამრავი წიგნი იბეჭდება, ყველას უნდა, წიგნი გამოსცეს, რამე დაწეროს; ქალაქი არის, ჯერ ომი არ დაწყებულა, ჯერჯერობით ყველა ოპტიმისტურად არის განწყობილი. საბოლოოდ, მეტისმეტი მღელვარება და ალტყინება ლიტერატურაში ერთგვარ პროცესად გადაიზრდება. სამწუხაროდ, როგორც ყველა რევოლუციის დროს მსოფლიოში, აქაც იმთავითვე იწყება უთანხმოებები. ეს არის უთანხმოება აზროვნებასა და პოლიტიკაში. თავდაპირველ ერთიანობაში ბზარი ჩნდება. ყველაზე უარესი კი ისაა, რომ სწორედ ამ დროს იწყება ომი. ომის დაწყებას თან ახლავს სიძვირე, უშუქობა, შიში, ელდა; უფრო მეტიც: წიგნის გაძვირება, საბეჭდი ქალაქის გაძვირება, ადამიანთა გულების გაცივება და უიმედობა. ახლა სხვა პერიოდი გვიდგება. დიდი ინგლისელი მწერალი ვირჯინია ვულფი ამბობს, რომ ნიჭიერ მწერალს წიგნების სანერად ორი რამ სჭირდება: სამყოფი შემოსავალი და საკუთარი ოთახი. მის წიგნს ასევე ჰქვია: „საკუთარი ოთახი“.<sup>2</sup> ეს კი სწორედ ის გახლავთ, რაც ამ პერიოდის მწერალთა უმეტესობას არ გააჩნია. მათ უმრავლესობას რამდენიმე ადგილას მუშაობა უხდება; ბევრ მათგანს არათუ საკუთარი ოთახი არ აქვს, არამედ ათნი ცხოვრობენ ერთ ოთახში. შვილები, ოჯახი

<sup>1</sup> აჰმად შამლუ (1925-2000) – თანამედროვე სპარსული პოეზიის ერთ-ერთი რეფორმატორი, მეცნიერი.

<sup>2</sup> A Room of One's Own.

და ცხოვრება მათ ფიქრისა და წერის საშუალებას არ აძლევს. ამის შედეგად იქმნება ლიტერატურა, რომელიც ომის ლიტერატურაა. ომიდან დაბრუნებული ადამიანები საკუთარ გამოცდილებასა და გამოვლილ ტანჯვაზე წერენ. იმ წიგნს, რომელიც მთლიანად ომს ეძღვნება, მხოლოდ ისტორიული ღირებულება შეიძლება ჰქონდეს, მას ლიტერატურული ღირებულება არ გააჩნია. ერთი რომ, ეს ადამიანები – მწერლები – ძალიან ცუდი სპარსულით წერენ, შესაძლოა, დიდი განათლებაც არ აქვთ. მეორეც ის, რომ ომის თემატიკაზე მოჭარბებული რომანტიულობით წერენ, ხოლო ომის გმირებს მეტისმეტად იდეალიზებულად ხატავენ: ეს არიან ადამიანები, რომელთაც უნდათ, რომ ნავიდნენ ომში და აღარ დაბრუნდნენ. ერთი სიტყვით, როცა ასეთ რამეებს კითხულობ, ხედავ, რომ მათ ფორმის თვალსაზრისით ღირებულება არ გააჩნიათ. ბოლოს და ბოლოს, ლიტერატურას აქვს გარკვეული ფორმა, ენა, სტრუქტურა, წერის სტილი. ამ დროის მწერლობას არც ერთი არ გააჩნია. ლიტერატურა სხვა რამეა, რეპორტაჟი – სხვა. ლიტერატურა ეგზისტენციალურ კითხვებს სვამს. მაგალითად, შეგიძლიათ, თქვათ, რა მოხდება ომში, მაგრამ საკითხავი ის არის, რის პირისპირ აღმოვჩნდებით. რის? – სიკვდილის. კითხვა ასე დაისმის: საერთოდ, რას ნიშნავს სიკვდილი ან სიცოცხლე? ლევ ტოლსტოი თავის „ომსა და მშვიდობაში“ ამ ორ კითხვას სვამს და ეს კითხვები მის წიგნს ერთგვარ

სიღრმეს ანიჭებენ.

დასავლეთში – უეჭველად, თქვენთანაც ასე იქნება – არაერთი წიგნი დაწერილა მეორე მსოფლიო ომის, ფაშიზმის შესახებ. არიან დიდი მწერლები, რომლებიც ომსა და ფაშიზმზე წერენ, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ მშრალი რეპორტაჟი იმისა, რომ ადამიანები დაწვეს და დახოცეს, გულის გამგმირავი ფაქტების ჩამონათვალი კი არ არის, არამედ დასმულია კითხვა: რატომ? რა მოხდა? მაგალითად, ამ ომის გამომწვევი ისტორიული მიზეზი რა იყო? ომის დროს ის გერმანელები, რომლებიც ჩვენნაირი ადამიანები არიან, ასე გულქვები და აგრესიულები როგორ ხდებიან? ერთი გერმანელი მწერალი ქალის წიგნი ნავიკითხე, რომლის გმირიც ქალია. ამ ქალს ფაშიზმის სწამდა, ებრაელებს მატარებელში სვამდა და გაზის კამერებისკენ ისტუმრებდა. მაგრამ მწერალს სულაც არ სურს ამბის მოყოლა. მას უნდა თქვას: როგორი იყო ჩემი, როგორც ადამიანის, ფსიქოლოგია და ფილოსოფია? რატომ ვაკეთებდი ამას?

ომის ლიტერატურის შემდეგ მოდის ლიტერატურა, რომელსაც დღესაც ბევრი მყიდველი ჰყავს. ეს გახლავთ მემუარები, განსაკუთრებით, პოლიტიკოსების მემუარები. ასობით წიგნი იბეჭდება და მაშინვე მეთავე, მეთორმეტე ტირაჟამდე ადის, არ იშოვება. მით უფრო, თუკი ყოფილ რეჟიმს ეხება. მაგალითად, პრემიერ-მინისტრ ალამის<sup>1</sup> მემუარები. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი სამეფო ოჯახს უკავშირდე-

<sup>1</sup> ამირ ასადოლა ალამი (1919-1978) – ირანის პრემიერ-მინისტრი 1962-1964 წლებში, მოჰამად-რეზა შაჰ ფაჰლავის დროის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე.

ბა: რეზა შაჰი, მოჰამად-რეზა შაჰი, შაჰის და, შაჰის დედა, შაჰის მამიდა და ა.შ. – რაც არის, ხალხს ყველაფრის ნაკითხვა სწყურია, აინტერესებს, ვინ იყვნენ ისინი, საიდან მოვიდნენ, რა ჩაიდინეს.

კიდევ არსებობს რელიგიური ლიტერატურა, რომელსაც დიდი გასავალი აქვს. ამ წიგნებს თავიანთი კუთვნილი ადგილი უჭირავთ. ესაა ლიტერატურა ისლამისა და რევოლუციის შესახებ, უმეტესად ეს გახლავთ წიგნები, რომლებშიც საუბარია ისლამის ასპექტებზე, სარწმუნოების აუცილებლობაზე, სინმინდებების საჭიროებაზე.

ამ პერიოდში მწერლები და ხელოვანები, ხშირად ცენზურის წნეხის გამო, ტოვებენ ქვეყანას და იწყებენ მიგრაციას საზღვარგარეთ. ისინი უცხოეთში წერენ და თავიანთ წიგნებს უცხოეთში ბეჭდავენ. ასე იქმნება „ემიგრანტული ლიტერატურა“. ამ ტიპის მწერლობაში დასმული პრობლემები განსხვავებულია. აქ ჩნდება უცხოეთში ცხოვრების, იმ ადამიანთა გაჭირვების, ტკივილისა და მარტოობის პრობლემები, რომლებიც აღარ არიან საკუთარ სამშობლოში და თავიანთ ფესვებს მოსწყდნენ. ეს მწერლები ამჯობინებენ, რომ სპარსულ ენაზე დაწერილი თხზულებები უცხოეთში – ამერიკაში, განსაკუთრებით – შვედეთსა და საფრანგეთში, ანუ იქ დაბეჭდოს, სადაც ასეთი სტამბები არსებობს.

მე ვარ ადამიანი, რომელიც ორ სამყაროს შორის ცხოვრობს. წელიწადის ერთ ნახევარს საფრანგეთში ვატარებ, სადაც ჩემი შვილების გამო წავედი. მეორე ნახევარში კი ირანში ჩავდი-

ვარ ხოლმე. რეგულარულად დავდივარ. იმიტომ რომ, რაღაც არ უნდა დამიჯდეს, ჩემი წიგნები ირანში უნდა გამოვცე. ეს კი იოლი საქმე არ არის, რადგან ცენზურასთან მუდმივად პრობლემები მაქვს. ჩემი ახლო მეგობარი – ერთ-ერთი იმ მწერალთაგანი, რომლებიც უცხოეთში გამოსცემენ წიგნებს, მეუბნებოდა, ჩემი ნაწერიდან ერთი სიტყვაც რომ ამოაგდონ, იგივე იქნება, ცალი თვალი ამომთხარონო, ამას ვერ მოვითმენო. მე კი ვითმენ. მართალია, ჩემთვის თვალეები არ დაუთხრიათ, მაგრამ იმ ეკლებს, მე რომ მასობენ, ვითმენ. ჯერ ერთი, არ ვეძებ ისეთ სიუჟეტებს, რომლებიც აკრძალულია. არც ვარ პოლიტიზებული მწერალი. ფილოსოფიური პრობლემები უფრო მიტაცებს, მათზე საუბარი მირჩევნია. თუმცა კაცმა არ იცის! ზოგჯერ, რაღაც პერიოდში, ირანში ცენზურა რბილდება და ყველანი ცდილობენ, ამ დროს დაბეჭდონ წიგნები. თითქოს წინდანინ იციანო. მერე ისევ სიმკაცრის ჯერი დგება – ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ცენზურად ვინ ზის, რა კაცია. ის იღებს გადაწყვეტილებას. თუ კარგი კაცი იქნება და ჩემი მონათხრობი მოენონება, არაფერს იტყვის. ზოგჯერ, შეიძლება, იქ ისეთი დაჯდეს, მე რომ გულზე არ ვეხატები. იტყვის, არაო. თუმცა შეიძლება, მიხვიდე და რაღაცნაირად დაელაპარაკო. ან მიიღებს შენს არგუმენტებს, ან – არა.

როგორც ვხვდები, მწერლები, რომლებიც ირანში დარჩნენ და ისინი, ვინც ემიგრაციაში წავიდნენ, ერთმანეთის მიმართ მტრულად არიან განწყობილნი. განსაკუთრებით, ირანში დარჩე-

ნილები გამეტებით ეწინააღმდეგებიან მათ, ვინც ქვეყანა დატოვა. მათი ლოგიკა ასეთია: თქვენ ხომ წახვედით? ჰოდა, მიბრძანდით, ჩვენთვის მიუღებლები ხართო. არც ტყუიან, როცა ამბობენ, თქვენ ომის დროს ბომბები არ განვიმდათ, ჰურის რიგში არ მდგარხართ, ჩვენსავით ტანჯვა არ გამოგივლიათო. მათი წარმოდგენით, ვინც წავიდა, განცხრომით ცხოვრობს. ასეთი წარმოდგენის შედეგად დაინერა „სორაია კომპი“, რომელიც არნახული რაოდენობით გაიყიდა. ეს კი იმაზე მიუთითებს, თუ როგორ სალბუნით დაედო ეს რომანი ირანში დარჩენილთა იარას. ავტორი – ესმაილ ფასიჰი – კარგი მწერალია. ამბავი კი ასეთი გახლავთ: ახალგაზრდა ქალი სორაია, რომელიც, თუ არ ვცდები, მთხრობელის ძმისშვილია, ავტოკატასტროფაში ხვდება და კომპიში ვარდება. მას პარიზში აგზავნიან. ეს იქცევა წერის საბაზად იმ ირანელების, განსაკუთრებით, მწერლებისა და ხელოვანების შესახებ, რომლებიც იქ დახვდებიან. ავტორი უცნაურად ხატავს ამ ყველაფერს. ისე გამოსდის, თითქოს ირანელები, მაგალითად, მე და ჩემი მეგობრები, რომლებიც პარიზში ვცხოვრობთ, ღამის თერთმეტ საათზე შამპანურს გეახლებით. ავტორი პარიზს არ იცნობს და იქ ნამყოფი არ არის. მოგვიანებით შევიტყვე, რომ მეგობრისთვის მიუმართავს, პარიზის რამდენიმე კაფეს ხომ ვერ დამისახელებო. მისთვის კაფე „სენ მიშელი“ უსწავლებიათ – სტუდენტური კაფე, სადაც მხოლოდ სტუდენტები დადიან. თურმე მე, მავანი, მავანი და მავანი ღამის 11 საათზე იქ შამპანურს ვყლურწავთ და ტანგოს ვცეკვავთ. რო-

გორ მოგნონთ?

ამ წიგნის გაყიდული ეგზემპლარების რიცხვი გვიჩვენებს, რამდენად ცუდად არიან განწყობილები ირანში დარჩენილები ნასულების მიმართ. იქნებ მართლებიც არიან. არ ვიცი, იქნებ თქვენთანაც ასე მოხდა, საბჭოთა კავშირის შემთხვევაშიც ასე იყო: ვიღაცები მიდიოდნენ საზღვარგარეთ და სხვები ფიქრობდნენ, რომ უცხოეთში ნასულები კარგ დროს ატარებდნენ. ამიტომაც გადავწყვიტე, დამენერა წიგნი, რომელშიც ვაჩვენებდი იმ ადამიანების ტკივილს, გზააბნეულობას, უფულობასა და მარტოობას, რომლებმაც საკუთარი შვილების გამო, ხშირად იმისათვის, რომ მათი შვილები ომში არ წაეყვანათ, სამშობლო დატოვეს; როგორი გაუსაძლისია სამშობლოსგან შორს ყოფნა. წიგნში, რომელიც ქართულად ითარგმნა, ერთი მოთხრობა მაქვს – „სახლი ზეცაში“. რა თავგზააბნეულია პერსონაჟი ქალი, თავისი ქალიშვილისა და ვაჟიშვილის გამო რომ წავიდა ევროპაში, ენა არ იცის, ეულია და საბრალო!

ახლა – რაც შეეხება დღევანდელ ლიტერატურას, რომელსაც თვითონ თავმომწონედ პოსტმოდერნულს უწოდებენ. ირანის დღევანდელ მწერლობას, ჩემი აზრით, ძალიან ცუდი რამ დაემართა. დავინწყით იმით, რომ თარგმნა ძალიან შემოსავლიანი გახდა. ამიტომაც ასობით თარგმანი ჩნდება – ნაჩქარევი და უვარგისი. ცუდი თარგმანი კი ცუდ მკითხველს შობს. ახალ თაობას ირანში – ამას საკუთარი თვალთ ვხედავ – ძალიან უნდა, რომ დასავლურ სამყაროს არ ჩამორჩეს. ამიტომაც თარგმანს კითხულობს. დასავლეთის ტელეპროგრამ-



მებს თვალს ადევნებს – ყველას სატელიტი აქვს. უცხოურ ვიდეოფილმებს უყურებს. ერთი ყმანვილი ვნახე, რომელსაც მაისურზე მაიკლ ჯექსონი ეხატა. როცა ასეთებს დაელაპარაკები, ხვდები, რომ წარმოდგენა არ აქვთ, ვინ არის ჯექსონი. ის, რომ ეს კაცი მოვლენა იყო მუსიკაში, რომ განსაკუთრებული ტიპის ცეკვა დაამკვიდრა – ამის შესახებ არაფერი სმენია. ამ ახალგაზრდას სურს, რომ გარეგნულად დაემგვანოს.

ხელოვნებას, მხატვრობასაც კი თავისი ისტორია აქვს. პიკასო ხომ უცებ არ ქცეულა ისეთად, როგორსაც ვიცნობთ. თუ დააკვირდებით, პიკასომ კლასიკური პერიოდით დაიწყო, კლასიკურ მხატვრობაში კარგად გაიწაფა, სხვადასხვა მიმდინარეობის ტილოები შექმნა და მერე წავიდა წინ, გამოიარა თანამედროვეობის ეტაპები და ასე მივიდა კუბიზმამდე. ჩვენი მხატვრები კი ისე, რომ არაფერი იციან, პირდაპირ კუბიზმს მიადგებიან. ეს განვითარებადი ქვეყნების, მესამე სამყაროს სენია. ასე მაგალითად, ირანში ჯერ მოდერნიზმი ჯეროვნად არ გაეაზრებინათ, მოდერნიზმს ჯერ რიგიანად დამკვიდრებაც ვერ მოესწრო, რომ უცებ პოსტმოდერნისტებად მოგვევლინენ. ევროპაში ჯერ მოდერნიზმის ეპოქა გამოიარეს, მერე მოდერნიზმთან წინააღმდეგობაში მოვიდნენ, რის შედეგადაც გადავიდნენ პოსტმოდერნიზმზე.

მე არ ვიცი, რა არის პოსტმოდერ-

ნული ლიტერატურა. იცოდეთ: თუ ლიტერატურას ვერაფერი გაუგეთ, ესე იგი, პოსტმოდერნთან გაქვთ საქმე. რადგან დღევანდელ ირანულ მწერლობას რომ ვეცნობი, საერთოდ ვერაფერს ვიგებ, საერთოდ ვერ ვკითხულობ. სადა ლიტერატურას თითქოს ფასი დაეკარგა. თუ სადაა, მაშასადამე, ღირებულება არ გააჩნია.

ის, რასაც ახლა ვიტყვი, უცხო ენაზე ძნელი სათარგმნი იქნება: სპარსულ ენას – ძირძველ სპარსულს ვგულისხმობ – დარი ენოდება. ახლანდელი მწერლების ხელში კი ეს ენა გახდა „დარი-ვარი“<sup>1</sup> ანუ აბდაუბდა.

ახლა კიდევ უფრო ძნელად სათარგმნი რამ უნდა ვთქვა. ერთ დღეს ჩემთან ერთი ქალიშვილი მოვიდა ინტერვიუს ჩასაწერად. მითხრა: ქალბატონო თარაყი, თქვენ ხომ ევროპაში ცხოვრობთ და პოსტმოდერნისტულად რატომ არ წერთო. ვუთხარი, პოსტმოდერნისტული რას ნიშნავს-მეთქი. ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა, სხაპასხუპით მიპასუხა: „ჩანდგუნე-ზამანი, ჩანდგუნემაქანი“<sup>2</sup>. სპარსულში არსებობს სიტყვები: „მანგულე“<sup>3</sup> და „ზანგულე“<sup>4</sup>. ჰოდა, მეც ვეუბნები ქალიშვილს: „მანგულე-ზანგულე რაღაა, გოგონა?“ შემისწორა: „ჩანდ-გუნე-ზამანი!“ აჰა, მივხვდი-მეთქი, ვუთხარი, ანუ ჩემს ნაწარმოებებს დროის ლოგიკური მდინარება რატომ ახასიათებს, მაშინ, როცა ისე უნდა მიედინებოდეს, როგორც შეშლილის გონებაში: წარსული-მომავალი-ანმყო; წარსული-წარსული-

<sup>1</sup> დარივარი – სპარს. აბრაკადაბრა, აბდაუბდა.

<sup>2</sup> დროის პოლივარიანტულობა, სივრცის პოლივარიანტულობა.

<sup>3</sup> მანგულე – სპარს. ფოჩი.

<sup>4</sup> ზანგულე – სპარს. ზანზალაკი, ეჟვანი.

ანმყო-მომავალი – ტანკლი-ტუნკლი, შენ დაუკარ! ისე, როგორც, მაგალითად ჯეიმს ჯოისთან ანუ ლიტერატურაში, რომელშიც დროის გაგება დამსხვრეულია. ძალიან რთული ლიტერატურაა, თუმცა მიზეზიც აქვს: რომანის გმირი წარსულში, ანმყოსა და მომავალში ერთდროულად იმყოფება. დროთა ამ აღრევით მწერალს უნდა, აჩვენოს თანამედროვე სამყარო. ის, თუ რამდენად არ ემორჩილება იგი ლოგიკას.

მე ძალიან მიყვარს ახალგაზრდა მწერლები, ვლელავ მათ გამო. ამიტომაც დავინწყე მათ გასაგონად წერა, ინტერვიუების მიცემა: ნუ ბაძავთ სხვებს. ეს უაზრო საქციელია. წავიდა ამის დრო. ევროპაშიც აღარ აკეთებენ ამას. ერთ მწერალს მივწერე, ავად ხომ არ ხარ, ასე რომ წერ-მეთქი. მოვკვდი, სანამ ბოლოში გავედი, ვერაფერი გავიგე-მეთქი. ისე წერე, რომ მეც გავიგო, რისი თქმა გინდა-მეთქი.<sup>1</sup>

სპარსულიდან თარგმნა  
თეა შურღაიამ

<sup>1</sup> სამწუხაროდ, გოლი თარაყის მოხსენების ჩანაწერი აქ წყდება. ამ წყვეტილობის მიუხედავად, ჩავთვალეთ, რომ ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა მწერლის მოსაზრებები თანამედროვე სპარსულ (და არამარტო) ლიტერატურაზე.

## გოლი თარაყისთან

**თქვენ უკვე დიდი ხანია, საფრანგეთში ცხოვრობთ და შეგიძლიათ, დასავლური ფასეულობებიც და მშობლიური ირანიც „შიგნიდან“ შეაფასოთ. როგორ ფიქრობთ, ამ ორ სამყაროს შორის მართლა ისეთი ღრმა უფსკრულია, როგორც კიპლინგი ამბობდა, თუ არსებობს მთავარი, უხილავი და სათუთი ძაფები, რაც მაშრიყსა და მალრიბს აკავშირებს?<sup>1</sup>**

დღევანდელი მსოფლიო, იმავე კიპლინგის ეპოქასთან შედარებით, წარმოუდგენლად დაპატარავდა. ტექნიკის განვითარებასთან ერთად, ძველად არსებული მანძილი გაქრა და ამან ხალხთა დაახლოებას შეუწყო ხელი. თუმცა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის განსხვავება ხალხის ბუნება-ხასიათში დარჩა და შეუძლებელია, ისინი ერთმანეთს ტყუპისცალებივით დაემსგავსონ. ღმერთმა ნუ ქნას, მთელი მსოფლიო ერთნაირი იყოს, სიმდიდრე ხომ სწორედ განსხვავებულობაა. მთავარია, ეს ორი სამყარო ერთმანეთს ომს ნუ დაუწყებს და ჯიბრში ნუ ჩაუდგება, თორემ გაცნობას და სიახლოვეს წინ რა უდგას? მთავარია, არც ერთ მხარეს მეორის დაჩაგვრა და უპირატესობის მტკიცება არ მოუხდეს.

ჩვენ დასავლელებისგან... ძალიან განვსხვავდებით. მე ერთი ფრანგი მეგობარი მწერალი ქალი მყავს – არაჩვე-

ულებრივი, თბილი, მოსიყვარულე ადამიანია. ისე ახლოს ვართ, ხშირად მითქვამს, ფრანგი კი არა, ირანელი მეგობარ-მეთქი. მაგრამ, როცა ჩემი მეგობარი ირანში მივიპატიჟე, ჩვენ შორის განსხვავება სწორედ მაშინ აღმოვაჩინე. ეს კი დროსა და წესრიგთან ჩვენი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება გახლდათ. იმ მოგზაურობისას ჩემს მეგობარს თან ირანის შესახებ წიგნი წამოვლო, გამუდმებით კითხულობდა, თავისთვის რაღაცას ინიშნავდა და უნდოდა, ყველაფერი ენახა. პირველად რომ მითხრა, დილის შვიდ საათზე გამალვიძეო, გაოცებულმა ვკითხე, რა გეჩქარებამეთქი. იმას კი პირზე მუდამ ერთადერთი ინგლისური სიტყვა ეკერა: „ქვიქლი“ – სწრაფად, ჩქარა. სიტყვა, რომელსაც ირანელის ლექსიკონში ძნელად თუ ნააწყდებით. სპარსული კულტურა სიზანტის, სიზარმაცის, დუნე აუჩქარებლობის კულტურაა. როცა კი სადმე წავიდოდი, მე მუდამ გრილოში ჩამოჯდომას ვთავაზობდი, სადმე ჩამოვსხდეთ, ჩაი დავლიოთ და ვისაუბროთ-მეთქი, ის კი გამუდმებით საათს დასცქეროდა და დროზე, ნუთებზე იყო მიჯაჭვული. მაშინ ვუთხარი, თუ გინდა, ირანის მულამი გაიგო, საათი მოიხსენი და გადაადგე-მეთქი. რადგან აქ დრო გრძელია, დუნეა, განელილია-მეთქი. თუმცა მე თვითონ სწორედ მაშინ აღმოვაჩინე,

<sup>1</sup> ესაუბრა გიორგი ლობჯანიძე, „ღმერთმა ნუ ქნას, მთელი მსოფლიო ერთნაირი იყოს“, ქართ. ენაზე, თბილისი, „ცხელი შოკოლადი“, # 7, ივლისი, 2005.

დროსთან ჩემი და რომელიმე გერმანელის დამოკიდებულება ერთმანეთისგან როგორ განსხვავდება.

მაშინ იმ ჩემს მეგობართან ერთად ქაშანშიც წავედი. ქაშანის სახელგანთქმულ ბაღში რომ შევედით, იგი რაღაცებს მეკითხებოდა და პასუხებს აჩქარებით ბლოკნოტში ინიშნავდა. მე ვიდუქი და ბუნებით ვტკბებოდი. თავს ფოთლების შრიალითა და წყლის რაკრაკით ვიქცევდი. მისთვის კი მთავარი ინფორმაცია იყო – აქაურობა როდის აშენდა, ვინ ააშენა... ჩვენ, ირანელებს, ინფორმაცია არასოდეს გვაინტერესებს. ინფორმაციის, გონების ხალხი არა ვართ. ტკბობის, გულის ხალხი ვართ. გულის სიღრმეებში ვიძირებით და გამუდმებით ვნეტარებით...

**ქართულ სინამდვილეში გავრცელებულია ერთი ტენდენცია, რომელიც მე ცენზურის გარკვეული სახესხვაობა მგონია – ვითარება, როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეოხებით ხდება ავტორთა ხელოვნური გადარჩევა.**

არა მგონია, ეს საკითხი ცენზურას უკავშირდებოდეს. ეს უფრო გარკვეული საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც ირანშიც და დასავლეთშიც ერთნაირადაა გავრცელებული. თუმცა დასავლეთში საქმე ცოტა სხვაგვარადაა, რადგან იქ მწერალი წიგნიდან წიგნამდე იზრდება, თავის თავზე მუშაობს და პოპულარობა მოულოდნელად არსაიდან ატყდება. ამა თუ იმ ადამიანისთვის სახელის მოხვეჭაში პრესა და ტელევიზია დიდ როლს თამაშობს, მაგრამ პოპულარობა საბოლოოდ შეიძლება ძალიან სა-

შიში და დამლუპველი აღმოჩნდეს.

ირანში მწერლის პოპულარობის მიზეზი კი ევროპული ვითარებისგან რადიკალურად განსხვავდება. მაგალითად, ჩვენში რომელიღაც წიგნი ხშირად ძალზე გახმაურდება ხოლმე. რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცუდი წიგნია, მაინც რაღაც პრემია მიიღო. პრემია კი იმიტომ მიიღო, რომ ავტორის რამდენიმე ნაცნობმა კრიტიკოსმა მასზე სახოტბო რეცენზია „ალავლინა“. ამის შემდეგ საბრალო მწერალი, რომელიც რიგიანი ლიტერატორი ისედაც ვერ არის, თავის თავზე ფუყე, მცდარ წარმოდგენას იქმნის და მისი შემდგომი ნამუშევრები, რომ იტყვიან, მტრისასო, ისეთია. ამდენად, პოპულარობა ძალზე საშიში შეიძლება იყოს – ხელისშემშლელი და დამაბრკოლებელი. რადგან ადამიანი უნდა ცდილობდეს, რომ თანდათანობით უკეთესობისკენ წავიდეს. ნამდვილი მწერალი, ვთქვათ, ისეთი, როგორებიც მეოცე საუკუნის დიდი ირანელი პოეტები – ფორუყ ფაროხზადი და სოჰრაბ სეფეჰრი იყვნენ, მუდამ იმის ცდაშია, სიახლე იპოვოს და შემოქმედებითად განვითარდეს. ფორუყ ფაროხზადთან ვხედავთ, როგორ მიაბიჯებდა დასაწყისიდან დასასრულამდე მაღლამაღლა და თანდათანობით შრომითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით იხვეწებოდა. თუ მის შემოქმედებას თანმიმდევრულად წავიკითხავთ, შევნიშნავთ, რომ პოეტი გამუდმებით მუშაობს, მუშაობს, მუშაობს საკუთარ თავზე და ზემოთ-ზემოდ მიიწევს. ასეთსავე აღმასვლას ვხედავთ სოჰრაბ სეფეჰრის შემოქმედებაშიც. არიან სხვა ტიპის მწერლებიც, რომლებიც ზემო ზღვრიდან ინ-

ყებენ, მაგრამ მუდმივად იმავე საფეხურზე რჩებიან... არიან „თითონიგნიანი“ მწერლებიც.

თანამედროვე ირანული სალიტერატურო პროცესის მეორე დიდი პრობლემა კარგი კრიტიკოსის არარსებობაა. კრიტიკოსისა, რომელიც შეიძლება მწერალს საიმედო მეგზურად მოვლენოდა... კრიტიკა, თუნდაც ძალზე მწვავე, მიყვარს და ვაფასებ. ოღონდ კი დასაბუთებული იყოს, პროფესიული და ჩემს საქმიანობას რაღაცით წაადგეს.

ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია კარგი რედაქტორი, რომლის ნაკლებობასაც დღევანდელ ირანში უმწვავესად განვიცდით და რომლის ფასიც, პირადად,

საფრანგეთში გავიგე. ყველა მწერალმა, თუ ის პროფესიონალია, რასაკვირველია, ყველაზე უკეთ იცის, სად იზარმაცა, სად რა შეცდომა მოუვიდა, ყურადღება სად მოადუნა. ჩემმა ფრანგმა რედაქტორმა ამგვარ იაღლიშებს უცდომლად მიაგნო და სათუთად, ფრთხილად და მაღალპროფესიულად გაასწორა. ირანში კი სანინააღმდეგო რამე ხდება, ჯერ ერთი, რედაქტორი არ არის და, თუ სასწაული მოხდა და ამ საქმის მცოდნე კაცი გამოჩნდა, რომელიც ავტორს ნაკლებზე მიუთითებს, მწერალი მის აზრს ყურს მაინც არ ათხოვებს.

\*\*\*\*\*

**ამ ცოტა ხნის წინათ თქვენი წიგნი გამოვიდა, სათაურით „ყოფიერების დიდი ქალბატონი“. ეს არის წლების წინ გამოსული თქვენი სტატიების კრებული მითოლოგიაზე, სიმბოლოებზე, არქეტიპებზე. თუ არ ვცდები, ეს ყველაფერი თქვენი ფილოსოფიური განათლებისა და თეირანის უნივერსიტეტში პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგია. მას შემდეგ, რაც ირანი დატოვეთ, ამ ტიპის თხზულებები აღარ გინერიათ. რატომ გადანწყვიტეთ ამ სტატიების გამოცემა? ეს კვლავ იმ სივრცეში თქვენს მიბრუნებად უნდა აღვიქვათ?<sup>1</sup>**

როგორც ჩემს წიგნში „ყოფიერების დიდი ქალბატონი“ ვწერდი, სიმბოლოები-

სა და მითების წარმოსახვითი სამყარო ქვეყნად ერთგვარი არსებობისა და მსოფლალქმის გამოხატულებაა. მითოლოგიური სამყარო აღმოჩენების, ფანტაზიისა და იდუმალების სამყაროა. ჩემი ცნობიერი თუ ემოციური კავშირი ამ სამყაროსთან, იმ დროიდან მოყოლებული, რაც მას გავეცანი, განსაკუთრებით, იუნგის ნაშრომების წაკითხვის მერე, დღემდე გრძელდება. მართალი თუ გნებავთ, ჩემი მსოფლალქმისა და ფილოსოფიური ხედვის ნაწილად იქცა. წარსულში რამდენიმე წელიწადს თეირანის უნივერსიტეტში მითოლოგიის კურსი მიმყავდა. ჩემი სტატიები უფრო მეტად ამ ლექციებს ეყრდნობოდა და ჩემი სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი.

<sup>1</sup> ესაუბრა ელიას აჰმადი, „გაქცევა გაურკვეველი ფორიაქისგან“, სპარს. ენაზე, თეირანი, გაზეთი „ნეგარ“, 2007.

შემდეგ სტატიების წერა მოთხრობების წერამ შეცვალა. თუმცა ჩემი ინტერესი სიმბოლოების მიმართ და ყველაფერ იმის მიმართ, რაც მეტაფორულად გამოითქმის, არ გამქრალა. იუნგის თხზულებებიც ამის გამო მიყვარს. სიმბოლოსა და მითის დაფარული აზრის შეცნობით სარკმელი სხვა მხარისკენ იხსნება, სადმე სხვაგან იხედება. და ეს „სადმე სხვაგან“ ჩემი ნაწარმოებების უმრავლესობის თემაა.

ფორუყის ლექსების მიმართაც ამიტომ მაქვს ასეთი სიყვარული: დროებითი გაქცევა რეალური დროიდან, ყოველდღიურობის რიარისგან და ფაციფუცისგან, „გაურკვეველი შფოთისგან“, კანონმორჩილებისგან, სიკვდილისგან, სიკვდილის შიშისგან.

სოჭრაბ სეფეჰრის უნდა, ნავი ააგოს, წყალში ჩაუშვას და იქითა მხარეს გაცუროს, არსაითს მიღმა ქალაქისკენ. ფორუყი კედელს იქით მდებარე ბაღზე საუბრობს, დიდ მდელოზე, ღამის საზღვრებზე, სიზმრების ბნელ სიღრმეებზე, ყოფიერების სხვა სივრცეებზე. და ამ ამბების დასაბამი შორს მიდის: ესაა სადღაც სხვაგან... ზღაპრულ-იდილიური ქალაქიდან დაწყებული – სიმორლის<sup>1</sup> სახლით დამთავრებული, კვანტური ფიზიკის სამყაროთი დამთავრებული, კოლექტიური არაცნობიერის სამყაროთი დამთავრებული, ძმათა სასაფლაოთი დამთავრებული, ისტორიის დასასრულის ოქროს ხანით დამთავრებული...

**რომანის და მოთხრობის ატმოსფერო ამისგან განსხვავდება?**

დიახ, სიმბოლო მითის ენაა. მინიშნების და ლექსის ენაა. რომანი თანამედროვე მოვლენაა. რეალურ ცხოვრებასთანაა კავშირში. მაგრამ რომანისა და მოთხრობის რეალური გმირებიც ფილოსოფიურ ტკივილებს და ეგზისტენციურ კითხვებს შეუპყრია; სიკვდილის, არყოფნის სინამდვილის გამო შფოთვას; მეტაფიზიკურ საკითხებსა და ყოფიერების საზრისის, დაბადების, სიცოცხლის, ადამიანისა და ღმერთის ძიებას შეუპყრია. ყველა ეს საკითხი პირველყოფილი ადამიანის წინაშეც წამოჭრილა და მათი პასუხები მითის, სიმბოლოსა და მეტაფორის ფორმით ასახულა. ეს კითხვები მარადიული კითხვებია. სიზმრებში მეორდება. ასევე, ლექსში, ხელოვნებაში და ლიტერატურაში, ოღონდ – სხვა ენით.

**მე მგონი, ამ წიგნში მხოლოდ ერთია აქამდე დაუბეჭდავი წერილი, რომელიც, წიგნის სულისკვეთების შესაბამისად, ფორუყ ფაროხზადის პოეზიას განიხილავს. ეს, თავისთავად, საინტერესოა და ახლებურ თვალსაზრისს წარმოადგენს ფორუყის ლექსებთან დაკავშირებით, მაგრამ განა ამ ტიპის კვლევა პოეტებისთვის ერთმნიშვნელოვანი გაგების თავსმოხვევას არ გულისხმობს? გაგებისას, რომელზეც მათ ლექსის წერის პროცესში არ უფიქრიათ?**

ერთი განზომილების პოეტს ლექსიც ერთგანზომილებიანი აქვს. ნათელი და გარკვეული. რითმიან-რიტმიანი. საუც-

<sup>1</sup> სიმორლი – ზღაპრული ფრინველი.

ხოო. პოლიტიკურ-სოციალური. სატრფიალო. მგზნებარე. მაგრამ ყოფიერების ბნელი და იდუმალი ლაბირინთების კუნჭულებში ვერ აღწევს. სულის დახლართულ ტალანებში, არსებობის იდუმალ „ხიბლში“, ჯადოში ვერ აღწევს.

ნამდვილი ხელოვანი მიწიერად განსაზღვრული დროისა და სივრცის მიღმა არსებობს. რეალობის ფარდას გვერდით სწევს და მიღმიერი, დაფარული სამყაროს ამბავს გვატყობინებს, მისი ხელოვნება ამ იშვიათი მოვლენის თხრობაა, სიმბოლური მინიშნებაა დროის მიღმიური მხარისკენ.

**მკვლევართა ნაწილი ფორუყის ბოლო კრებულებს მის შემოქმედებით სიმნიფეს მიაწერს. თქვენ კი ამ სტატიაში ეს განვითარება მისი მრწამსისა და მსოფლალქმის ცვლილებად მიიჩნიეთ. რა კავშირს ხედავთ ყოფიერების არსის ევოლუციასა და ლიტერატურულ განვითარებას შორის? და თუ შეიძლება ერთი მეორის გარეშე? განა შესაძლებელია, რომ კრებულების „კედელი“ და „ამბოხი“ ავტორი ფორუყი ლექსის ფორმის თვალსაზრისით „ვერწმუნოთ ცივი სეზონის დასაწყისს“-ის შემქმნელი იყოს?**

ფორუყის ლექსი, როგორც დიდი ხელოვნება, მრავალპლასტიანია. მრავალი განზომილება აქვს. აქამდე სხვადასხვა კუთხით იქცა განხილვისა და კვლევის საგნად და ყველა მათგანი სწორი და დროული იყო. მაგრამ ფორუყთან დაკავშირებით არ არსებობს

საბოლოო სიტყვა. ფორუყის ლექსების სიღრმეში სიმბოლური აზრებია ჩადებული, რომლებიც მის სიტყვებში ჩნდებიან.

ლექსისა და ხელოვნების ფაქიზ საქმეს თავისი ქვეყნიერება, სული და შინაგანი სამყარო აქვს. იუნგი მას კოლექტიური არაცნობიერის სამყაროს უწოდებს. ვილაც კოსმიურ სინდისად ნათლავს. მისტიკურ ფილოსოფიაში იდეების სამყაროდაა ცნობილი. ხელოვანი თავის საქმეს აკეთებს და თავის სათქმელს ამბობს. და ამ ნაწარმოებების კვლევა, გახსნა და გაგება სხვების ვალია.

კრებულების „კედელი“, „ტყვე“, „ამბოხი“ ფორუყი იგივე პოეტია, რომელმაც „ვერწმუნოთ ცივი სეზონის დასაწყისს“ დაწერა. ფორუყის სულიერი და ფსიქოლოგიური განვითარება თანდათან იმატებს. ისევე, როგორც მისი ენობრივი და ლიტერატურული ენერგია. ყოველ ეტაპზე, სულიერი განვითარებისა და ცვლილებების, ასევე, შემეცნებითი და ფსიქოლოგიური მომნიშვნების კვალდაკვალ, მისი პოეტური მეტყველებაც უფრო ფართო განზომილებაში გადადის და ენა და სტილიც მდიდრდება.

უეჭველია, რომ ფორუყის ლიტერატურულ ზრდაში გარეგანმა ფაქტორებმაც შეიტანა წვლილი: ნიმას და სეფეჰრის<sup>1</sup> პოეზიის გაცნობამ, დასავლურმა ლიტერატურამ, იმ ეპოქის ხელოვანებთან შეხვედრამ, ევროპაში მოგზაურობამ, თანამედროვე ხელოვნების, ინტელექტუალური თეატრისა და კინოს აღ-

<sup>1</sup> ნიმა იუშიჯი და სოჰრაბ სეფეჰრი – მეოცე საუკუნის უმნიშვნელოვანესი ირანელი პოეტები, ე.წ. „ახალი პოეზიის“ უდიდესი წარმომადგენლები.

მოჩენამ. ყოველი მათგანი სხვადასხვა სარკმელს ალებს მის წინაშე – სარკმელს უფრო დიდი სამყაროს შეცნობისკენ. მაგრამ ფორუყის ლექსი მისივე წიალიდან ამოდის, წარმოსახვის არქექტიპული სამყაროდან – „ლიტერატურული ყვავილობის“ ადგილიდან.

ყურადღება მიაქციეთ, რომ ის სამი ეტაპი, რომელიც მე ჩემს წიგნში ფორუყის ფსიქოლოგიური ზრდის სამ ეტაპად მოვიხსენიე, ერთმანეთისგან არ განიყოფა. ისინი ერთმანეთს სრულყოფენ – როგორც ბავშვობის, ახალგაზრდობისა და სიბერის ეტაპები, რომლებიც ერთი სიცოცხლის ნაწილებია. ბევრი თანამედროვე მწერალი და პოეტი იწყებს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმით და იმავე ადგილას და იმავე ეტაპზე იყინება, ან ქვემოთ მიექანება. მათ წარმოებებში არც დაბადება ჩანს, არც – განვითარება.

ფორუყში ეს პროცესი განვითარებადი და აღმავალია. ჯერ მიწაში შებოჭილ თესლს ჰგავს. მერე იზრდება, თავს ააღერებს და ნაყოფიერ ხედ იქცევა. მწვერვალისკენ მიილტვის და გადამფრენი ფრინველივით ნათელი სივრცეებისკენ შლის ფრთას. ხშირად მიკითხავს საკუთარი თავისთვის, ეს ქალი სიკვდილის წერა რომ არ გამხდარიყო, სადამდე მივიდოდა. მისი ლექსი, მისი მეტყველება რა სახეს მიიღებდა? არ ვიცი.

**თქვენ ფორუყის ლექსის განვითარების პროცესი სამ ეტაპად დაახასიათეთ. პირველი ეტაპი, რომელიც სამ პირველ კრებულს მოიცავს, ინსტინქტებისა და გრძნობიერების სამყაროსთან დაკავშირეთ. მეორე**

**ეტაპს, რომელიც „მეორედ დაბადებას“ მოიცავს, ქალური სანყისისა და ყოფიერების დიდი ქალბატონის სიმბოლოების გამოვლინებად მოიაზრებთ. ეს სიმბოლური სახე წიგნის სათაურდაც აქციეთ. მესამე ეტაპს კი, რომელიც ბოლო კრებულს – „ვერწმუნოთ ცივი სეზონის დასაწყისს“ მოიცავს, სულიერი სრულყოფისკენ მშვიდი სვლის გამოხატულება უწოდეთ. როგორც ირკვევა, ფორუყი პირველ ეტაპზე უფრო ხანგრძლივად შეყოვნდა, მაგრამ მერე, თვალთახედვის ცვლილების კვალდაკვალ, მისმა აღმასვლამ ტემპი შეიძინა. როგორ ფიქრობთ, ასეთი ცვლილებები ფორუყში რას უნდა გამოეწვიოს?**

შინაგანი განვითარების პერიოდს მათემატიკური და ლოგიკური კრიტიკურიუმებით ვერ განსაზღვრავ. მართალია, ფორუყის კრებულები, რომლებიც მისი ფსიქიკური და სულიერი მდგომარეობის გამომხატველები არიან, გარკვეულ დროს დაიბეჭდა, მაგრამ თავად ფორუყის შინაგანი განვითარება წუთებისა და საათების ათვლისა და სისტემატიზების ფარგლებს სცილდება.

მე ფორუყის ლექსების ანალიზისას მის ლექსებში არქექტიპების გამოვლინება დავინყე. არქექტიპებს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, პირველსახეებს ადამიანის ფსიქიკის სიღრმეებში სძინავთ და ხშირად სიმბოლოების სახით ვლინდებიან სიზმრებში, ხელოვნებაში, მითოლოგიურ სიუჟეტებში და რელიგიურ რიტუალებში.

ფორუყის ლექსი არქექტიპების სამყაროდან, კოლექტიური არაცნობიერიდან იღებს სათავეს. მაგრამ ცხადია,



რომ მისი შინაგანი გამოცდილება სიტყვიერების და პოეზიის ფორმითაა მოთხრობილი და ეს ფორმაში განსხვავდება რეალურსა და მათემატიკურ დროში ხორციელდება.

პირველ სამ წიგნში ფორუყი ჯერ მოგზაურობის – საკუთარი თავის აღმოსაჩენი მოგზაურობის – დასაწყისშია. თავის გარშემო ტრიალებს. უგზოობით მიდის, კვლავ ბრუნდება, ფორხილობს და ისევ მიცოცავს. ულრან ტყეში მიიკვლევს გზას და ლამის ყოველ ნუთს ბნელ ორმოში ვარდება. „მეორედ დაბადებით“ თვალს ახელს და ამ ეტაპზე მისი გზა ბნელი ლაბირინთი აღარაა, ეს გზა მთელი დედამიწაა, მთელი ბუნებაა.

ამ ეტაპზე ენა წრიულია, და მთელი ბუნების ადგილსამყოფელი. მისი პიროვნული მე საყოველთაო მე-დ იქცა და იგი, როგორც ყოფიერების დიდი დედა, მთელ დედამიწაზე განივრცო.

ყურადღება მიაქციეთ მის ლექსს:

*„მე დედამიწის მთელი ძლიერი*

*ვნება ვარ,*

*რომელიც მთელ წყლებს თავის*

*თავში იწოვს,*

*რომ მთელი ველები დააფეხმძიმოს“.*

მრავალ მითოლოგიურ სისტემაში და უძველეს ტრადიციაში მოწმენი ვართ დედა-მიწისა და მამის სულიერი გამოხატულების – ზეცის წმინდა ქორწინებისა. ეს რიტუალი ყოფიერების ორი განზომილების, შინაგანი სამყაროს ორი პოლუსის ერთიანობის გამომხატველია: ქვეცნობიერის იდუმალი ძალების (ლექსის ჯადოსნური სამყაროს, სიყვარულის, ქალური გონიერებისა და შინაგანი ინტუიციის) და მზის, სინათლისა და ლოგოსის ნათელი გონის ერ-

თიანობის გამომხატველი.

**ამგვარი კვლევისთვის მრავალმწერალსა და პოეტს შორის ფორუყი რატომ გამოარჩიეთ? მეამბოხე ფორუყს და მშვიდ გოლი თარაყის (ცხადია, თავ-თავიანთ ნაწარმოებებში) რა აქვთ საერთო?**

ვფიქრობ, ზნეობრივი ფანატიზმი და კნინი მსჯელობები გვერდზე რომ გადავდოთ, თუ შევძლებთ, თანდაყოლილი გონიერების სარკმლიდან ვისაუბროთ, თუ შევძლებთ, ჭოროკანა დეიდებისა და თვალთმაქცი ბიძიების წარმავალი განმაქიქებელი განსჯისგან განზე გავდგეთ, შევძლებთ ფორუყის მეამბოხეობისა და „გარყვნილების“ არსის გაგებას. ფორუყის ცხოვრება და პოეზია ცალ-ცალკე არ არსებობს. მისი ამბოხი, ჩემი ამბოხი, თქვენი ამბოხი – სიმახინჯისა და ტყუილის წინააღმდეგაა. მე ამ ამბოხს ჩემს თავში შევიგრძნობ და მასზე – მშვიდი ფორმით – ჩემს მოთხრობებში ვყვები. ჩემს ერთ-ერთ პირველ ნოველაში „მეც ჩე გევარა ვარ“ ამ ამბოხსა და მის რეაქციას ვხვდებით. ასევე, სხვა მოთხრობებშიც. ის, რასაც მე მეამბოხე ფორუყში ვაქებ, მისი გულწრფელობა და მართლის თქმაა, რომლებიც ჩვენს ლიტერატურაში ნაკლებადაა.

**ვფიქრობ, ცუდი არ იქნება, იმ ორ რომანზეც ვისაუბროთ, რომლებიც წლებია, საუბრის თემაა... ბოლოს და ბოლოს, „დაბრუნება“ და „ბატონი ალექსის უცნაური დარდები“<sup>1</sup> დაიბეჭ-**

<sup>1</sup> ნაწარმოების სახელწოდებაა „ბატონი ალექსის უცნაური ჩვევები უცხოეთში“. მოთხრობა,

დება? იმდენი დრო გავიდა, რომ მეორე რომანის სახელიც სხვადასხვა საიტზე და წყაროში სხვადასხვანაირად აღინიშნა.

ბატონი ალექსანდრე! და ახლა კიდევ – რომანი „დაბრუნება“ და ქალბატონი აზადე დერახმანი. მეკითხებით, როდის დაიბეჭდება? არ ვიცი. საყვარელი ბატონი ალექსანდრე ხომ დაბერდა და მალე მოკვდება კიდევ. ოცდაათი წელი გადის ჩვენი ნაცნობობიდან. ყოველდღე ვეუბნები საკუთარ თავს, რომ უნდა ვიჩქარო და არ ვჩქარობ. თითქოს მეშინია, ბატონ ალექსანდრე რომ დავამთავრებ, თვითონაც დავამთავრებ. ეს ერთი ვარაუდია. ერთგვარი ავადმყოფობა. ერთი რომანის დამთავრების, ერთი ბედისწერის დამთავრების, ერთი მნიშვნელოვანი საქმის დამთავრების. ესეც ვარაუდია. ამაზე ჯერ ნუ ვილაპარაკებთ.

**კარგი, ნუ ვილაპარაკებთ, დაბეჭდილ წიგნებზე ვილაპარაკოთ. აშკარაა, რომ ბოლო წლებში ირანში**

**ახალმა თაობამ თქვენ მიმართ დიდი ინტერესი გამოავლინა და ხელახლა აღმოგაჩინათ. ახალგაზრდები თქვენი ნაწარმოებების მიმართ ქებას არ იშურებენ. ამ ხელახალ აღმოჩენას რა მიზეზი უნდა ჰქონდეს?**

მე ახალგაზრდების მეგობარი ვარ და მიხარია, თუ, როგორც თქვენ ამბობთ, ჩემი წიგნები უყვართ. იქნებ იმიტომ, რომ ამ თაობას მოზეზრდა ერთი და იგივე – პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საკითხებზე, სოფლის ცხოვრებაზე, განსაკუთრებით, მემარცხენეობასა და ყალბ მოთქმა-გოდებაზე დაწერილის კითხვა.

**სხვათა შორის, თქვენ თავიდანვე ერთ-ერთი იმ იშვიათ ირანელ მწერალთაგანი იყავით, ვინც ირანის პოლიტიკულ და სოფლური ყოფით აღსავსე მწერლობაში არაპოლიტიკურ და ქალაქურ ნაწარმოებებს წერდით. იმ ფენის ნოსტალგიურ გრძობებსა და ოცნებებს აღწერდით, რომლის ხსენებაც იმ წლებში უარყოფითად აღიქმებოდა. ეს სტილი იმ დროი-**

რომელსაც თავად მწერალი დაუმთავრებელ რომანად მოიხსენიებს, 1994 წელს დაიბეჭდა კრებულში „გაფანტული მოგონებები“. ამ პერსონაჟთან დაკავშირებით (რომელიც პარიზში მცხოვრები ირანელი ემიგრანტია) მწერალი წერს: „ჩემს წარმოსახვით ცხოვრებაში როდის და როგორ გაჩნდა ეს კაცი? და რა აკავშირებს ჩემთან? საიდან მოვიდა? მივიწყებული წარსულიდან? ძველი სიზმრიდან? წინა ცხოვრებიდან? არაცნობიერის ოკეანის სიღრმეებიდან? რეალურ ცხოვრებაში მე მას არ ვიცნობ. მეგობარია? ნაცნობი? ნათესავი? არა, არავინ! წლების წინ ხანმოკლე შეხვედრა გვექონდა, გამოჩნდა და გაუჩინარდა. სალამი, რამდენიმე სიტყვა და მორჩა! მაგრამ მისი წარმოსახვითი სურათი შემომჩნა. მე მომაკითხა და დღემდე ჩემთანაა. იქნებ ამიტომაც არ მინდა ამ რომანის დამთავრება. როგორც კი ბოლო წერტილს დავსვამ, გაქრება. მივეჩვიე და მის ადგილს ვერავინ შემივსებს“ (ალი დეჰბაში, მეჰდი ქარიმი, „გოლი თარაყი, თხზულებების ანალიზი და კრიტიკული განხილვა“, ნაშრე ყათრე, 1382/2004, სპარს. ენაზე). სხვა ინტერვიუში (იმავე წიგნიდან, „ჩვენ მსოფლიო მნიშვნელობის თანამედროვე ლიტერატურა არა გვაქვს“, საიერ მოჰამადი, გაზ. „ირანი“, 29/7, 2002) ბატონ ალექსანდრე ამბობს: „სადაც არ უნდა წავიდეს, უცხოვდ დაჩრებ. უცხოობა მის არსებაშია. ასეა თუ ისე, მისი ბედისწერა ჩემს ბედისწერაშია შეხედილი და, რა გადანყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, ამით ჩემს მომავალს მოჰფენს ნათელს. ასჯერ მიკითხავს, ძვირფასო მეგობარო, რას აპირებ, რჩები თუ ბრუნდები-მეთქი? არაფერს ამბობს. გადანყვეტილების მიღება უჭირს“.

**დან აქამდე გრძელდება. ეს არატენ-დენციურობა თქვენთვის გაცნობიერებული არჩევანი იყო თუ შემთხვევითობა?**

ჩემი ნაწერები ჩემს პირად გამოცდილებას ემყარება. მე ქალაქში დავიბადე. თანამედროვე და პროგრესულ ოჯახში. თეირანში გავიზარდე. განათლება ამერიკაში მივიღე და ოცდაშვიდი წელია, რაც საფრანგეთში ვცხოვრობ. ამდენად, ჩემი ცხოვრებაც და ცხოვრებისეული გამოცდილებაც ქალაქთანაა დაკავშირებული. მე იმ საზოგადოებრივ ფენაზე ვწერ, რომელსაც ვიცნობ. არც ვაქებ და არც მის უვიცობას ვამასხარავებ. მე რა გამეგება სოფლური ცხოვრების, მუშების გაჭირვების, ნამების და ციხეების, რომ მათზე ვწერო? მათ მნიშვნელობას არ ვამცირებ. მაგრამ მათზე წერა სხვებისთვის დამითმია. მე კი ჩემი თეირანი თავიდან არ ამომდის.

**და ამის გამოა, რომ თქვენი ნაწარმოებების უმრავლესობაში სიყმაწვილეს ძალიან მკაფიო ფერებით ხატავთ და მთავარი პერსონაჟი ან ყმაწვილია, ან სიყმაწვილეს იხსენებს?**

რატომაა ჩემთვის სიყმაწვილე ასეთი მიმზიდველი? იმიტომ, რომ ფერადოვანი, ტკბილი და ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ანცი ვიყავი, ქარაფშუტა და შეყვარებული. ყველაფერზე შეყვარებული. დაწყებული წიგნიდან – ხოსრავის საღვეზელეთი და კაფე ნადერიტ დამთავრებული; უბნის ძველი ბიჭებით დაწყებული – შემირანის ავტობუსის ოქროსკბილიანი მძღოლით დამთავრებული. სახლი მქონდა, ოჯახი, სამშობლო და უსაფრთხოება. ფეხით მყარად ვიდექი მიწაზე. იმისი შიში მქონდა, რომ კომიტეტი ამიყვანდა, თუ თმის ერთი ღერის გამოჩენის მეშინოდა? უცხოობაში ცხოვრების სიძნელეები მტანჯავდა? ბინადრობის ვადის გაგრძელება? ათასი გადასახადი მანუხებდა თუ მოსაბეზრებელი სამსახურებრივი წერილების წერა? მხიარული და უზრუნველი ვიყავი, ოცნებებით, საამო სიზმრებითა და ასახდენი ნატვრებით პირთამდე სავსე! გული მომავლის მოლოდინით მიძგერდა და ყველა კარის გასაღები ჯიბეში მედო. ახლა, ფორუყისა არ იყოს, „ის დღეები წავიდნენ“, მაგრამ მოგონება ხომ დარჩა. ცხოვრება კი მომავლის მოლოდინისა და წარსულის გახსენების გარდა არაფერია.

\*\*\*\*\*

**თქვენი უკანასკნელი წიგნის გამოცემიდან ათი წელი გადის. ვიცით, რომ წიგნების ბეჭდვაში ძალიან ფრთხილი ხართ და დიდხანს ყოყმანობთ. მაგრამ რატომ? საიდან მოდის ეს დამოკიდებულება? <sup>1</sup>**

ნუთუ ათი წელია? დროის გასვლა ვერც შევამჩნიე. თუმცა, რომც შემემჩნია, ვერაფერს ვიზამდი. ძალით მოთხოვრებას ვერც მოიფიქრებ და ვერც დაწერ. შიგნით უნდა მოხდეს რამე. რამე

<sup>1</sup> ესაუბრა საიდ ფარზამ ჰოსეინი, რომან „შემთხვევის“ და მოთხრობების კრებულ „კიდევ ერთი შანსის“ დაბეჭდვასთან დაკავშირებით, სპარს. ენაზე, პარიზი, 2015 წელი.

შფოთი ან აურზაური. ახლა, რომანი „შემთხვევა“ რომ დავამთავრე, მის ადგილას ჩემს სულში უცნაური მდუმარება დამყარდა. არაფერი მაქვს სათქმელი. ჩემთვის ნაცნობი მდგომარეობაა. ვიცი, რომ „არის ჟამი თქმისა და ჟამი – დუმილისა“. ჩემი მოთხრობის პერსონაჟისა არ იყოს, „ბლის ხიდან“... ველოდები... იქნებ კვლავ ამიდულდეს შიგნით რაიმე ამბავი და ჩემი სული დაიპყროს. როცა ვერ ვწერ, წიგნებს ვკითხულობ. ბევრს ვკითხულობ. კითხვის სიამოვნება წერის ნეტარებას ენაცვლება.

გარდა იმისა, რომ ორი-სამი წელი ამერიკაში ჩემი მოთხრობების თარგმნითა და ბეჭდვით ვიყავი დაკავებული, წიგნებზე დანესებულმა ცენზურამაც გული გამიტეხა. არ მინდოდა, ისეთი წიგნი დამეწერა, რომელსაც ვერ დავბეჭდავდი. ბატონი აჰმადინეჟადის დროს ჩემი სახელი შერისხულთა სიაში იყო შეტანილი. თუ ვწერდი კიდევ რამეს, ვერ გამოვცემდი. რომანი „შემთხვევა“ ორი წლის განმავლობაში უპასუხოდ იდო, სანამ მოთმინება არ გამოემელია. ერთ დღესაც ჩავიცვი, დავიხურე და ცენზორს მივადექი. მითხრეს, ამ რომანის დაბეჭდვა არ შეიძლებაო. რატომ-მეთქი? უადგილო შეკითხვა იყო. აქამდე რატომ არ მითხარით-მეთქი? ისევ უადგილო შეკითხვა. მართალი გითხრათ, სიხარულითაც გამოვართვი უკან, რადგან მასში, ჩემი გულის გასახარად, რალაცების შეცვლა შემეძლო. შეცვლა-გადაკეთება ჩემი ავადმყოფობაა, თანაც – საამური ავადმყოფობა.

შემოქმედება ცოცხალი ორგანიზმია. თავისი თამაშები აქვს. სუნთქავს, ფორმას იცვლის, ბოლო გვერდზე „და-

სასრულის“ მინერით მას ვერ დაამწყვდევ. სწორედ იმ „დასასრულით“ იწყება თავიდან, წრეში ებმება, ბრუნავს, ტრიალებს და სხვა დროში და სხვა ადგილას ამოყოფს თავს. არ მთავრდება, უნდა გაუშვა. რა თქმა უნდა, არც მისი გაშვებაა ადვილი საქმე – შორეულ მოგზაურობაში საყვარელი შვილის გაშვებას ჰგავს. სამასგვერდიანი რომანის („შემთხვევა“) დანერა თავისთავად იყო უკვე შემთხვევა. მოულოდნელად შემემთხვა. თავისთავად მოხდა. თითქოს წინასწარ იყო დანერილი ჩემს გონებაში. ან იქნებ არაცნობიერის სიღრმეში? ვინ იყვნენ ეს ტყუპები და საიდან მოვიდნენ? ან რა აკავშირებდათ ჩემთან? ხვალინდელი დღის შვილები იყვნენ? მომავლის ახალგაზრდები?

**აი, სწორედ ეს მინდა გკითხოთ. თქვენი ნაწარმოებებიდან ცხადად ჩანს, რომ თქვენ ნოველისტი ხართ. თუმცა პრობლემა რომანის კუთვნილება იყო, თქვენ მაინც მუდამ ნოველას წერდით.**

„ზამთრის ძილქუში“ ხომ ერთგვარი რომანია, თავისებური სტილის რომანი. საერთოდ კი, მე ნოველაზე ვგიჟდები. მისი შეკუმშული თხრობა და დრო მხიბლავს. სიტყვების შერჩევა განსაკუთრებულ გულმოდგინებას მოითხოვს – როგორც ფერადი ძაფებით ხალიჩის ქსოვა. ცხოვრება ხომ პატარ-პატარა მოულოდნელობებითაა სავსე. გზაზე უცბად ვილაც გამოჩნდება და ბედისწერის მატარებელს მიმართულებას შეუცვლის. ჩემთვის ასეთი იყო პოემა „ზღვის ფერია და ოქროსქოჩორა“. სად მე და სად ლექსი? მთელი ეს რითმები? გინდ

დაიჯერეთ, გინდა – არა, „ზღვის ფერია“ წინასწარ იყო დაწერილი ჩემს სულსა და არაცნობიერში. ვილაცას დაეწერა, ვინც ჩემი წიაღის ბნელ კუთხეში მიმალულიყო. მე მისი წერის იარაღი ვიყავი. ახლა ზღვის ფერია ცენზურის ტყვეობაშია. საყვარელი ბავშვი. შემომთავაზეს, რაღაც სტრიქონები შემეცვალა. არ შემეძლია. არ მეხერხება. ზღვის ფერიის არაკი თითქოს ძილში დავწერე, ახლა კი მღვიძავს. ასევე დამემართა რომანზე „შემთხვევა“. წერა რომ დავიწყე, წინასწარ არავითარი კონკრეტული აზრი და წარმოდგენა არ მქონდა, როგორი იქნებოდა. ლალად მიდიოდა. რა თქმა უნდა, ენის პრობლემა ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ არ გავუნვალეზივარ. მემორჩილებოდა. ტყუპებს ვიცნობდი. არ ვიცოდი, ვინ იყვნენ და ჩემს ცნობიერებასთან რა აკავშირებდათ, მაგრამ მათ აზრებს ვკითხულობდი და მათი სიტყვები მესმოდა. ამ რომანის წერის განმავლობაში ერთი რამ იყო ჩემთვის ნათელი: ამ და-ძმის სიყვარულის ქეშმარიტება, ამ ტყუპების მარადიული კავშირი. ღმერთებს შეშურდათ მათი სიყვარული და ბედისწერად განშორება მიაგეს. დაშორდნენ კიდევ, მაგრამ სიზმრად და სულში მაინც ერთად იყვნენ, ერთმანეთის ხმა ზღვებისა და მთების გადაღმიდან ესმოდათ. ერ-

თმანეთისგან განცალკევებულნი, ერთად იყვნენ და მათი ერთად ყოფნა ასტროლოგიური აუცილებლობა იყო, როგორც მინისა და ზეცის კავშირი.

**საინტერესოა, რომ თქვენ ამ რომანში დროის ფენომენს ისე არ უდგებით, როგორც წინა ნაწერებში. თუმცა პერსონაჟები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩანან, მაგრამ დროს ახლებური თავალთახედვით განიხილავთ.<sup>1</sup>**

განა შეიძლება წარსულის და მომავლის გამიჯვნა? განა შეიძლება, პერსონაჟი ისე დახატო, რომ მას წარსული არ ჰქონდეს? ბავშვობა, სიჭაბუკე, მონიფული ასაკი – ჩვენი არსებობის სიცოცხლის ქსოვილია. როგორ შევძლებდი, შადისა და ნადერზე მესაუბრა და მათი წარსულისთვის არ შემეველო თვალი? ლაპარაკი წარსულის ხოტბაზე ან მონატრებაზე კი არაა, არამედ – ცხოვრებისეულ რეალობაზე, წარსულთან განშორებაზე, რომელსაც ბედისწერის ჯვარივით ვეზიდებით ზურგით ანმყოთან და მომავალთან ერთად. იმ მომავალთან ერთად, რომლისკენაც მივდივართ და რომელიც ჩვენი ყოველი ამოსუნთქვით წარსულის ჯაჭვს უერთდება. ყველა ეს დაყოფა შიგნით ხდება – მასშტაბი, კალენდარი და პირადობის მოწმობაში მითითებული დაბადების წელი პირობითია. მაგალითად, შადი სა-

<sup>1</sup> ერთ-ერთ ინტერვიუში, როდესაც ჰკითხეს, წარსულზე ანმყო დროში რატომ წერთო, გოლი თარაყიმ ასე უპასუხა: „ემოციურ ამბებს ანმყო დრო აქვთ. ანმყო, რომელიც წარსულში გადადის და ისევ ბრუნდება. განა შეგვიძლია საკუთარი თავის წარსულისგან გამოცალკევება? წარსული, ანმყო და მომავალი ჩემში ბრუნდებიან, მიდი-მოდიან, დროში ტრიალი მომწონს და წერის ეს ტექნიკა ავითვისე“ (მაჯიდ ესლამი, ნაყმე სამინი, ნაჰიდ მუსავი, „წარსული, ანმყო, ბავშვობა და მომავალი, სინამდვილე და წარმოსახვა“, აღმანახი „ჰაფთე“, #4, 1382/2004, სპარს. ენაზე, წიგნიდან „გოლი თარაყი, თხზულებების ანალიზი და კრიტიკული განხილვა“).

მოცი წლის ასაკში თავს ორმოცი წლის ქალად ხედავს და შეიგრძნობს. ხოლო, როცა ნადერს ხვდება, ისევ იმ ანც ბავშვად იქცევა, ძმას თმებით რომ მიათრევდა წყალქვეშ და ფართოდ გახელილი თვალებით აშტერდებოდა. ისეთად, როგორც მაშინ იყო.

**თქვენს მკითხველს კიდევ ერთი კითხვა უჩნდება, რომ თქვენ ირანში არ ხართ, მაგრამ ირანელებს კარგად იცნობთ!**

მე ირანში არ ვარ, მაგრამ ირანში ვარ. რეალობაშიც და ფიქრებშიც. სისტემატურად ჩამოვდივარ, დიდი ხნით ვრჩები, ვუყურებ, ვუსმენ. მეხსიერებაში სახეები, სიტყვები, ფორმები, ხმები, სუნები და ფერებიც კი ინახება. ტვინში ერთგვარი მაგნიტოფონი მაქვს, რომელიც გამართულად მუშაობს. ხშირად ერთი წლის წინ გაგონილი ფრაზა მახსენდება და ჩემს მოთხრობაში იდებს ბინას.

წიგნში „კიდევ ერთი შანსი“ მოთხრობა მაქვს, სათაურით „არჩევანი“. ოცდაათი წლის წინ, რევოლუციის დასაწყისში, გაზეთში წავიკითხე, რომ ვაჟიშვილმა მოხუცი დედა აეროპორტის მიდამოებში რომელიღაც სახლთან დატოვა და თვითონ ამერიკაში გაფრინდა. მოხუცი ქალი კი შვილის დაბრუნებას და მასთან ერთად ამერიკაში გამგზავრებას ელოდება. ამ ამბავმა შემძრა. რა ელის ამ ქალს? შვილმა რატომ ჩაიდინა ეს სამწუხარო საქციელი? ამ კითხვების

პასუხი ტრაგიკულ-სასიყვარულო მოთხრობად გარდაისახა. ირანი სავსეა გასაოცარი შემთხვევებით და დაუფერებელი ამბებით.

ასევეა მოთხრობა „წარსული“, იმავე კრებულიდან. თვალში დიდი სახლის წინ ხეზე გაკრული აბრა მეცა. მასზე ეწერა: „ისტორიის სავალ გზებზე“. ანტიკვარული ნივთების მუზეუმი იყო, სახელმწიფოს სარგებლობაში გადასული, დიდგვაროვანთა სახლებიდან გამოტანილი ნივთების მუზეუმი. რამდენიმე დღე ამ მუზეუმზე ფიქრი არ მასვენებდა. ვისი სახლია? სად არის მისი პატრონი? ამ ანტიკვარიატის პატრონები ვინ არიან? ყოველდღე წარმოსახვითი ადამიანები მეხვეოდნენ გარს და მეუბნებოდნენ, რომ მათ ამ სახლში მრავალი წელი ეცხოვრათ. მათ მეც შევუერთდი და განვაცხადე, რომ მთელი ბავშვობა და სიცმანვლელე ამ სახლში მქონდა გატარებული. გონებაში დახატული მოთხრობა თავისკენ მენეოდა. საკუთარ თავს ამ სახლში ვხედავდი და მისი ტკივილიანი მოვლენების მოწმე ვიყავი. ჩემს გონებაში წარმოსახვა და სინამდვილე ერთმანეთს ებმოდა.

**ახალგაზრდა პროზაიკოსების ნაწერებს თუ კითხულობთ?**

ნაკლებად. მე ენის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. ლიტერატურა ჩემთვის ენაა, სხვადასხვა დეტალის დამატებით.<sup>1</sup> ახალგაზრდების ნაწერების უმრავლესობას სამ-

<sup>1</sup> ერთ-ერთ ინტერვიუში გოლი თარაყი წერს: „სპარსული ენა უკიდევანო ზღვად გართხმულა ჩემს ფერხთით და გულით მინდა, მის უშორეს ზვირთებს შევეთამაშო“ (ესაუბრა მარიამ აფშანგი, აღმანახი „ჰამშაჰრიე მაჰ“, #2, 1380/2002). როდესაც ჰკითხეს, დღევანდელი ჟარგონის ათვისებას და გამოყენებას თუ აპირებთო, უპასუხა: „სრულიად არ მინდა, ის ენა ვისწავლო, ახლა რომელზეც მეტყველებენ. არც ამ სიტყვების გამოყენება მინდა. გაზეთების ენა საერთოდ არ მესმის,

წუხარო უგულისყურობა და უგემოვნობა ახლავს, რაც ძალიან მანადვლებს. მაშინაც კი, როცა ბარათს მიგზავნიან, მათი ენა მზარავს. დაფეხვილი სასაუბრო სპარსული, დანგრეული ლიტერატურული ენა. მათ შორის გამონაკლისებიც არის, მაგრამ მხოლოდ გამონაკლისები.

**და ბოლო შეკითხვა, რომ აღარ გადაგვალთ: თქვენი რომანის „ბატონი ალექსის უცნაური ჩვევები უცხო-**

**ეთში“ საქმე როგორაა?**

დავკარგე ბატონი ალექსი. კომპიუტერიდან გაქრა, აორთქლდა, არ არის. შეიძლება, დაბერდა ან მოკვდა. ოცდაათი წელი გავიდა... მაგრამ, მართალი თუ გნებავთ, საყვარელი ალექსი კვლავაც და კვლავაც ჩემი სულის ქუჩაბანდებში ცოცხლობს. მისი რვა-ცხრა თავი დანერვილი მაქვს. მალე მივაკითხავ. აღარც მას დარჩენია დიდი დღე და აღარც – მე.

\*\*\*\*\*

**თქვენ ერთგან ბრძანეთ, რომ მწერლობა მამისგან მემკვიდრეობად გერგოთ: „მისი სახე იმდენად ძლიერი იყო ჩემს ცნობიერებაში, მინდოდა, მისნაირი ვყოფილიყავი“.<sup>1</sup>**

ხელოვნებისადმი მიდრეკილება ოჯახებში ხშირადაა მემკვიდრეობითი. მამაჩემი ჟურნალ „თარაყის“ გამოსცემდა და მეც სულ ჟურნალთან მქონდა ურთიერთობა. ასევე, ნიგნებთან და მამასთან, რომელიც თვითონაც წერდა მოთხრობებს. წერის ნიჭი მქონდა. თხზულებაში მუდამ ოც ქულას ვიღებდი, მათემატიკაში კი დაბალი ქულები მქონდა. კრებულში „ორი სამყარო“ ერთი მოთხრობა მაქვს, რომელშიც ვწერ-

დი, როგორ შევედი, ჯერ კიდევ სრულიად პატარა, მამაჩემის ოთახში და დავინახე, რომ იჯდა და წერდა. ჟურნალ „თარაყის“ მენინავე სტატიას მუდამ თვითონ წერდა ხოლმე. ვუყურებდი და ასოები ჭიანჭველებად მეჩვენებოდა. გვერდით დამისვამდა ხოლმე, კალამს მელანში ჩაანობდა და ასოების მოხაზულობას მაჩვენებდა. მეგონა, რომ ყველაფერი, რაც კი არსებობდა, ამ ჯადოსნურ მელანში იმალებოდა. ის მელანი ჩემთვის მთელ სამყაროდ ქცეულიყო. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, რომ მასში იყო ყველაფერი, რაც მე მომწონდა. მამაჩემი ოთახიდან რომ გავიდა, დავჯექი, თითი მელანში ჩავანე და ქალღმერთს ჩამოვუსვი, მერე – კაბას... მოთ-

მაგრამ კარგ სპარსულ ლიტერატურას ვკითხულობ“ (მაჯიდ ესლამი, ნაყმე სამინი, ნაჰიდ მუსავი, „წარსული, აწმყო, ბავშვობა და მომავალი, სინამდვილე და წარმოსახვა“, აღმანახი „ჰაფთე“, #4, 1382/2004, სპარს. ენაზე, წიგნიდან „გოლი თარაყი, თხზულებების ანალიზი და კრიტიკული განხილვა“).

<sup>1</sup> ესაუბრა ქამალ სადეყი, „ჩემთვის ყველაფერი მოთხრობაა“, სპარს. ენაზე, თეირანი, შეხვედრა წიგნის მაღაზიაში „აიანდე“, 2015.

ხრობის დაწერას ვაპირებდი. რაც გონებაში მიქონდა, მოთხრობად უნდა დამეწერა. უცბად ხმა ჩამესმა: დედა მიყვიროდა, შე ბინძურო გოგო, ეს რას დამსგავსებინარო? კინნისკვრით გამაგდო აბაზანაში, კაბა გამხადა, შხაპი მოუშვა და ვაი! ვხედავდი, ჩემი მოთხრობა წყალს მიჰქონდა. ეს იყო ჩემი პირველი ცენზურა. აქამდე ვფიქრობ იმ პირველ და, ვინ იცის, იქნებ ჩემს საუკეთესო მოთხრობაზე. ვფიქრობ, რასაც ვწერ, იმისთვის ვწერ, რომ ის პირველი, საუკეთესო და ყველაზე სრულყოფილი მოთხრობა აღმოვაჩინო.

... ჩემთვის ყველაფერი მოთხრობაა. ყველაფერი, რასაც ვხედავ. სამყარო, ადამიანები – რომანის პერსონაჟები არიან. ყველა ადგილი, სადაც დავდივარ, ქუჩები, რომლებსაც გავივლი, გონებაში მებეჭდება. ამიტომ ვამბობ, რომ მე ირანი მჭირდება. თეირანი მჭირდება. იმისთვის, რომ ვწერო. იმიტომ, რომ პარიზში დისტანციას ვგრძნობ. შორს ვარ. ოცდაათობმეტი წელია, პარიზში ვცხოვრობ. პარიზისგან, პარიზული ცხოვრებისგან და ყველაფერ იქაურისგან კი შორს ვარ. პარიზში ვცხოვრობ და რაღაცებს ვიღებ, მაგრამ რაღაცები შინაგანად ჩემი არ არის. ისევე, როგორც ფრანგული ენა. ფრანგული ჩემს გულში არ ზის, ჩემს შიგანში არ ზის, თუმცა კარგად ვლაპარაკობ. ოცდაათი წლის თავზე ვისწავლე. და მაინც, როცა ლაპარაკს ვიწყებ, ადამიანებთან დისტანციას ვგრძნობ. მე ამ ენის გარეთ ვარ. ვათვალთვლებ, ვარჩევ, თითქოს სუპერმარკეტში ვიყო. საუკეთესო წვრილმანებს, საუკეთესო

ნივთებს, საუკეთესო საქონელს ვიღებ და ერთმანეთის გვერდით ვანყობ. რაც მეზედმეტება, იმას არ ვიღებ. სპარსული კი ჩემთვის სულ სხვაა. მიუხედავად იმისა, რომ თექვსმეტი წლისა უკვე ამერიკაში მოვხვდი, შემდეგ კი – საფრანგეთში, ღრმა შინაგანი კავშირი სპარსულთან მაქვს. ამ ენაში ვარ შეზღუდული. სპარსული ჩემშია, გარედან არ ვუმზერ, არ ვარჩევ. სპარსული ენა ჩემს ჯიგარშია, თავისთავად ვართ ერთნი. ენასთან ასეთი კავშირი ნებისმიერი ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მწერალიც რომ არ იყოს. მე კი – მწერალი, ირანში ჩამოსვლის წამიდანვე თითქოს სიტყვების, ენის იმ ოკეანეში ვხვდები, რომელთანაც ძველისძველი ახლობლობა მაკავშირებს. იმ ხმებს, რომლებიც მესმის, იმ სუნებს, რომლებსაც შევიგრძნობ – ყველაფერს ძველზე ძველი ახლობლობა აქვთ ჩემთან. ხმები, რომლებიც მესმის, ძალიან მშობლიური ხმებია – ტომთან, გვართან და მოდგმასთან რომ აქვთ კავშირი. ამოოხვრაც კი... იცით, რომ ირანელის ამოოხვრა ევროპელის ამოოხვრისგან განსხვავდება? ევროპელს მიზეზი სჭირდება. თუ ლოგიკური საწარმო არა აქვს, ტყუილად არ ამოიოხრებს. ირანელის ოხვრა კი საუკუნოვანი ოხვრაა, მისტიკური ოხვრაა. ღმერთმა იცის, საიდან მოდის. ეს სიღრმისეული ამოოხვრა დაუსაბამო მოგონებების ნიშანია. მის უკან სხვა ნაღველია. მისტიკური ნაღველი. ეს ამოოხვრა კერძოდ ირანული კულტურის ამოოხვრაა.

... მე ჩემი სიუჟეტების დიდი ნაწილი ირანში ვიპოვე. მოთხრობების უმრავლესობას აქაურობასთან აქვს კავშირი.



ირანი ისეთი სიურრეალისტურია, თითქოს ზღაპრებით იყოს მოფენილი. იმდენია საოცარი ამბავი! თქვენ, შესაძლოა, მათ შეჩვეული ხართ და გვერდითაც ჩაუაროთ, მაგრამ მე ვერ ჩავუვლი. ჩემთვის ირანი მოგონებების წყაროა, ევროპა კი მოგონებებს არ აღმიძრავს. პარიზში ოცდაათ წელზე მეტი ვიცხოვრე, მაგრამ ამ ოცდაათ წელიწადს მოგონება არ გააჩნია. წარსული არ გააჩნია. ჩემთან რაღაც კავშირი კი აქვს, მაგრამ ძალიან ზედაპირული – თავად იმ ოცდაათი წელიწადით. თეირანი ძალიან შეიცვალა. ვერც კი ვცნობ ამ ქუჩებს, ურჩხულებივით კომკებს... თეირანი რკინის მონსტრების ზეიმად იქცა. ჩემს ქუჩაზე ხუთი-ექვსი ამწე დგას. ღამე რომ ჩამოწვება ხოლმე, მონსტრების წვეულება იმართება. დრაკულების წვეულება. აღარ არის ის ძველი ქუჩა, მაგრამ ჩემთვის წარსული ყველა კუთხე-კუნჭულიდან მოძვრება. ის თეირანი აღარ არსებობს, მაგრამ არის რაღაც-რაღაცები – ძალიან ძვირფასი, რომლებთანაც ჯერ კიდევ მრავალი მოგონება მაკავშირებს. ჯერ კიდევ არის ნამცეცები, რომლებიც მე იმ ძველ ქვეყანასთან მართებენ. თუმცა მაინც ვწუხვარ, რომ იმ ძველ თეირანს ვეღარ ვპოულობ. „გაფანტულ მოგონებებში“ მე ამ ყველაფერზე ვილაპარაკე...

... ერთხელ ბებიას მოსანახულებლად მივედი. ძველებურ ტახტზე იჯდა, გვერდით დიდი რადიო ედგა და ძალიან სევდიან მუსიკას უსმენდა. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და, სიბერის წინაშე

მდგომმა, ჩემი მომავალი დავინახე. ამ განწყობით გამოვედი. იქვე ახლოს, ყავამ-ოს-სალთანეს ქუჩაზე, კაფე იყო, იმდროინდელი ინტელექტუალების და ხელოვანების თავშესაყარი. ხელოვანთა უმეტესობას სწორედ იქ ვხედავდი ხოლმე. მათ შორის – ფორუყს. ფორუყ ფაროხზადი იქ ხშირად დადიოდა. მე მას ვიცნობდი, ებრაჰიმ გოლესთან გავიცანი. რომ შევედი, ფორუყი იქ იყო, მანიშნა, მასთან დავმჯდარიყავი. გული კინალამ ამომივარდა: ჩემთვის უსაყვარლესი პოეტისთვის რა უნდა მეთქვა, რომ მივიდოდი? უნებურად ლაპარაკი დავიწყე. ბებიაზე ვუყვებოდი, მის სახლზე. ბიძაჩემზე და მის მემტრედობაზე, იმ სახლის უცნაურ ატმოსფეროზე. ფორუყმა მითხრა, ეს ხომ შესანიშნავი მოთხრობაა, რატომ არ წერო? წამაქეზა და მეც დავწერე. შემდეგ ეს მოთხრობა, სათაურით „პაემანი“, ჟურნალში დაიბეჭდა. მოთხრობის დაბეჭდვის შემდეგ ფორუყმა მითხრა, ხომ გეუბნებოდი, რომ მწერალი ხარო, და ეს სიტყვები სამუდამოდ ჩამრჩა ყურში. მე ფორუყი ირანის საუკეთესო პოეტად მიმაჩნია. ვგიჟდები მის ლექსებზე და ეს მცირე ნახალისება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ყოველთვის წინ მიბიძგებდა.

... პარასკეობით ებრაჰიმ გოლესთან<sup>1</sup> სახლის კარი იღებოდა და ყველა, ვის მიმართაც კეთილგანწყობილი იყო, მასთან იკრიბებოდა. ჩემი ქმრის, ჰაჟირ დარიუმის წყალობით, რომელიც კინემატოგრაფში მოღვაწეობდა და გოლეს-

<sup>1</sup> ებრაჰიმ გოლესთან – ცნობილი ირანელი კინორეჟისორი და მწერალი.

თან საფრანგეთში სწავლის პერიოდში გაეცნო, მეც დავიწყე მასთან სიარული. სწორედ იქ ვნახე პირველად ფორუეცი. კარგად მახსოვს ის პირველი ჯერი. იქ იყვნენ თავად გოლესთან, ფორუეცი, სეფეჰრი, სადეყ ჩუბაქი, ფარი საბერი და კიდევ ბევრი იმ დროის ლიტერატურული ელიტიდან. სოჭრაბი ტანმორჩილი იყო, კაფანდარა, ძალიან მორცხვი და ყოველთვის თავჩაღუნული. სიცილს მუდამ ყლაპავდა ხოლმე. ძალიან მოკრძალებული იყო, გასაოცრად მოკრძალებული და დახვეწილი. ძალიან მომწონდა. ჩიტს ვამსგავსებდი. ფორუეცი სეფეჰრისთან ახლოს იყო, მეგობრობდნენ. ერთ დღეს ფორუეცი რამდენიმე კაცი თავისთან დაგვპატიჟა. სეფეჰრის იქ დავუახლოვდი. მას ორი სახე ჰქონდა. ერთი სახე – შინაგანი – მხოლოდ საკუთარი თავისთვის ჰქონდა. იმ საღამოს ფორუეცი თქვა, ახალი ლექსი დავწერო და „ხელმეორედ დაბადება“ წაგვიკითხა. სეფეჰრისაც ვთხოვეთ, რამე წაეკითხა. ერიდებოდა, არაფრით არ დაგვთანხმდა. მისი ლექსი ფორუეცი წაგვიკითხა და მე მივხვდი, როგორ მოსწონდა სეფეჰრის პოეზია.

სეფეჰრი თავის ლექსებს ჰგავდა. ბევრი პოეტისგან განსხვავებით, ტყუილად არაფერს ამბობდა. სხვანაირად არ ცხოვრობდა. მისი ლექსი მისივე ცხოვრება იყო. ზუსტად ისე ცხოვრობდა. ზუსტად ისე სადად, ზუსტად ისე გულწრფელად, ზუსტად ისე დახვეწილად. ქაშანში რომ ჩავედი, ვნახე, რომ მისი სახლიც მისი ლექსებივით იყო. უზო-

მოდ კოპნია პატარა სახლი ჰქონდა. კუთხეში ერთი ჭილოფი ეგო და ნემსინვერას ქოთანს იდგა. კედელზე ფორუეცის რამდენიმე ნახატი ეკიდა. თავისი ნახატები არ ჰქონდა.<sup>1</sup> სამოთხესავით სახლი იყო. მისსავე ნახატებს ჰგავდა.

### **თქვენს ნაწერებში ხშირია მოგზაურობის, დაბნეულობის, გზააბნეულობის თემა. ამაზე რას გვკვებთ?**

მთელი ჩემი ცხოვრება მოგზაურობაში გავიდა. ასე იყო ბავშვობაში, როცა მამამ ამერიკაში გამიშვა და ასე იყო მერეც, როცა საფრანგეთში წავედი და ჩემი ცხოვრება დაუსრულებელ წასვლა-მოსვლად იქცა აქედან – იქით და იქიდან – აქეთ. ომის დროსაც კი დავდიოდი აქეთ-იქით, როცა ბავშვები ჯერ კიდევ პატარები მყავდნენ. მთელი ჩემი ცხოვრება მოგზაურობაზეა ჩამოხდებული. ხანდახან ვფიქრობ, რომ უნდა დავბრუნდე. მაგრამ ვხედავ, რომ გულს დაბრუნება არ უნდა. არც აქ შემოძლია დარჩენა. მართლაც, რომელია ჩემი ქალაქი? აქაურობის ერთი ნაგლეჯი მიყვარს, მაგრამ ბევრი რამაა ისეთი, რასაც სრულიად ვერ ვეგუები. დაუსრულებელ საცობებსა და დაბინძურებულ ჰაერზე რომ აღარაფერი ვთქვა, ეს თეირანი აღარაა ჩემი თეირანი. ამ თეირანს შორეული მსგავსებაა აქვს ჩემს თეირანთან და ეს მანვალეებს. თუმცა ჩემი კანი, ხორცი და ძვალი აქედანაა აღებული და აქვე აწყობილი, ხშირად აქ უცხო ვარ. ერთხელ მითხრეს, ოცდაათი წელია, პა-

<sup>1</sup> სოჭაბ სეფეჰრი, გარდა იმისა, რომ პოეტი იყო, განათლებით მხატვარი გახლდათ, არაერთი გამოფენის მონაწილე და პერსონალური გამოფენის ავტორი.

რიზელი ხარო. მათ რა იციან... პარი-  
ზელობა თხელი ფენაა, ჩემს ირანელო-  
ბაზე დადებული. თქვენ მეუბნებით, რომ ჩემი მოთხრობები გზააბნეულო-  
ბაზეა. დიახ, ესაა სწორედ გზააბნეუ-  
ლობა. სად არის ჩემი სახლი?

სპარსულიდან თარგმნა  
**მზია ბურჯანაძემ**

## გოლი თარაყის სიტყვების გემო

სიტყვების დამორჩილება ურთულესი საქმეა, ყოველ მათგანს თავისი სიღრმე და შინაგანი რიტმი აქვს და მათი ერთმანეთთან ისე შეკავშირება, რომ მხოლოდ ლამაზი სიტყვების აცმა კი არ გამოვიდეს, არამედ მწერალმა მნიშვნელოვანი საკითხები და პრობლემები გახსნას, რთული ამბავია. მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ, გლობალურ, ერთი შეხედვით, მშრალ და სულიერებისგან შორს მდგომ თემებზე ისე წერონ, რომ თავიანთი ნაწარმოებები ენის ნამდვილ დღესასწაულად აქციონ. გოლი თარაყი სწორედ ასეთი მწერალია, ენის ნამდვილი ჯადოქარი, რომელიც შესანიშნავად გრძნობს სიტყვის მაგიურ ძალას და მკითხველიც მისი თანამგზავრია სიტყვების თვალუნვდენელ და ჯადოსნურ სამყაროში. მის პროზას თავისი ხმა, გემო, ფერი და სურნელი აქვს. მისი მოთხრობები ნამდვილი ამბებია, ნამდვილი ადამიანებით. მათი ნაკითხვის შემდეგ შეგიძლია თქვა, რომ ირანში იმოგზაურე და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია – ადამიანის სულის უშორეს მღვიმეებშიც შეაღწიე. ამ ხანგრძლივსა და დიდ მოგზაურობაში კი გოლი თარაყი და მისი სევდიანი პერსონაჟები გინევდნენ მეგზურობას.

გოლი თარაყის შემოქმედებაში არაერთი მნიშვნელოვანი თემაა გაშლილი და გაანალიზებული. ყველა ეს საკითხი, განურჩევლად ორიგინალობისა თუ ტრივიალობისა, სამყაროსადმი ავტორის განსაკუთრებული პოეტური დამოკიდებულების წყალობით სრულიად განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. თარაყის მოთხრობები სავსეა

ლირიზმით, შინაგანი რიტმით. მწერალი თავის პერსონაჟებში ცხოვრობს, ესმის მათი ტკივილი და, როცა მის მოთხრობებს კითხულობ, გჯერა, რომ არც ერთი სიტყვა არ არის მოგონილი, ყველაფერი თავისი გონებისა და სულის ხვეულებში გამოუტარებია და ახლა ამ ნაფიქრსა და განცდილს სიტყვების საბურველში ახვევს.

თანამედროვე ლიტერატურული თეორიების თანახმად, მხატვრულ ნაწარმოებში გასარკვევად და მის გასაანალიზებლად მწერლის ცხოვრებისეული პერიპეტიების ცოდნა და მათში წიაღსვლა არათუ საჭირო არაა, არასწორიც კია, რამეთუ ავტორი ცალკე სუბიექტია, მისი შემოქმედება კი – ცალკე ფენომენი. მაგრამ არიან მწერლები, რომელთა ნაწარმოებების ბოლომდე გათავისება და, მით უფრო, განხილვა, ავტორის პირადი გამოცდილების გათვალისწინების გარეშე სრულიად შეუძლებელი და არაბუნებრივიც კია, იმდენად ორგანულადაა ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან კავშირში. გოლი თარაყიც სწორედ ასეთი მწერალია. მისი ცხოვრება და შემოქმედება იმდენადაა ერთმანეთს გადაჯაჭვული, რომ ხშირად ჭირს თარაყის ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მხატვრული ფანტაზიის ერთმანეთისგან გამიჯვნა. თუკი მისი პერსონაჟების ცხოვრების გზას მიადევნებ თვალს, მათ სადარდებელს, სიხარულს იგრძნობ და გულის ხმას მიაყურადებ, უმალ ამოიცნობ გოლი თარაყის ხმას, რომლითაც ეს პერსონაჟები საუბრობენ, მის ფიქრსა და გრძნობას – პერ-

სონაჟთა ხასიათსა და ქცევაში განსხეულებულს. ეს ერთიანობა განსაკუთრებით აშკარაა მაშინ, როდესაც თარაყი ემიგრანტი, უცხოობითა და სამშობლოს მონატრებით გატანჯული პერსონაჟების სახეებს ხატავს – მათ უკან თავად მწერალი დგას საკუთარი ისტორიითა და მძიმე განცდებით.

გოლი თარაყი ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ პარიზში, ემიგრაციაში ცხოვრობს, თუმცა წლის რამდენიმე თვეს თეირანში ატარებს და, როგორც თავად ამბობს, ისტორიებს აგროვებს თავისი მოთხრობებისთვის: „*მე მჭირდება შინ დაბრუნება, რადგან იქ არის ჩემი ინსპირაცია*“. უკვე მრავალი წელია, მწერალი ამ ორ კონტრასტულ სამყაროს შორის ცხოვრობს, რეალური და წარმოსახვითი საზღვრების მიღმა. იქ, სადაც აღმოსავლეთის მზით გულგამთბარი, მხიარული და მსუყე ტკბილეულით პირდამტკბარი ირანელები უცხო ქუჩებში ცივ, გულდახურულ ევროპელებს ხვდებიან. თეირანიც და პარიზიც ორივე მისი სახლია, ერთი – ბავშვობისდროინდელი სავანე – სავსე ჯადოსნური მოგონებებით, პირველქმნილი სილადითა და სიხარულით, მეორე – საიმედო თავშესაფარი, რომელიც მწერლისთვის სიმშვიდესა და თავისუფლად ცხოვრებასთან ასოცირდება. გოლი თარაყის არცერთი არ ეთმობა, მისთვის ორივე თანაბრად ძვირფასი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ამიტომ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას მუდმივად თან სდევს ერთ-ერთი სახლის მონატრების შეგრძნება. მწერალიც და მისი პერსონაჟებიც ამ ერთგვარი გაორებით იტანჯებიან, პა-

რიზში მყოფებს თეირანის მზიანი ქუჩები ენატრებათ, იქაური ფერები, ადამიანები და ისტორიები, რომლებიც მათ მეხსიერებასლა შემორჩენია, ირანში დაბრუნებულები კი თავს უცხოდ გრძნობენ, რადგან დროის მდინარებას ყველაფერი უმოწყალოდ შეუცვლია. გაუცნობიერებელი სურვილი, დაუბრუნდნენ საკუთარ მოგონებებში ჩარჩენილ დროსა და ადგილს – შეჩერებულ წამს – მძიმე დაღს ასვამს მათ სულსა და გონებას.

გოლი თარაყი სამშობლოს მონატრებამ და უცხოობის სიმძიმემ ემიგრანტული ცხოვრების დასაწყისში ფსიქიატრიულ კლინიკამდეც კი მიიყვანა. სულიერად მძიმე მდგომარეობაში მყოფ მწერალს ექიმებმა ურჩიეს, რომ ერთგვარი მოგზაურობა მოეწყო წარსულში, თავის არაცნობიერში და დაეწერა ყველაფერი, რაც მის მოგონებებში ცოცხლობდა. სწორედ ამ მოგზაურობის შედეგია მოთხრობების კრებული “ორი სამყარო”. მოგონებებში ხეტი-ალმა, საკუთარი თავის და ბავშვობის პერსონაჟების შეცნობამ, ამ ყველაფრის ხელახლა გააზრებამ და ფურცელზე გადმოტანამ მწერალს სიცოცხლის სურვილი და უნარი დაუბრუნა, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამ ერთგვარმა მოგზაურობამ მწერალი კიდევ უფრო მეტად მიაჯაჭვა საკუთარ წარსულს, მოგონებებსა და მის მეხსიერებაში შემორჩენილ თეირანის ძველ ქუჩებს, საყვარელ ადგილებსა და შემირანის ბაღს. გოლი თარაყი და მისი პერსონაჟები გამუდმებით წარსულში ბრუნდებიან, უკან იხედებიან და მოგონებებით ცხოვრობენ. მწერალი ზოგჯერ თხრობას ანმყო დროში იწყებს, მაგრამ ყო-

ველთვის რევოლუციამდელ ირანში ბრუნდება. ეს არის დიდი მოგზაურობა წარსულში, ბედნიერი დროის, ბავშვობისდროინდელი მოგონებების, ერთხელ ნაგრძნობი ფერების და სურნელის ხელახლა შესაგრძნობად.

გოლი თარაყის პროზა თანამედროვე ადამიანის სხვა მრავალ პრობლემასაც ეხება, რომელთაც მწერალი სიმბოლური სახეების საშუალებით გაიაზრებს. გლობალიზაციის თანმდევი უცხოობისა და მარტოობის განცდა, ომისა და რევოლუციის ქარტეხილების გავლენა ადამიანის სულსა და ფსიქიკაზე, გენდერული პრობლემატიკა, ეგზისტენციალური კრიზისი, არჩევანის თავისუფლების საკითხი – ეს იმ უმნიშვნელოვანესი თემების ჩამონათვალია, რომლითაც ნასაზრდოებია გოლი თარაყის შემოქმედება. მის ნაწარმოებებში თითოეული ეს საკითხი სრულიად გამორჩეული შემოქმედებითი ხედვით, სიფაქიზითა და ორიგინალური გზით არის ასახული. თარაყი, როგორც ფილოსოფოსი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეგზისტენციალურ საკითხს, არჩევანის თავისუფლების იდეას. მის კრებულებში „მეც ჩე გევარა ვარ“ და „სადმე სხვაგან“ შესულ რამდენიმე მოთხრობაში დასმულია კითხვა, რამდენად არის შესაძლებელი, ადამიანი საკუთარ ბედს განაგებდეს. რამდენად შეუძლია, აჯანყდეს, გადაუხვიოს ჩვევად ქცეული გატკეპნილი გზიდან, შეცვალოს ცხოვრების წესი და იპოვოს საკუთარი ადგილი „სადმე სხვაგან“ – იქ, სადაც ამქვეყნად თავისი არსებობის გამართლებას შეძლებს. თარაყის პერსონაჟები, რომლებიც ამგვარი ეგზისტენციალური ამბოხის

ზღვარზე არიან, თავად მწერლის სულიერ მდგომარეობას, ამ საკითხისადმი მის დამოკიდებულებას და ამბოხისათვის ფსიქოლოგიურ მზაობას გამოხატავენ.

გოლი თარაყი ამგვარ ურთულეს საკითხებზე წერისას თითოეულ სიტყვას ზომავს, მათ სიღრმესა და ზემოქმედების ძალას ითვალისწინებს. აქ არაფერია ყალბი, ზედმეტი ან შემთხვევითი. მწერალმა იცის სიტყვის ფასი და წინა და ეს მის თითოეულ წინადადებაში ჩანს. თარაყი ხშირად იხსენებს, რომ ბავშვობაში თეთრ ფურცელზე მელნით გამოყვანილი ასოები პატარა ჭიანჭველებს აგონებდა და ამ დროს უკვე ჰქონდა სურვილი, რომ მის გონებასა და სულში დაღეჭილი ზღაპრები ასეთ პატარა ჭიანჭველებად გამოემუშა გარეთ. ალბათ, მაშინვე ცხადი იყო, რომ გოლი თარაყის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა სიტყვების მიმართ: *„სიტყვების ფერადი ძაფებით მფრინავ ხალიჩას ვქსოვ და წარსულის უშორეს დღეებში მივემგზავრები“... „სიტყვებს პირში ინახავდა, ენის ქვეშ აბრუნებდა, თვალს მილულავდა და ელოდა, როდის დაიღეჭებოდა სულში ასოთა გემო. მერე თავიდან კითხულობდა. ფრაზებს იტკობდა, წერტილებს გემოს უსინჯავდა, ისრუტავდა და სიტყვების ნაყურს სიცოცხლის ელექსირით წვეთწვეთად ყლაპავდა“.*

ეს ცარიელი ნათქვამი როდია. გოლი თარაყის სიტყვებს აქვთ გემო: *„თავს ზემოთ ვწევ, პირს ვაღებ, რომ თოვლის ფანტელები ვიგრძნო ენაზე. რა გემრიელია, რა საოცარი სურნელი აქვს. თითქოს იასამნის ფურცლები*

ცვივა ზეციური ბალებიდან“. კითხულობ და გრძნობ, როგორი გემო აქვს ფიფქებს, ზამთრის ცივ დილებში გამომცხვარ ფაჰლავას, ბებიას მურაბებს, იმ სენდვიჩებს, შირაზის ყვავილები რომ მიირთმევდნენ თავიანთ საყვარელ სასენდვიჩში. სიტყვებს თავიანთი სურნელიც აქვთ: ცხელ ბრინჯზე მოყრილი ზაფრანის, ძირასა და დარიჩინის,

ბებიას ყალიონის, შემირანის სახლის ოთახების.

გოლი თარაყის სიტყვები უნდა დააგემოვნო, მათი არომატი იგრძნო, მერე თვალები დახუჭო და თეირანში აღმოჩნდები, სულ მალე კი იმ ქუჩების ხმაურს გაიგონებ, ბატონი ალექსი რომ ტელეფონით აყურადებდა და დიდი მოგზაურობაც დაიწყება.

**ანი ლაზვიაშვილი**

## ემოციურ-ასოციაციური ფენომენი გოლი თარაყის ლირიკულ პროზაში

კარლ გუსტავ იუნგი წერდა: „წლების სწრაფი დინება... თავბრუს გვახვევს და მრავალ რამეს უკან ისე ჩამოვიტოვებთ, რომ მათ მოგვარებას ვერ ვასწრებთ. ეს მათგან გათავისუფლებას როდი ნიშნავს. უბრალოდ, ჩვენ მათ ვცილდებით. თუ წლების შემდეგ ბავშვობის მოგონებებს მივუბრუნდებით, საკუთარი პერსონის ჯერაც ბევრ ცოცხალ ნაწილს აღმოვაჩინებთ, რომელიც... ჩაგვებლაუჭება და გარდასულ დროთა გრძნობით განგვმსჭვალავს. ეს ნაწილები კვლავ ბავშვურ სტადიაში მყოფი ნაწილებია... ძლიერი და უშუალო. ისინი ინფანტილურ ასპექტს მაშინ დაკარგავენ, თუ მოზრდილ ცნობიერებას დაუკავშირდებიან. ჯერ „პიროვნულ არაცნობიერთან“ უნდა მოვაგვაროთ საქმე (გავაცნობიეროთ) და ამის შემდეგღა შევძლებთ კოლექტიური არაცნობიერის კარის შეღებას“.

იუნგის გამონათქვამი შემთხვევით არ მომიხმია. მეჩვენება, რომ მისი აღქმისა და ანალიზის მეთოდი ყველაზე სრულად და სწორად ხსნის თანამედროვე ირანელი მწერლის გოლი თარაყის ნოველებისა და მოთხრობების არსს და მიზანს. მით უფრო, რომ განათლებით ფილოსოფოსი მწერალი თავს იუნგის მიმდევრად მიიჩნევს და არც უარყოფს, რომ მის შემოქმედებით მეთოდზე შესაძლოა, ამ ფილოსოფოსის გავლენაც იგრძნობოდეს.

გოლი თარაყი ამბობს: „ჩემი ახლანდელი „მე“ უნდა შევიმეცნო. და ეს რეალური არსება ხვალინდელ დღესა და მომავალში წარმოვიდგინო. არ შემიძლია. მომავალი მზარავს, დღეს ცარიელი და უფესვებო დროა და არც ერთ

ადგილს არ უკავშირდება. მხოლოდ წარსულია რეალური და დედაჩემის ყვავილებით მოჩითულ კაბასავით თავს ვაფარებ მას“.

ეს იყო მწერლისთვის ტკივილიანი, მტანჯველი გზა – გზა „პიროვნული არაცნობიერის“ გაცნობიერებისკენ. აუცილებელი გზა იმისთვის, რომ დღევანდელ დღეს შეჰგუებოდა და სულიერი წონასწორობა აღედგინა. მისთვის ეს გზა ორმაგად მძიმე აღმოჩნდა იმიტომაც, რომ დედის „ყვავილებით მოჩითული კაბა“ არა მარტო ჩავლილი ბავშვობის, არამედ დაკარგული სამშობლოს სიმბოლოდაც იქცა. გოლი თარაყის შემოქმედების დიდი ნაწილი წარსულის (ძირითადად, სწორედ ჩავლილი ბავშვობის) გახსენებაა, სამშობლოს ფერებთან და ბავშვობის სურნელთან შეხვედრისა და მისი ხელმეორედ განცდის მცდელობა. სწორედ ამ რიგის თხზულებებია გამორჩეული განსაკუთრებული ლირიზმითა და დახვეწილობით. ეს თხზულებებიც, თავის მხრივ, შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: მწერლის ნოსტალგიური, „ამონახეთქი“ მოგონება-აღსარებები და ცნობიერი, მიზანმიმართული „ხელახალი გახსენება“.

ფროიდის თქმით, „თუ ბავშვობას ყურს არ დაუგდებ, მისგან ვერ გათავისუფლდები.“ იუნგი ამატებს: „ახალი წყარო ვერ გამოინახება, თუ ცნობიერება ბავშვურ სამყაროში არ დაბრუნდება, რათა იქ არაცნობიერისგან მითითებები მიიღოს... მომდევნო მწვერვალამდე მისაღწევად ჯერ ქვევით, იმ ქვეყანაში უნდა ჩავიდეთ, საიდანაც იწყება გზა, სადაც იყრება გზები“.

შვილების გადასარჩენად ევროპა-



ში შეხიზნული გოლი თარაყი, თავისი პერსონაჟების მსგავსად, დიდხანს დარჩა გამოკიდებული „ცასა და მინას, წარსულსა და არაფერს შორის,” დიდხანს დადიოდა „უმოგონებო ქუჩებში” და ყველა კუთხე-კუნჭულიდან მხოლოდ „ცარიელ, უმოგონებო სუნს” გრძნობდა.

„უცხოობაში ცხოვრება მოგონებებში სეირნობა და წარსულში მოგზაურობაა და სხვა – არაფერი,” – ამბობს მისი ერთ-ერთი პერსონაჟი. ბუნებრივია, ამგვარმა ყოფამ – სულიერი და მატერიალური ცხოვრების სრულმა გახლეჩამ, როცა სინამდვილე აწმყოში გაბრუნებს, სულს კი რეალობა წარსულში ეგულება, – მძიმე დეპრესიაში ჩააგდო მწერალი და ერთხანს ფსიქიატრიულ კლინიკაში დაუდო ბინა. როგორც ჩანს, შემთხვევითი არ ყოფილა გოლი თარაყის ბედის ამგვარი შემობრუნება. სწორედ იქ გააცნობიერა საბოლოოდ, რომ გარდაუვალია, შეიმეცნოს საკუთარი „მე,” ჩაეშვას „იმ ქვეყანაში, საიდანაც იწყება გზა,” რათა შეიძლოს ცხოვრება აწმყოში, შეიძლოს ხვალის მომავლად მიჩნევა და წარსულის მოგონებებში დაბინავება მოახერხოს.

ბავშვობის ფერადოვან და სურნელოვან სამყაროში საკმაოდ დიდხანს დაჰყო გოლი თარაყი. იყო ეს „პიროვნული არაცნობიერის” შესამეცნებლად, თუ უბრალოდ იმიტომ, რომ „მოგონებებს უცნაურად დიდი ემოციური მუხტი აქვს”, მკითხველისთვის იქნებ სულერთიც იყოს – მას ხომ ამ მოგზაურობის შედეგი აინტერესებს და არა – მიზანი. შედეგი კი უდავოდ მშვენიერია. ამაზე თანხმდება ყველა მკითხველი. ისიც, ვინც მხოლოდ ზედაპირს შეჰხებია – ლირიკულს, მომხიბლავს, მსუბუქს, სიღრმეებში კი არ ან ვერ შეუღწევია და ისიც, ვინც ბოლომდე ჩასწვდომია ამ

მოთხრობების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური განსჯის სიღრმეს და მათი სიმსუბუქე და ლირიზმი არა ერთადერთ, არამედ თანამდევ ლირებულეზად, სამწერლო მანერად მიუჩნევია.

„მომვლელეები... ნებას მრთავენ, სიტყვებს შორის ვისეირნო, სახეზე მივუალერსო, ჩავეხუტო, მივეფერო ან... გავუნყრე კიდევ... სიტყვების ფერადი ძაფებით ხალიჩა მოვქსოვო და წარსულის უშორეს დღეებში, პირველ მოგონებებში გავემგზავრო”.

გოლი თარაყი ერთი იმ მწერალთაგანია, განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიფაქიზით რომ ეკიდებიან სათქმელს. ყოველი მისი სიტყვა აწონილ-დაწონილია, მრავალჯერ ნაფიქრი და ათასი შესაძლო ვარიანტიდან სწორედ ის ერთადერთი – შერჩეული, რომელიც მოცემულ სიტუაციას ზუსტად ერგება.

სიტყვის ასეთი ღრმა გრძნობა უდევს, როგორც ჩანს, საფუძვლად მოვლენების განსაკუთრებული სიმძაფრით აღქმის უნარსაც. სიტყვების ფერადი ძაფებით ნაქსოვი ხალიჩით მიფრინავს მწერალი წარსულის უშორეს დღეებში, რათა იქიდან ბავშვობისა და სამშობლოს ფერადოვნება, სურნელი და გემო გამოიყოლოს აქაურ, მოზრდილთა „უმოგონებო” და „ცარიელსუნიან” სამყაროში.

ფერადი ძაფებით მხოლოდ წარსულის (ან წარსულისთვის განკუთვნილი) ხალიჩაა ნაქსოვი.

ჭრელი აღმოსავლური ბაზარივით ფერადოვანია მშობლიური სიტყვა *თეირანი*:

„თეირანი თავისი ონავარი რ-თი, ენის ქვეშ რომ სხლტის; გრძელი, განწილილი ა-თი მრავალფერი ბაზრის მაცდური ლაბირინთივით სიღრმეში მითრევს”.

ყოველი სიტყვა თუ ბგერა, მთლიან-

ნობაში და ცალ-ცალკე, დამოუკიდებელ ღირებულებას ატარებს და ხშირად ასოციაციათა ფერად გამასაც ქმნის. ასეა ამ შემთხვევაშიც.

ფერადოვანია (ფერთა ჭრელი გამა) მოზარდობის ასაკი – თოთხმეტი წელი.

ფერადოვანია, ჭრელია მეოცნებე ბიჭის მოლივლივე ფრანიც: „მისი ჭრელი ფრანი... ისე მაღლა აიჭრებოდა, რომ თვალს ვერ ვუწვდენდი“.

ფერადი, ჭრელი მწერლთან ყოველთვის დადებითი მუხტის მატარებელია. იქნებ იმიტომაც, რომ წარსულის კუთვნილებაა.

ფერების, ისევე, როგორც გემოსუნის შეგრძნებების ასოციაციური აღქმა, საერთოდ დამახასიათებელი ბავშვისთვის, გამძაფრებული აქვს მწერალს და რუდუნებით დაძებნილი და ბოლოს მაინც მიგნებული უზუსტესი სიტყვა მოსწავლე გოგონას მიერ კვირის დღეების დახასიათებისას ცოცხალ სურათს ქმნის: „ხუთშაბათი საღამო (პარასკევი ირანში უქმეა – მ.ბ.) ნათელია და ვერცხლისფერი... სამშაბათი ღია მწვანეა ან ლიმონისფერი... პარასკევი ორნაწილიანია... საღამოსკენ (მეორე დღეს სწავლა ახლდება – მ.ბ.) ყველაფერს მუქი ყავისფერი ედება“.

ნათელი, მხიარული ფერები ხალისიან, მყუდრო, უზრუნველ განწყობას უკავშირდება. მუქი, პირქუში ფერები – უსიხარულო, მტანჯველ მოგონებებს. თუმცა სხვადასხვა შემთხვევაში ერთ განწყობას შეიძლება სხვადასხვა ფერი ან მისი ელფერი შეესაბამებოდეს (ნათელი ან ბნელი, მაგრამ – სხვადასხვა) – მწვანე ან ყვითელი, ყავისფერი ან შავი („ფრანგი ქალბატონის წარმოსახვითი სურათი ოქროს ნამცვრევად გაიფანტა ჰაერში“, მაგრამ არის ერთი თანამდევნი – ნაცრისფერი, რომელიც, განუშორებ-

ლად და შეუცვლელად, ერთდერთი ასოცირდება სევდა-ნალველთან გოლი თარაყის მოთხრობებში. აქ დგანან „მგლოვიარე ხეები ნალვლიანი, ნაცრისფერი ჩრდილებით“;

„ამ ნალვლიან, ნაცრისფერ ატმოსფეროში შემირანის ბალის მწვანე სიზმარი შემოდის“;

პირქუშ, სევდიან სახლში აუზიც კი ნაცრისფერი თევზებითაა სავსე.

„უთქმელი სიტყვები და მრავლისმთქმელი მზერა ნაცრისფერ ნისლად ილექება სახეებზე“;

„ნაცრისფერი – გამოუთქმელი სიტყვებისა და ფარული სევდის ფერი“;

ასევე მუქია (მაგრამ არა ნაცრისფერი, რომელიც სევდის კუთვნილებაა) ცოდვა, სიცუდე: „გითი ხანუმის სიცუდე... ბლანტი მელანივით მიცოცავს საგანთა კრიალა ზედაპირზე და მუქ ლაქებს ტოვებს“.

ფერთა ობიექტური აღქმისთვის ცემენტიც ნაცრისფერია. ნაცარი და ცემენტი თითქმის ერთი ფერისაა. თუმცა ასე არ არის გოლი თარაყისთვის. ქალაქის თავზე „ცემენტისფერი ღრუბლები ჩამოქუფრულა.“ ურბანული ყოფის ამაოების, წარმავალი ღირებულებების ფაციფუცის გარემოში ღრუბლები ცემენტისფერია და სწორედ ეს სიტყვა გამოხატავს მთელი სიზუსტით მწერლის სათქმელს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ცემენტის ფაქტურა, მისი შინაარსი სიცივის, გულგრილობის, სიმძიმისა და უჰაერობის ატმოსფეროსთან ასოცირდება, აგრესიულ ქალაქზე ჩამოქუფრული ცემენტისფერი ღრუბლების ფონზე უფრო მკვეთრდება კონტრასტი – გოლი თარაყის საყვარელი მხატვრული ხერხი – მით უფრო საცნაური ხდება მშვიდი უდაბნოს თავზე მოსარკული ლაჟვარდი ცა და „კრიალა სახლი“ – მარადიული, შეურყვნელი ფასეულობანი. აქ უკვე, გარ-

კვეულნილად, ფერის განცდა სიმბოლურ გაგებას ატარებს. ამგვარი აღქმა, ანუ ფერის გარკვეული სიმბოლიკით დატვირთვა (როგორც შემდეგ დავინახავთ, გემოსა და სუნის შემთხვევებშიც) ხშირია გოლი თარაყისთან. თვითონ მწერალი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, სიმბოლოები და სათქმელი, რომელიც ხელოვნების მეშვეობით მოგვეწოდება, არაცნობიერის მანიფესტაციააო.

როდესაც ამირალი („სადმე სხვაგან“) ბოლოს და ბოლოს გაექცა ამაოებას, ყალბ ფაცაფუცსა და ფარისევლურ კეთილდღეობას, „ჰორიზონტი ფერად სამყაროს უერთდებოდა, ციდან ნარინჯისფერი სხივი იღვრებოდა“. ამ სახეებში შეიძლებოდა არც დაგვენახა სიმბოლური დატვირთვა, თუ მწერლის ჩანაფიქრს არ გავითვალისწინებდით. მართლაცდა, რა არის გასაოცარი, თუ ჰორიზონტს იქით ფერადი ველ-მინდვრები გადაჭიმულა, ან ციდან მზიან შუადღეზე ნარინჯისფერი სხივი იღვრება? ეს ხომ სრულიად ჩვეულებრივი, ბანალური პეიზაჟია. მაგრამ აქ აშკარაა, რომ ჯერ კიდევ უხილავი, ჰორიზონტს გაღმა არსებული ფერადი სამყარო და ნარინჯისფერი (იმედიანი, მზიანი, ნათელი) სხივი ამირალის იმედიან და ნათელ (თუმცა ჯერ გაურკვეველ) მომავალს უნდა უკავშირდებოდეს. ესაა სიხარულის, სილადის, თავისუფლების ფერები: „მზიანი ნაპირები, კრიალა, ნათელი ცები, მწვანე მინდვრები და ვრცელი ტრამალები ელიან მას...“.

მწვანე აქ რეალური ფერიცაა და, ამასთანავე, სიმბოლურადაც სიხალისეს, სიმშვიდეს, განახლებას უნდა უკავშირდებოდეს. მწერალთან ხშირად გვხვდება მწვანე ფერის სიმშვიდესთან, სულიერ წონასწორობასთან, სიმყუდროვესთან ასოცირება:

„ხასხასა სიმწვანე თხელი აბრეშუ-

მივით ეფარება მის ფიქრებს“;

“ამ ნალვლიან, ნაცრისფერ ატმოსფეროში შემირანის ბალის მწვანე სიზმარი შემოდის“.

აქ იმდენად არაორაზროვნად უკავშირდება სიმწვანე სიხარულს, სიხასხასეს, უშფოთველობას, რამდენადაც ნაცრისფერი – სევდას და ნალველს.

კიდევ ერთი ფერი, რომელიც ძალიან ხშირად გვხვდება გოლი თარაყისთან და, ვფიქრობ, მკვეთრად გამოხატულ სიმბოლურ სახესაც ქმნის, თეთრი ფერია. თეთრს, ისევე, როგორც სხვა ფერებს, სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული დატვირთვა აქვს. გოლი თარაყისთან კი იგი აუცილებლად შეურყვნელობის, ხელთუქმნელობის, არამინიერობის სიმბოლოა.

ზეციური სამყოფელი, სახლი მოთხრობიდან „ჩემი სულის დიდი ქალბატონი“ თეთრია და კრიალა. იგი მარადიული ფასეულობის სიმბოლოს წარმოადგენს.

ნატანჯ, შვილებისთვისაც ზედმეტად ქცეულ და იმქვეყნიურ გზაზე დამდგარ მაჰინ ბანუს („სახლი ზეცაში“) “ფეხქვეშ თეთრი ღრუბლების მინდორი ეგო. ანგელოზთა სიზმარივით ნათელი, მსუბუქი და შეურყვნელი“;

“თეთრი შარაგზა ედო წინ“.

საგულისხმოა, რომ ეს შარაგზა თოვლიანია. თოვლს კი გოლი თარაყისთან, ჩემი ღრმა რწმენით, ორმაგი დატვირთვა აქვს. მწერლის მოთხრობებში ხშირად თოვს. პატარა გოგონას ახარებს თოვლის მოსვლა, ფანტელებს ეთამაშება და გემოსაც უსინჯავს. თოვლში თამაში გაიგივებულია სწავლის შეწყვეტასთან, გართობასთან, მხიარულებასთან. აქ თოვლი წმინდა და ნათელი სამყაროს სიმბოლოა, იმ სამყაროსი, რომელშიც ნაწარმოების პერსონაჟთა ბავშვობა ჩარჩენილა, სამყაროსი, რო-

მელსაც ვერასდროს შეეხება უხეში ხელი. მაშინ კი, როდესაც ამ ქვეყნისკენ ზურგმექცეული, ცხოვრებისგან გატეხილი მაჰინ ბანუ თოვლიან შარაგზას მიუყვება და თოვლის ფანტელებს შეერთვის, თოვლი (ისევე, როგორც თოვლივით თეთრი ღრუბლების მინდორი) სიკვდილთან შენივთებას, სამოთხის უძველეს გზას უნდა გულისხმობდეს.

გოლი თარაყის „მფრინავი ხალიჩის“ ფერად ძაფებს სხვადასხვა სურნელი (და ხშირად გემოც) ახლავს. „არის... სურნელი, გემო, ფერები, რომლებიც მინდა ვიპოვო,“ – წერს გოლი თარაყი და „ახლანდელი მე“-ს შესაცნობად, რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, წარსულში მიემგზავრება, რომ ჯერ „პიროვნულ არაცნობიერთან“ მოაგვაროს საქმე. იქ პოულობს იგი მივიწყებულ სურნელს და გემოს, ფერებს და განწყობებს და ხელახლა განცდილი წარსულის შეგრძნებებით მოსავეს მოგონებების სურათებს. თავისთავად, ეს არც უნდა იყოს გასაოცარი, რადგან პიროვნების ფესვიცა და ხერხემალიც სამშობლოშია, მათ გარეშე კი სხვადასხვაგვარი სამშვენისი ზვარში ჩადგმული საფრთხობელას ასოციაციას იწვევს მხოლოდ.

გემო და სუნი სხვადასხვა მოგონებას უკავშირდება, ასოციაციურ სახეებს ქმნის და ხშირად (ისევე, როგორც ფერები) სიმბოლურ ხატადაც იქცევა.

არის წმინდა პოეტური სახეები, აგებული გემო-სუნის ასოციაციებზე:

„ლოგინი ზაფხულის ღამის და სველი ყვავილების სურნელით ივსებოდა“.

მოახლე გოგონას სინორჩე „აკაციის სურნელივით იფრქვეოდა ეზოში“;

„ნეტავ, ზაფხულის სურნელი მოჟონავდეს კარ-ფანჯრიდან“;

„ნიავეს ბალახის სუნი ახლავს. ცვრიანი ბალახისა და ახლად ამოყრილი ყვავილების სუნი. თითქოს ზაფხულის

ხეივანებში ჩამოიქროლა, ისეთ არომატს აფრქვევს ირგვლივ“.

ხშირად საყოველთაოდ მიღებული და გასაგები სუნისა თუ გემოს განცდა სუბიექტურ და, როგორც წესი, ისევ წარსულთან, ბავშვობასთან ასოცირებულ აღქმად გრძელდება:

„იასამნის და სველი მიწის სურნელი მცემს. დღესასწაულის ღამის და არდადეგების სურნელი. ზაფხულის, მას რომ მოჰყვება“.

უკანასკნელი ფრაზები უკვე სუბიექტური, ბავშვობიდან გამოყოლოლი ასოციაციებით აგრძელებს სურნელის ობიექტურ განცდას: ნოურუზის ღამის საზეიმო განწყობა, გამძაფრებული არდადეგების უზრუნველი და მხიარული დღეებით, გაზაფხულის ყვავილების სურნელებით ჩაბეჭდილი შეგრძნებებში.

იმავე განწყობას ვხედავთ შემდეგ ფრაზაშიც:

„ხეების მწვანე ტანებიდან სამი ფარვარდინის (ისევ ნოურუზის, გაზაფხულის პირველი თვის ასოციაცია – მ.ბ.) სუნი იფრქვეოდა“;

„დედას ყველაფრისგან განსხვავებული სუნი აქვს. ეს ის სურნელია, ფრანგულ სუნამოსა და ფერუმარის რომ ახლავს... დედას მომავალი დღეების სუნი აქვს, ხვალინდელი დღის.“ აქაც სრულიად გასაგები სუნი მხოლოდ მისეული ასოციაციით უკავშირდება ხვალინდელ დღეს.

საძულველ სამუსიკო სტუდიას „საავადმყოფოს, ხრწნისა და სიბერის სუნი აქვს“ – ესაა ძალადობის, სიძულვილის, უარყოფითი ენერჯის სუნი.

გითი ხანუმის სიცუდეს „უსიამოვნო სუნი და გემო ახლავს“.

როგორია ეს უსიამოვნო სუნი და გემო? ცხადია, ესაა ცოდვის შეგრძნება. ცოდვა კი „მწარე გრძნობაა, გულისრევას და მუცლის გვრემას ჰგავს“.

სიმწარე აქ პირდაპირი მნიშვნე-

ლობით, სრულიად მატერიალურად გულისხმობს მწარე გემოს, რომელიც საწმელავით რეალურად იწვევს მუცლის გვრემას.

ასევე მწარეა სიტყვა „აღარასოდეს,” რადგანაც ეს სიტყვა იმ ტკივილთან ასოცირდება, რომელსაც ნოსტალგია ჰქვია და რომელიც სამშობლოს დაკარგვის გამო ჩნდება: „აღარასოდეს მწარე და პირქუში სიტყვაა”. ეს „მწარე” გარკვეულ გემოთშეგრძნებასაც უნდა გულისხმობდეს. მისი დანალექი ჯერ ენაზე ტოვებს სიმწარეს და მერე – სულში.

ასევე „მწარეა და ბოროტი” შაბათიც, რომელიც სასწავლო კვირის პირველი დღეა და ბავშვის გონებაში წვალელებასთან ასოცირდება.

ამგვარი გემოთშეგრძნება (ისევე, როგორც ბგერათშეგრძნება, ფერის, სურნელის აღქმა) დამახასიათებელია და ბუნებრივი გოლი თარაყისთვის. ბუნებრივისა და არა ბუნებრივის, არა ჩვეულის ორგანული შერწყმა ერთგვარი სიახლის განცდას ქმნის, რაც, უთუოდ, მწერლის საინტერესო და მეტად ორიგინალური სტილური მახასიათებელია და რაც, იმავდროულად, მისი თხზულებების ერთ-ერთ ხიბლსაც წარმოადგენს.

უცხოეთს შეხიზნული ბატონი ალექსი სამშობლოდან მოსული წერილის „ფრაზებს იტკბობდა, წერტილებს გემოს უსინჯავდა, ისრუტავდა და სიტყვების ნაჟურს სიცოცხლის ელექსირით წვეთ-წვეთად ყლაპავდა... თვალეებს ხუჭავდა და ელოდა, როდის დაილექებოდა სულში ასოთა გემო”.

ამ ასოთა გემოებისგან (და სუნებისგან) შემდგარი გემოთა (და სურნელთა) გამაა ის სიტყვები, რომელთაც მწარე თუ ჯადოსნური გემო აქვთ, იასამნისა თუ ცოდვის სურნელი ასდით. სამშობლოდან წამოსულ ასოთა გემოს სულის

სიტკბოების მაცოცხლებელი ძალაც აქვს – უკვდავების ელექსირის მაცოცხლებელი ძალა, არსებობის აზრი და მიზანი. უცხოეთში იმიტომაც გაუსაძლისი ცხოვრება, რომ სახლის ფუნდამენტსა და სახურავს შორის სიცარიელეა, დედაბოძი ნაქცეულია და, რაც მთავარია, ამ სიცარიელეს აღარც სუნი აქვს შერჩენილი და აღარც – გემო. ამ მტკივნეულ, უზარმაზარ და ამოუვსებ სიცარიელეს იმიტომ აქვს ხახა დაღებული, იმიტომ მოჟონავს იქიდან მუდმივი, მომქანცველი და გაუსაძლისი ტკივილი, რომ არცერთ მოგონებას არ უკავშირდება. ცარიელია, რადგან უმოგონებოა: „ოთახის კუთხეებიდან უცნობი სუნი მოდიოდა. ცარიელი და უმოგონებო სუნი”.

აქ, უცხოეთში, სახელებიც უსუნოა. კლინიკაში ევროპელი ავადმყოფები თამაშ-თამაშით ირიგებენ აღმოსავლურ სახელებს, რომლებსაც შინაარსი, ესე იგი მხოლოდ მათთვის კუთვნილი შეგრძნებები მოჰყვება. ამ პაციენტებს „თავიანთი უსახო და უსუნო სახელები მოსწყენოდათ”.

მყარი, კომფორტული სულიერი მდგომარეობა აუცილებლად დაკავშირებულია ნაცნობ სურნელთან და საყვარელ გემოსთან. ქალბატონი ნობოვასთვის წერილი „ტკბილია” იმიტომ, რომ „ნაცნობი სუნი აქვს.” ესაა „სოფლური სურნელისა და შინაური ცხელი კერძების” სუნი.

გოლი თარაყის მოთხრობებში ცხელი კერძების გემო, მწვადის ოხშივარი, ბრინჯზე მოყრილი ზაფრანა, ძირა და დარიჩინი, გემრიელი სადილის სუნი არათუ სიმამლისა და პროზაულობის განწყობას არ ქმნის, არამედ ვირტუალური, ჯადოსნური სამყაროს თანაზიარობასთან ასოცირდება, ოდესღაც ტრივიალური, დღეს უკვე მიუწვდომელი, დაკარგული სამოთხის განცდებს იწვევს:

„შინაური საქმლის ჯადოსნური გემო და სამზარეულოს სამოთხისეული სიმშვიდე“.

„საქმლის ჯადოსნური გემო,“ თავისთავად, სრულიად მოულოდნელი სიტყვათშეთანხმებაა. ცხადია, ეს არის ბავშვობისდროინდელი სიმყარის განცდა, მშობლების გრძნობა. სახლის გული – სამზარეულო – ყველაზე ტბილი, სურნელოვანი და გემრიელი – სამოთხეა. სამოთხეში კი, ბუნებრივია, საქმელიც ჯადოსნური უნდა იყოს.

ბავშვობის დღეების სიმყარისა და სიმშვიდის ბედნიერი შეგრძნების სიმბოლო – სამზარეულო – ბავშვობის ხანასთან ერთად „გამჭვირვალე ბუშტივით“ უჩინარდება. „ჰასან-აყას სამზარეულო, გამჭვირვალე ბუშტივით, ათასობით მოფარფატე ნამსხვრევად იქცევა და მასთან ერთად ბავშვობის საამო სურნელი, ჩავლილი გემოს სიტკბოება, წარსულის გულუბრყვილო სიამეები ჩვენი ცხოვრების სივრცეებს შორდება...“.

მშობლიური სახლი მწერლის ცნობიერებაში მუდამ ნათელ ფერებთან, მსუბუქ სურნელთან და საამო გემოსთან ასოცირდება: „გითი ხანუმის სახლის მძაფრი სუნი შემირანის ბაღის ნაცნობმა და მსუბუქმა სურნელმა შეცვალა“; „ჰაერი სურნელს დაუცვარავს. ეს სურნელი მსუბუქ საბურველად ეხვევა ჩემს დამტვერილ ფიქრებს“.

სიმსუბუქე ყველგან სითბოსთან, სინათლესთან, ფერადოვნებასთან, სულიერ კომფორტთანაა დაკავშირებული. ამდენად, შემირანის სახლის სურნელი მტვრით დამძიმებულ ფიქრებსაც ამსუბუქებს.

მარადიული, უხრწნელი ფასეულობების სიმბოლო – თეთრი სამყოფელი (სახლი) – „კრიალაა და სურნელოვანი.“ სურნელოვნება ამ კონტექსტში, თითქოს, უადგილოცაა. ზეციური, მი-

უნვდომელი კრიალა რომ იქნება, ბუნებრივი ჩანს, მაგრამ სურნელოვანი რატომღაა? ალბათ იმიტომ, რომ იქ ზეციური ბალებია. ზეციურობა მარადიული სიმბოლოს ხატებას ფერთან ერთად სურნელსაც ანიჭებს. იდეალური უსურნელო არ უნდა იყოს.

საინტერესოა სხვადასხვა სუნის კომპლექსური აღქმის შემთხვევებიც გოლი თარაყისთან. სრული დისჰარმონია ცალკეული კომპონენტის თვალსაზრისით აზრობრივად გასაგებ და მისაღებ ასოციაციას ქმნის. ოთახის ტყვედ ქცეული მოხუცი წარსულ დღეებს იხსენებს. მოახლე ქალს „რა საამო სუნი ჰქონდა! გარეთა სუნი, ქუჩების, დუქნების, წყლის არხების, ავტობუსების სუნი!“.

ცალკე აღებული არც ავტობუსის სუნი შეიძლება იყოს საამო, არც – ნავით სავსე წყლის არხების და არც – სანვრილმანო დუქნების. მაგრამ ეს გარეთა სუნია, ყოფილი (და არა ახლანდელი) ცხოვრების სუნია, სიცოცხლის სუნია, რომელმაც, უკვე რამდენი წელია, ჩაიარა. წინ სიკვდილის მოლოდინიღაა. ეს საამო სუნი ნოსტალგიაა, ჩავლილი სიყმანვილის მონატრებაა.

საინტერესოდ მეჩვენება იმის აღნიშვნა, რომ შინაური სითბოს, სინათლის, სურნელოვნების და სიტკბოს განცდა მხოლოდ ბავშვობის სახლს უკავშირდება. მოზრდილთა სამყაროში, სადაც ათასი სიყალბე და ტყუილი იკიდებს ფეხს, აღარც საკუთარი სახლია ციხესიმაგრე, ვეღარც ის იძლევა სიმყარის შეგრძნებას. ამირალის „ამ სახლის სუნიც კი ეუცხოებოდა“. ეუცხოებოდა, რადგან ამ სახლში კარგად მორგებული ნიღბებით დადიოდნენ. ტყუილით ცხოვრობდა თვითონ ამირალიც და, როდესაც ტყუილი და სიყალბე ვეღარ დაატია სხეულში, იგრძნო, რომ „კანის ფორებიდან უსიამოვნო სუნი იფრქვეო-

და”. ეს არის ფარისევლობის, სულის სიკვდილის და ხრწნის სუნი. ბავშვობის ფერადი და სურნელოვანი სამყაროს – გულწრფელი, ოცნებით აღსავსე სამყაროს – შეცვლა პირქუში, მოჩვენებითი კეთილდღეობით სავსე არსებობით ხრწნის სუნს ბადებს ამირალიში და მოთხრობის ბოლოს, როდესაც ამ სიყალბიდან თავის დაღწევას ახერხებს, თავისუფალი სივრცის მაცოცხლებელი შეგრძნება ისევ ბავშვობისდროინდელ სურათებად ხორციელდება: „ბავშვო-

ბისდროინდელი ზაფხულის, ბალის სველი თივითა და თიხით ნაგები გალავნის, ფიჭვის ხეების ნებოვანი წვნის სურნელოვანი ეცემა ცხვირში”.

ძნელი სათქმელია, რამდენად მოახერხა მწერალმა „ახლანდელი მე“-ს შეცნობა წარსულში დაბრუნებით, არაცნობიერის ერთგვარი გაცნობიერებით. ის კი ფაქტია, რომ „სიმბოლოები და სათქმელი, რომელიც ხელოვნების მეშვეობით” მოგვანოდა, ღრმა ემოციურ კვალს ტოვებს მკითხველზე.

**მზია ბურჯანაძე**

## გოლი თარაყის ბიბლიოგრაფია

### ქართული თარგმანები:

1. გოლი თარაყი, სახლი ზეცაში, ჟ. „არილი“ № 15 (160), 2000, 26 ოქტომბერი, გვ. 20-25, თარგმნა მ. ბურჯანაძემ;
2. გოლი თარაყი, შემირანის ავტობუსი, ჟ. „არილი“ № 5 (168), 2001, 22 მარტი, გვ. 17-21, თარგმნა მ. ბურჯანაძემ;
3. გოლი თარაყი, მეც ჩე გევარა ვარ, „ჩვენი მწერლობა“, № 16 (42), 20-27 აპრილი, 2001, გვ. 11-12, თარგმნა თ. შურლაიამ;
4. გოლი თარაყი, ამინეს შორეული მოგზაურობა, კრ.: „ქართულად ნათარგმანები“ (თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურა 1987-2001), თბილისი, ლიტერატურული გაერთიანება „არილი“, 2002, გვ. 76-117, თარგმნა თ. შურლაიამ;
5. გოლი თარაყი, ანარბანუ და მისი ბიჭები, გაზ. „ჩვენი მწერლობა“ № 15 (93), 2002, 12-19 აპრილი, გვ. 10-12, თარგმნა მ. ბურჯანაძემ;
6. **გოლი თარაყი, „სახლი ზეცაში“, „დიოგენე“, 2004, 220 გვ., თარგმნეს მ. ბურჯანაძემ და თ. შურლაიამ;**
7. გოლი თარაყი, შირაზის ყვავილები, „თოთხმეტი სევდიანი ამბავი“ (თანამედროვე სპარსული პროზა), „უნივერსალი“, 2008, გვ. 67-94, თარგმნა თ. შურლაიამ;
8. გოლი თარაყი, მამიდები, „თოთხმეტი სევდიანი ამბავი“ (თანამედროვე სპარსული პროზა), „უნივერსალი“, 2008, გვ. 95-119, თარგმნა მ. ბურჯანაძემ;
9. გოლი თარაყი, ბატონი ალფის უცნაური ჩვევები უცხოეთში, „თოთხმეტი სევდიანი ამბავი“ (თანამედროვე სპარსული პროზა), „უნივერსალი“, 2008, გვ. 120-157, თარგმნა მ. ბურჯანაძემ;
10. გოლი თარაყი, არჩევანი, ჟ. „არილი“, № 1 (243), იანვარი, 2016, გვ. 1-15, თარგმნა მ. ბურჯანაძემ;
11. **გოლი თარაყი, „არჩევანი“, „დიოგენე“, 2017, 268 გვ., თარგმნეს მ. ბურჯანაძემ და თ. შურლაიამ.**

### ინტერვიუები გოლი თარაყისთან:

12. პროზა მკითხველს ტანსაცმელივით უნდა მოერგოს (ჟურნალ „ზანანის“ ინტერვიუ გოლი თარაყისთან, ესაუბრება მოყვდე დაყიყი), „ჩვენი მწერლობა“, № 30 (108), 26 ივლისი – 2 აგვისტო, 2002, გვ. 1-2, თარგმნა თ. შურლაიამ;
13. მისი წიგნები წინასწარმეტყველებენ (ინტერვიუ გოლი თარაყისთან), გაზეთი „24 საათი“, 20 მაისი, 2005, №111, გვ. B, თარგმნა ი. კალაძემ;
14. ღმერთმა ნუ ქნას, მთელი მსოფლიო ერთნაირი იყოს, გიორგი ლობჯანიძის ინტერვიუ გოლი თარაყისთან), „ცხელი შოკოლადი“, ივლისი, № 7, 2004, გვ. 124-130.



**სამეცნიერო პუბლიკაციები გოლი თარაყის შესახებ:**

1. მზია ბურჯანაძე, ემიგრაციის თემა გოლი თარაყის მოთხრობებში, აღმოსავლეთმცოდნეობა, 361, თსუ გამომც., 2004, გვ. 69-78.
2. მზია ბურჯანაძე, ადამიანის ბედი გლობალური კატაკლიზმების ფონზე, პერსპექტივა – XXI, VI (პროფ. მზია ანდრონიკაშვილისადმი მიძღვნ. საიუბილეო კრებული), თბილისი, 2004, გვ. 81-83.
3. მზია ბურჯანაძე, ემოციურ-ასოციაციური ფენომენი გოლი თარაყის ლირიკულ პროზაში, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი დ. კობიძის დაბ. 100 წლისთავისადმი, 2008, თსუ გამომც., გვ. 53-64;
4. თამთა ფარულავა, მხატვრული დროის პრობლემა გოლი თარაყის ნოველაში „შემირანის ავტობუსი“, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი დ. კობიძის დაბ. 100 წლისთავისადმი, 2008, თსუ გამომც., გვ. 216-223;
5. Мзия Бурджанадзе, Феминизм или поиски вечного женского начала? (На материале современных иранских писательниц), Инновационные аспекты исследования культуры, археологии, этнологии, лингвистики стран Черноморского бассейна, издательство „Гос. Университет Шота Руставели“, 2008, გვ. 29-35.
6. მზია ბურჯანაძე, ქალთა ლიტერატურა თანამედროვე ირანში, ინტერკულტურული კომუნიკაციები, N6-7, 2009, გვ. 50-56.

**საბაკალავრო ნაშრომი გოლი თარაყის შემოქმედების შესახებ:**

2. ანი ლაზვიაშვილი, ემიგრანტთა სახეები გოლი თარაყის მოთხრობებში, თსუ, 2015.

**ქართული პრესა და ლიტერატურული პერიოდიკა გოლი თარაყის შესახებ:**

1. ბორენა ჯაჭვლიანი, როცა მწერალს უყვარს პერსონაჟი, გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, 9 (139), 7-13 მარტი, 2003, გვ. 12;
2. ლუკა ავალიშვილი, ფერადოვნება – ნაცრისფერ ყოფაში, გაზ. „ჩვენი მწერლობა“, 50 (76), 14-21 დეკემბერი, 2001, გვ. 2;
3. ვერა ნეფარიძე, პროზა მკითხველს ტანსაცმელივით უნდა მოერგოს – გოლი თარაყი ირანელ მწერალ ქალებზე, ლიტერატურასა და ჯორჯ ბუშზე, გაზ. „24 საათი“, 23 მაისი, 2005, გვ. B2;
4. თინათინ მოსიაშვილი, სახლი ზეცაში ანუ როდესაც ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან, გაზ. „ხვალინდელი დღე“, 25 მაისი, 2005, გვ. 10;
5. ეკა ცხადაძე, როს თვალს გავადევნებთ დასავლეთსა და აღმოსავლეთს (უახლესი თარგმანების გამო), „ლიტერატურა და ხელოვნება, №3 2009, გვ. 47-49.

**გოლი თარაყი საქართველოს რადიოში:**

1. რადიო თავისუფლება. დავით პაიჭაძე წარადგენს გოლი თარაყის მოთხრობების ქართული თარგმანების კრებულს „სახლი ზეცაში“ („დიოგენე“, 2004), 2005 წლის 18 სექტემბერი. <http://www.radiotavisupleba.ge/a/1543330.html>
2. გოლი თარაყი, შირაზის ყვავილები. კითხულობს მთარგმნელი თ.შურღაია. 04.07.2009, <http://radio1.ge/ge/videos/view/142557.html> (ნაწილი 1); გაგრძელება (ნაწილი მეორე), 05.07.2009: <http://radio1.ge/ge/videos/view/142558.html>
3. გოლი თარაყი, შემირანის ავტობუსი, კითხულობს მთარგმნელი მ. ბურჯანაძე, <http://radio1.ge/media-view-old-audio/1539>
4. გოლი თარაყი, ანარბანუ და მისი ბიჭები, კითხულობს მთარგმნელი მ. ბურჯანაძე, (ნაწილი 1) 18.07.2009, <http://radio1.ge/media-view-old-audio/> (ნაწილი 2), 19.07.2009: <http://radio1.ge/media-view-old-audio/1541>

მომზადა  
თეა შურღაია



**ირაკლიმ ალ-ქუნი**



## იბრაჰიმ ალ-ქუნი

იბრაჰიმ ალ-ქუნი, ცნობილი თანამედროვე ლიბიელი პროზაიკოსი, ნოველისტი და რომანისტი, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, არაბული რომანის ერთ-ერთი საუკეთესო ავტორი ლიტერატურის კრისტიკოსთა და მწერალთა მიერ უდაბნოს მწერლად და აღიარებული. უდაბნოს ტონები, უდაბნოსთან ფიზიკური და მეტაფიზიკური სიახლოვე ქარბად იგრძნობა მწერლის ცხოვრებასა და მწერლობაში. ის წარმოშობით ტუარეგია<sup>1</sup>, დაიბადა და გაიზარდა ლიბიის უდაბნოს (ნითელი ჰამადა) მახლობლად, ფეზანის ოაზისებში მდებარე პატარა ქალაქ ლადამესში.

იბრაჰიმ ალ-ქუნის რუსული განათლება აქვს მიღებული – 1977 წ. დაამთავრა მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი მოსკოვში, სადაც რუსულ ენას, მარქსისტულ ფილოსოფიასა და შედარებით ლიტერატურას სწავლობდა. პუბლიცისტური კარიერა სტუდენტობის წლებში დაიწყო. ლიბიის ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი იყო, მოსკოვში ლიბიის კულტურის ცენტრში მუშაობდა, წერდა სოციალიზმსა და პოსტკოლონიურ ლიბიაზე. მის ჟურნალისტურ საქმიანობას სამწერლობო გზა მოჰყვა. როგორც მოგვიანებით კრიტიკოსებმა დაწერეს მასზე, სწორედ რუსულმა განათლებამ და რუსული ლიტერატურის ღრმა ცოდნამ – დოსტოევსკის, ტოლსტოის, ჩეხოვისა და სხვა რუსი მწერლების ნაწერებმა, მათ შორის, გორკის, შოლოხოვის, სოლჟენიცინის და, ასევე, ბახტინისეული

ლიტერატურის თეორიის, ინტერტექსტუალობის კონცეფციის ცოდნამ და ე.წ. სოციალისტური რეალიზმის მიმდინარეობის ლიტერატურათმცოდნეობითმა ანალიზმა იბრაჰიმ ალ-ქუნის, როგორც მწერლის, ინდივიდუალური ხელწერისა და მწერლური სტილის ჩამოყალიბებაში თავისი როლი ითამაშა და წარუშლელი კვალი დაამჩნია მისეულ სუფიურ ფაბულებს, ეგზისტენციურ კითხვებსა და რომანის პოეტიკას.

მწერალმა ბავშვობიდან შეისის-ხლხორცა უდაბნო, მისი ცხოვრების წესი და მორალი. უდაბნომ ჩამოაყალიბა მისი სულიერი სამყარო. მისი შემოქმედებითი, სამწერლობო საქმიანობაც მთლიანად უდაბნოს აღწერა და მისი ყოფის დაწვრილებითი თხრობაა. ის უდაბნოს კოსმოსს – ბუნებას, მის წარმმართველ სამყაროს ძალებს, იქ მცხოვრებ ადამიანებსა და ცხოველებს ერთ მთლიან ერთობაში აღიქვამს და საოცარი სიღრმით გვიხატავს და აცოცხლებს ფურცელზე მათ ურთიერთობას ერთმანეთთან, მათ უდაბნოსთან ურთიერთობას, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება.

იბრაჰიმ ალ-ქუნის სამწერლობო საქმიანობიდან მისი რომანები „ოქროს ქვიშა“ (1989 წ.) და „ქვიდან ნაჟური სისხლი“ (1990 წ.) აჯამებს ალ-ქუნის შეხედულებებს არსებობის, ყოფიერების, ადამიანისა და ცხოველის კავშირისა და ამ ურთიერთობის უდაბნოს სივრცეში გამოვლინების შესახებ. ეს ურთიერთობა მაღალი სულიერებითაა აღბეჭდილი, სინმინდესა და გასაოცარ გულწრფე-

<sup>1</sup> ტუარეგები ბერბერული მოდგმის ტომებია საჰარის უდაბნოში; მკვიდრობენ დღევანდელი ლიბიის, ალჟირის, მაროკოს, მალის, ნიგერის, ბურკინა-ფასოს ტერიტორიებზე. გარეგნულად გამოირჩევიან მამაკაცთა ლურჯი სამოსითა და პირბადით, რაც მათი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია.

ლობას ემყარება და ღრმა ფესვები აქვს გადგმული ბუნებაში. მწერალი საოცარი ხელოვნებით ახერხებს, მკითხველს უდაბნოს მრავალფეროვნება და განუმეორებელი ხიბლი აგრძნობინოს, უდაბნოსი, სადაც მიწა-ცაბ, ადამიანი კი ბუნებას შეერწყმის და სადაც ბევრად მძაფრია სამყაროს ერთიანობის ცოცხლად და ხელშესახებად აღქმა, სადაც შემოქმედი თავის ქმნილებასთან უწყვეტ დიალოგშია, სადაც მწერალი მკითხველს იდუმალი მეგზურივით შეუძღვება და ცხოვრების ჭეშმარიტ და მარადიულ ფასეულობებზე დააფიქრებს.

ის, რასაც ალ-ქუნი გვთავაზობს თავისი სამწერლობო საქმიანობით, ფილოსოფიური და ეგზისტენციალური მედიტაციით, არის ნომადიზმი<sup>1</sup> მეტაფიზიკური გაგებით, უდაბნოს ანთროპოლოგიური შესწავლა – მისი კულტურით, არსებობის ხედვითა და ცხოვრების სურათებით. ალ-ქუნიმ გააერთიანა რეალური და წარმოსახვითი, ლეგენდარული და ყოფითი. სუფიური ფილოსოფიისა და ტუარეგული კოსმოლოგიის ნაზავი – ასე ახასიათებენ იბრაჰიმ ალ-ქუნის მწერლობას. მითი არის მწერლისთვის ალქიმიური საშუალება, რომელიც ტუარეგების ტრადიციას გადააქცევს მაღალმხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებად.

ალ-ქუნიმ თავისი მწერლობით ლიბიური რომანის უტყუარი არსებობა დაადასტურა როგორც არაბებთან, ისე – მთელ მსოფლიოში, რომელიც ლიბიურ რომანს სწორედ იბრაჰიმ ალ-ქუნის შემოქმედებით გაეცნო. ავტორმა გამორჩეული მწერლური ხელწერით შეძლო, გადმოეცა ტუარეგების საზოგადოების შეხედულებები და რწმენები, მითები,

სანესჩვეულებო რიტუალები, მათი ყოფა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იბრაჰიმ ალ-ქუნი რალაც პერიოდი, 1994 წლამდე, პოლონეთში ცხოვრობდა, ვარშავაში ლიბიის კულტურის ცენტრში მუშაობდა; იყო ლიბიის ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი, ლიბიურ-პოლონური მეგობრობის საზოგადოების წევრი, რედაქტორობდა ამ საზოგადოების მიერ გამოცემულ ჟურნალს და არაბულენოვანი ლიტერატურის თარგმანითა და პოპულარიზაციით იყო დაკავებული. 1994 წლიდან კი იბრაჰიმ ალ-ქუნი შვეიცარიაში გადავიდა საცხოვრებლად, ქ. გოლდვილში. ამჟამად სამხრეთ ესპანეთში ცხოვრობს. ჩანს, ცხოვრებაში ყველაფერი საუკეთესო ხანდახან მოულოდნელობის წყალობით ხდება და აი, ბედნიერმა შემთხვევამ – არაბული ლიტერატურის მთარგმნელ, კრიტიკოს, ლიტერატურათმცოდნე არაბისტ დოქტ. ჰართმუთ ფენდრიჰთან შეხვედრამ შვეიცარიაში – იბრაჰიმ ალ-ქუნის ცხოვრება მთლიანად შეცვალა. ფენდრიჰმა მისი ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები თარგმნა გერმანულად და მანამდე ლოკალურ არაბულ გარემოში ცნობილი, ოთხმოცამდე წიგნის ავტორი იბრაჰიმ ალ-ქუნი უცებ გახდა პოპულარული და დიდი საერთაშორისო ინტერესი დაიმსახურა, მოიპოვა მრავალი საერთაშორისო ლიტერატურული პრემია და ჯილდო, მათ შორის, სამგზის მიიღო შვეიცარიის სახელმწიფო პრემია გერმანულად თარგმნილი რომანებისთვის (1995 წ. რომანისთვის „ქვიდან ნაჟური სისხლი“, 2001 წ. რომანისთვის „მაგები“, 2005 წ. გერმანულად თარგმნილი ყველა რომანისთვის), ფრანგულ-არაბული მეგობრობისა და

<sup>1</sup> ნომადიზმი – მომთაბარეობა, ცხოვრების მომთაბარე წესი.

სოლიდარობის კომიტეტის ჯილდო – 2002 წ., ფრანგული სარაინდო ორდენი ხელოვნებასა და ლიტერატურაში – 2005 წ., იუნესკოს ფრანკოფონული კომიტეტის ჯილდო („ოქროს სიტყვა“) – 2010 წ., არაბული რომანისთვის დაწესებული მუჰამედ ზაფზაფის პრემია – 2005 წ., შეიხ ზაიდის პრემია ლიტერატურაში – 2008 წ., არაბული რომანის კაიროს მეხუთე საერთაშორისო პრემია – 2010 წ. და სხვ. იბრაჰიმ ალ-ქუნი რომანით „ოქროს ქვიშა“ და ინგლისურად მისი მთარგმნელი ელიოტ კოლა 2015 წ. პრესტიჟულ საერთაშორისო ლიტერატურულ ჯილდოზე – Man Booker International Prize წარდგენილ მსოფლიო დონის მწერალთა და მათ მთარგმნელთა მოკლე სიაში მოხვდნენ. იბრაჰიმ ალ-ქუნი თანამედროვეობის ორმოცდაათ საუკეთესო რომანისტთა შორის დასახელდა და მას მომავლის მწერალი უწოდეს. მისი რომანების თარგმანებს ოცდაათზე მეტ ენაზე ასევე არაერთი პრესტიჟული ჯილდო ხვდა წილად. მწერალი, შეიძლება ითქვას, ახლა თავისი დიდების ზენიტშია. მისი ნაწარმოებები აქტიურად ითარგმნება და გამოიცემა მრავალ ენაზე.

... თუ კვლავ ცხოვრებისეულ საოცარ შემთხვევებს დავუბრუნდებით, მათ შორის, ალბათ, ის ფაქტიც უნდა ვახსენოთ, რომ მოსკოვში, გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში

სწავლის წლებში მწერალს რუსთაველისა და დობროლუბოვის ქუჩების კვეთაზე მდებარე ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში უცხოვრია, თუმცა რუსთაველის სახელი მხოლოდ ყოფიტი ცხოვრებიდან როდი ჰქონია შეთვისებული – „ვეფხისტყაოსანს“ ის სწავლობდა სტუდენტობისას, მისი რუსული თარგმანი საკურსოდაც კი ჰქონია თავის დროზე დამუშავებული და მოხსენებით გამოტანილი.

რომან „ოქროს ქვიშის“ ქართული თარგმანის გამოსვლას მწერალი დიდი სიხარულითა და გაოცებით შეხვდა. მისივე სიტყვებით, ევროპაში გატარებული ათწლეულების მანძილზე, როცა მრავალ ენაზე ითარგმნა და გამოიცა მისი რომანები, არაფერს ისე არ გაუკვირვებია, როგორც რუსთაველის ენაზე მისი რომანის თარგმნამ გააკვირვა.

ასე დაიგეგმა მისი ვიზიტი დასავლეთის იბერიიდან აღმოსავლეთის იბერიაში (ამჟამად მწერალი სამხრეთ ესპანეთში ცხოვრობს) და დიდი იმედი მაქვს, მისი სურვილი – ოდესმე თავადაც მოხვედრილიყო თბილისში, მისი მკითხველებისა და ქართველი აღმოსავლეთმცოდნეების წრეში სულ მალე კეთილად ახდება. მეც მინდა ვისურვო უახლოეს მომავალში მწერლის საქართველოში ჩამოსვლა და ცოცხალ კლასიკოსთან მისი ქართველი მკითხველის შეხვედრის სიხარული.

**დარეჯან გარდავაძე**

## იბრაჰიმ ალ-ქუნის თარგმნის პროცესი

ელიოტ კოლა ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის არაბისტიკისა და ისლამისტიკის ასოცირებული პროფესორია, თანამედროვე არაბულ ლიტერატურასა და კულტურაზე მრავალი საინტერესო ესეის ავტორი. ის თანამედროვე არაბული ლიტერატურის აღიარებული მთარგმნელიცაა. იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანები „ოქროს ქვიშა“ და „მაგები“ ინგლისურად მისი თარგმნილია და, გარკვეულწილად, მისი დამსახურებაცაა ინგლისურენოვან მკითხველში ამ რომანებისა და მისი ავტორის დიდი პოპულარობა. თავად იბრაჰიმ ალ-ქუნი ძალიან აფასებს კოლას და მას მაღალი რანგის მთარგმნელად მიიჩნევს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კიდევ უფრო ღირებული ხდება ელიოტ კოლას მიერ იბრაჰიმ ალ-ქუნის ნაწარმოებების თარგმნის პროცესის სირთულეებისა და სპეციფიკის შეფასება.

რთულია არ შენიშნო იბრაჰიმ ალ-ქუნის წერის სილამაზე. ის არის მთხრობელი, რომელიც ავტორია რამდენიმე მნიშვნელოვანი ნარატივისა არაბულ ენაზე. ალ-ქუნი არის თანამედროვე მთარგმნელი მითისა, მისმა მოთხრობებმა დროსა და ადგილის ცვალებადობას გაუძლეს. ალ-ქუნის ნაწარმოებები, იქნება ეს მოკლე მოთხრობა თუ ეპიკური რომანი, ხასიათდება სწრაფი და ეფექტური მიზანსცენებით, მჭიდრო კავშირით პროტაგონისტებთან და, რაც ყველაზე მთავარია, მის შემოქმედებაში ამბავი ნათლად არის გადმოცემული. ამას ემატება მწერლის რისკიანი ფანტაზია და წარმოსახვა, რაც ბევრის მიერ შეცდომითაა დახასიათებული, როგორც „მაგიური რეალიზმი“, ამიტომაც სულაც არ არის რთული იმის მიხვედრა, თუ რატომ უყვარს ბევრ ჩვენგანს ალ-ქუნის კითხვა და მასზე საუბარი. ის ფაქტი კი, რომ მას 70-ზე მეტი ნიგნი აქვს დაწერილი, ნიშნავს, რომ მთარგმნელები გარკვეული დროის განმავლობაში ვიქნებით ამ საქმით დაკავებული.

იბრაჰიმ ალ-ქუნისთან მუშაობა ჩემთვის ფრიად სასიამოვნო და, ამავედრო-

ულად, დიდი პატივი იყო, რადგანაც ძალას არ ვიშურებ იმისთვის, რომ მისი ნამუშევრები შესაბამისად ვთარგმნო. ის არის გულწრფელი მოსაუბრე და თავდაუზოგავი – თანამშრომლობაში. ამასთანავე, ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელიც. როცა „ოქროს ქვიშის“ თარგმნა დავიწყე, მინდოდა დამერეკა მისთვის და გამეზიარებინა ჩემი მოსაზრებები ამა თუ იმ სპეციფიურ სიტყვასა და მათ რეალურ მნიშვნელობებთან დაკავშირებით, დამესვა მისთვის ტექნიკური ხასიათის შეკითხვები.

კერძოდ, უდაბნოს ალ-ქუნისეულ აღწერას არაბულ-ინგლისური ლექსიკონის ჩიხიდან – იბნ მანზურის „არაბულ ენამდე“, შემდეგ კი ისლამამდელ პოეზიამდე მივყავდი. ერთ დღეს ალ-ქუნიმ გულისყურით მოისმინა ჩემი შეკითხვები და მირჩია, რომ ამ ყველაფრის ნაცვლად, სხვა რამეზე მეფიქრა, მაგალითად, „მოზი დიკზე“. ამის შემდეგ მან გააგრძელა მელვილის შემოქმედების (რომელიც მას რუსულ ენაზე ჰქონდა წაკითხული) ჭეშმარიტი ანალიზი. მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, დაენახებინა ჩემთვის უდაბნო, რო-



გორც მელვილის ზღვა; ქარავანი, როგორც წყნარი ოკეანის დინამიკა და ოაზისი, როგორც დანიშნულების პორტი...

ამან გაამართლა და ჩემი თარგმანიც გაუმჯობესდა. კვირები გადიოდა და მე კვლავაც ვეკითხებოდი აქლემებზე, უდაბნოს ფლორასა თუ ტომობრივი იერარქიის დახვეწილობაზე. ალ-ქუნი მუდმივად ცვლიდა თემას და მაცნობდა სხვა კლასიკოსების ნაწარმოებებსაც, რომელთა სახელწოდებები ყოველთვის მოულოდნელი იყო. მაგალითად, „გილგამეში“, „მოხუცი და ზღვა“, „უოლდენი“ ან „ტყეში ცხოვრება“. ყოველ ჯერზე იყენებდა ერთ-ერთ მათგანს, რათა თავის ნაწარმოებებში არსებული ისეთი თემების ძირითადი დანიშნულება დაენახებინა, როგორებიცაა სიცოცხლე და სიკვდილი, ბუნება, მეგობრობა და სხვ. იმ დროისთვის მე დავასრულე რომანის თარგმნა და, ამავდროულად, გავაცნობიერე, რომ მაქსიმ გორკის ლიტერატურის ინსტიტუტის ყველაზე ცნობილი კურსდამთავრებულის მიერ ნაკითხული ლექციების კურსი მოვისმინე მსოფლიო ლიტერატურის შესახებ.

ალნიშენის ღირსია ალ-ქუნის ნაშრომის ორი განზომილება, რომელიც ჩემი და ავტორის ურთიერთთანამშრომლობასთანაა დაკავშირებული. პირველი ეხება მისი ენის სტილს, მეორე კი – ეგზოტიზმის საკითხს. პირველი ასპექტი უფრო ნათლად იკვეთება, როცა ალ-ქუნის ორიგინალში კითხულობ, მეორე კი აშკარად ჩანს მისი ნაწერების სხვა ენაზე თარგმნის პროცესში. თანამედროვე არაბული რომანების უმრავლესობამ დიდი წარმატებით გამოსცადა ენის ჰეტეროზული რეალობა, განსაკუთრებით კი – სასაუბრო და ოფიციალურ რეგისტრებს შორის არსებული დაძაბულობა. ალ-ქუნი წერის მისეული მანერით, მისი თანამედროვეებისგან განსხვავებით, აქცენტს აკეთებს ექსპერიმენტებზე, განსაკუთრებით კი – ენის ლიტერატურულ

რულ რეგისტრებზე, რომელთაგანაც უმრავლესი საკმაოდ ძველია. ნაკლებად დაოსტატებული მწერლის მიერ ჩატარებული მსგავსი ექსპერიმენტი მეტად პათეტიკური და ანაქრონისტული იქნებოდა. ალ-ქუნის მიერ კი კლასიკური ფრაზების მონაცვლეობით გამოყენება თითქოს ახალია – რადგანაც ცხადია, ის უდიდესი ნოვატორია თავის საქმეში. ალ-ქუნის წინადადებები დახვეწილი ეფექტურობით გამოირჩევა, რაც ყველაზე ნათლად მის აფორისტიულ ნამუშევრებში იკვეთება. მის ლიტერატურულ სტილს შეიძლება ეწოდოს „სქოლასტიკური“, მაგრამ ის არა მხოლოდ უბრალოდ ბრწყინვალე და მიზანმიმართული სტილია, არამედ კლასიკური ენისა და მისი შესაძლებლობების უფრო ახლოს გაცნობის შესაძლებლობაცაა. მისი თარგმნა ინგლისურ ენაზე სულაც არ არის მარტივი, რადგან მას უფრო მეტი საერთო პოეზიასთან აქვს, ვიდრე პროზასთან.

ალსანიშნავია მისი ნამუშევრების ეგზოტიკურობაც. ეს სიმართლეა, რადგან იგი დაკავშირებულია არა მხოლოდ გეოგრაფიულად მოშორებით მდებარე სამყაროსთან, არამედ იმ სამყაროსთან, რომლის კულტურაც მრავალჯერ განსხვავებულად იქნა დანახული: პირველ რიგში, მუსლიმურ გარემოში არსებობის გამო, მეორეც, – ის წარმოადგენს ჯერ კიდევ გაუთავისუფლებელი აფრიკული სამყაროს ნაწილს, და მესამე, რადგან ეს საჭარას უდაბნოა. ამგვარად, ალ-ქუნის მთავარი პერსონაჟები – უდაბნოში აქლემით მოხეტიალე მომთაბარენი – უნებლიეთ წარმოადგენენ ისეთივე ორიენტალისტური ტრადიციების ნაწილს, რომლებმაც მოგვივლინეს ტომას ედვარდ ლოურენსი და რუდოლფ ვალენტინო.

ალ-ქუნისთან მუშაობის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ არსებობს რაღაც უფრო ეგზოტიკური მის ნამუშევრებში (რომელიც უფრო იშვიათი და არაჩვეულებრი-

ვია), კერძოდ კი, მისი კავშირი მითთან. ალ-ქუნი ქმნის ისტორიებს, რომლებიც დროსა და სივრცეს უძლებენ. მკითხველისთვის ცნობილია, რომ მითი მის შემოქმედებაში განმეორებად თემატიკას წარმოადგენს. ჰორიზონტს მიღმა იღბალი ყოველთვის ჩანს, ეს სიმართლეა, მაგრამ ის ერთდროულად წამალიცაა და საწამლავეც. ამიტომ მხოლოდ მცირე დოზით შეიძლება მისი გამოყენება. მაგრამ, რაც ხშირ შემთხვევაში აშკარად არ ჩანს ამა თუ იმ ნაწარმოებიდან, არის ის, რომ ალ-ქუნისთვის, ისევე, როგორც სხვა მწერლებისთვის, მითს რომ მიმართავენ მწერლობაში, ნარატივი არ წარმოადგენს მხოლოდ გასართობად და ჭკუის სასწავლებლად წასაკითხ მასალას; ის წარმოადგენს არსებობისთვის აუცილებელ პირობას და ერთადერთ საშუალებას იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ საიდან მოვდივართ, ვინ ვართ და რას წარმოვადგენთ სხვადასხვა განზომილებაში, ჩვენს სურვილებსა და შიშებში, სიძლიერესა და სისუსტეში.

მართლაც, ალ-ქუნის შემოქმედებაში ასახული ყველაზე ეგზოტიკური რამ სტოიკოსი ავტორის მკაცრი ფილოსოფიაა. ეს წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე განსაცვიფრებელ მიღწევას – მისი ფილოსოფიური პოზიცია ერთდროულად გულწრფელია და სასტიკი და, მიუხედავად ამისა, მისი თხზულებები სიამოვნებით იკითხება. წარმოიდგინეთ, რომ მისი თითოეული მითი ასახავს ტრანსცენდენტულობისთვის ბრძოლას. მისი პერსონაჟები ცდილობენ, გააკონტროლონ თავიანთი სხულის ლტოლვა

და სურვილები, ან, უბრალოდ, გაჩუმდნენ. მისი გმირები ვერასდროს უძლებენ ფიზიკური და სულიერი ცხოვრების ლიმიტებს, მაგრამ ამავედროულად, სწორედ ეს არის სიკვდილი – ცხოვრების განმსაზღვრელი – რომელიც ტრანსცენდენტულობის შესაძლებლობებს ადგენს. ეს არის ის, რისი გაკეთებაც ალ-ქუნიმ მოახერხა, და არა ბესტსელერისთვის შესაფერისი ტიპობრივი მოტივები.

ალ-ქუნისთვის ლიტერატურა მკითხველის წინაშე წარმოადგენს ყოველს-მომცველ, მაგრამ, ამავედროულად, სასიცოცხლოდ ვარგის სამყაროს. ზოგიერთმა კრიტიკოსმა დაასკვნა, რომ ალ-ქუნის ფილოსოფია სუფიზმის ტრადიციებიდან მომდინარეობს, მაგრამ ეს მხოლოდ თხრობის ნაწილს წარმოადგენს. მისი სტოიციზმი ფართო და გლობალური ხასიათისაა – ის მოიცავს ტრადიციას, რომელიც გადაშლილია წინასოკრატიკოსებიდან – რუმიმდე, რომელთა შორისაც მოიაზრებს თოროსა და მეღვილის ტრანსცენდენტალიზმს, რუსულ ეგზისტენციალიზმსა და, რაც მთავარია, ბიბლიას, ყურანსა და ძველი სამყაროს მითოსისტემებს. თუ ალ-ქუნის ნამუშევრები ეგზოტიკურად გვეჩვენება, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ვიგებთ, თუ რისი მიღწევა სურს მისით და ვერ ვაცნობიერებთ, რომ ისინი, ისევე, როგორც მითები, იღვნიან გაუძლონ დროსა და სივრცეს. ალ-ქუნი გვახსენებს, რომ, რაც უფრო ამქვეყნიურია ლიტერატურული ნაწარმოები, მით უფრო განსხვავებული ჩანს ის.

ინგლისურიდან თარგმნა  
ანა ოთხოზორიამ

## ინტერვიუ იბრაჰიმ ალ-ქუნისთან

Man Booker International Prize საერთაშორისო ლიტერატურული ჯილდოა, რომელიც დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში 2004 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა იმ მწერლებზე, რომელთაც მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს და ვისი მხატვრული ნაწარმოებებიც ინგლისური თარგმანებით ხელმისაწვდომია საერთაშორისო მკითხველთა წრეებისთვის. ჯილდო გადაეცემა ავტორსა და მის ინგლისურად მთარგმნელს. 2015 წელს ამ საერთაშორისო ლიტერატურულ ჯილდოზე წარდგენილ მსოფლიო დონის მწერალთა და მათ მთარგმნელთა მოკვლე სიაში იბრაჰიმ ალ-ქუნი რომანით „ოქროს ქვიშა“ და მისი ინგლისურად მთარგმნელი ელიოტ კოლა მოხვდნენ, რამაც, ბუნებრივია, მწერლის პოპულარობა და მის მიმართ ინტერესი უზომოდ გაზარდა.

წინამდებარე ინტერვიუ ბრიტანულ გაზეთ „გარდიანის“ კორესპონდენტთან სნორედ ამ მოვლენასთან დაკავშირებით არის ჩანერილი.

**როგორ დაუხასიათებდით თქვენს საქმიანობას იმ ადამიანს, ვინც სულ არ გიცნობთ?**

მე უყოყმანოდ გავიმეორებ იმას, რაც უკვე არაერთგზის მითქვამს – ასეთ შემთხვევაში თავის წარსადგენად მთელი ჩემი შემოქმედების ხელახლა დანერა მომიწევს და, თუ მაინც უნდა ვთქვა რამე, მაშინ ვიტყვი, რომ მე უკუვაგდებ იმ ტიპის მკითხველს, რომელიც მწერლობაში გართობასა და თავის შექცევას ეძებს და არა – ჭეშმარიტებას, რადგან ეს უკანასკნელი შემაშინებელია და მუდამ ტკივილი ახლავს! ლიტერატურა ჩემნაირებისთვის ეპისტოლეა, მასში ჯვარია და სისხლი, რომელიც ჩამორეცხს ჯვარს ისევე, როგორც ყოველ წინასწარმეტყველებას სჩვევია ეს ამ სამყაროში. სწორედ ამიტომ უძლური ვარ, მე მას რამე რეცეპტი ვასწავლო. ჩვენ მივეჩვიეთ ვთქვათ, რომ ეშმაკი დეტალებში იმალება, მაგრამ ჭეშმარიტებაც დეტალებსა და წვრილმანებში სახლობს.

**თქვენს რომელ წიგნებს ურჩევდით მკითხველს, რომელიც პირველად მი-**

**ეახლა თქვენს სამყაროს; რომელი მათგანი წარგადგენდათ უკეთ?**

ყველა ჩემი წიგნი ჩემი ჯვრის ნაწილია, ყველა მათგანი ჩემი შვილია. ისინი მრავალწახნაგოვნად უტრიალებენ ერთსა და იმავე ცენტრალურ პრობლემას (სამოციქულო სულიერ გზავნილს, რაღა თქმა უნდა) და, როგორც შვილთა ხასიათის მრავალგვარობა მამათა ბუნების ანარეკლია, მათი პიროვნული სიმდიდრეც იმ თავდაპირველი პიროვნების სიმდიდრის ნიშანი და მტკიცებულებაა, რომელსაც ამ ყველაფერს მისი ნაგრამი დაესესხა. აქედან გამომდინარე, მე ვერც ერთ მათგანს უპირატესობას ვერ მივცემ სხვა დანარჩენებზე და, თუ მაინც იძულებული შევიქნები, დავასახელო წიგნი, რომელიც ჩემი ნაშრომების გასაღებად გამოდგება ინგლისურ ენაზე, მაშინ ეს მხოლოდ „ოქროს ქვიშა“ შეიძლება იყოს. ვამბობ, ინგლისურადმეთქი, რადგან ჩემი მთავარი ეპოპეა „მაგები“ გერმანულად და ფრანგულადაა გამოცემული წლების წინ, ის დღემდე არ თარგმნილა ინგლისურად.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ამ ინტერვიუს ჩანერიდან ძალიან მალე იბრაჰიმ ალ-ქუნის რჩეულმა მთარგმნელმა ელიოტ კოლამ დიდტანიანი რომანის „მაგების“ თარგმანი გამოსცა ინგლისურად კაიროს ამერიკული უნივერსიტეტის გამომცემლობაში.

### როგორც მწერალი, გრძნობთ თუ არა განსხვავებას სამშობლოსა და თქვენს მკითხველ მსოფლიოს შორის?

ბუნებრივია, არის სხვაობა, დიდი სხვაობა; განსაკუთრებით ისეთი მწერლისთვის, ვისთვისაც კულტურული და ენობრივი „უცხოობა“ ისეთი თანამდევია, როგორც ჩემთვის. მე უცნობ, დაფარულ, მაგრამ ძირძველ ტუარეგულ კულტურას ვეკუთვნი, რომელსაც ეპოქათა მანძილზე იზოლირება და დავინყება ერგო ბედად, მიუხედავად მისი მითოლოგიური და სულიერი სიმდიდრისა, რომელიც მის უმშვენიერეს ხელოვნებაშია გადატანილი – სიმღერასა და პოეზიაში. ამ უცხოობას ენობრივი „უცხოობაც“ ერთვის – მე არაბულად ვწერ. ის ჩემი მეორე ენაა და არა მშობლიური. ამას დაუმატეთ ჩემი უცხოობაც სამშობლოდან – საჰარის უდაბნოდან, რომელიც ჩემი შემოქმედების მარადი თემაა იმის მიუხედავად, რომ ბავშვობაშივე მომიხდა მისი დატოვება. უდაბნოდან ოაზისებში გადავედი, სამხრეთ ლიბიის ოაზისებიდან – სანაპირო ქალაქში, იქიდან უკვე – საბჭოთა რუსეთში მსოფლიო ლიტერატურის შესასწავლად, მერე – პოლონეთში ჟურნალისტიკაში სამუშაოდ, შემდეგ კვლავ რუსეთში დაბრუნება მომიწია პრესკორესპონდენტად, შემდეგ იყო უკვე შვეიცარია, რომლის მოქალაქეობასაც ვატარებ, და ბოლოს – ესპანეთი, სადაც ამჟამად ვცხოვრობ... ამ მტკივნეულ გაუცხოებათა გვერდით არსებობს ყველაზე სასტიკი უცხოობა – „ყოფიერების გაუცხოება“ თითოეული ჩვენგანის სამყაროში, რომელშიც დაკარგულ ზეციურ სამოთხეს დავეძებთ. მე ვერ შევძლებდი, დამეწყო ჩემი დაუსაბამო მოგზაურობა, ეს სიშორე თუ არ შემოვიდოდა ჩემში და მას თუ არ შევიგრძნობდი, რადგან ჩვენ

ყველანი, რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ ამქვეყნად, ეს ჩვენი ნამოქმედარი სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ამ „ყოფიერების გაუცხოების“ გადმოცემისა და გამოხატვის მცდელობა, ან „სულიერი გაუცხოებისა“, თუ გინდა, ასე ვთქვათ.

ამიტომაც მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ წერა ადრე დავინყე, მაგრამ ჩემი ნამდვილი „მოგზაურობა“ მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა 1973 წ. ჩემი ნოველები ითარგმნა და გამოიცა რუსულად. ეს „მოგზაურობა“ ჩემი ნაწარმოებების სხვა ენებზე თარგმანებით გაგრძელდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საერთაშორისო აღიარების წყალობით იმ არაბი მკითხველის აღიარებაც მოვიდა, ვის ენაზეც მე ვწერ, რადგან რასაც მე „სამოციქულო ტექსტს“ ვეძახი, იმას, ჩვეულებრივ, დიდი გასაქანი არა აქვს მკითხველში და გასართობ ლიტერატურასთან შედარებით არც ისე იოლად იხვეჭს პოპულარობას. უფლის ძიება სახიფათო, სარისკო თავგადასავალია და ჭეშმარიტებასთან შეხვედრაც ბედნიერი საქმე როდია! ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ სერიოზული ლიტერატურა ხანდახან თაობათა მანძილზე უცნობი და დავინყებული რჩება ხოლმე, რადგან თავის დროში მას გაგება არ უწერია, ისევე, როგორც არ უწერია აღიარება საკუთარ სამშობლოში. ზუსტად ისე, როგორც მოციქულებს ხვდათ ეს ნილად! რამდენი ისეთი ნაწარმოები, როგორც ჰერმან მელვილის „მოზი დიკია“, საკმაოდ წიგნიერ გარემოში დავინყებას მისცემია დასავლეთში. რამდენი ხანი რჩებოდა გულგრილი დასავლეთი პრუსტის „დაკარგული დროის ძიების“ მიმართ! მეტიც, ყველა დროის წინასწარმეტყველი შექსპირი რამდენ ხანს იყო უყურადღებოდ მიგდებული – იმ ზომამდე, რომ ჰიუგოს თავის სტატიათა სერიის მეშვეობით

ფართომასშტაბიანი კამპანიის წამოწყება დასჭირდა ინგლისის გამოსაფხიზლებლად და საკუთარ სამშობლოში გაუცხოებული ამ ბუმბერაზი კორიფეს ქეშმარიტ ღირებულებაზე მათი ყურადღების მისაპყრობად!

არც არაბული ლიტერატურა ყოფილა გამონაკლისი! მასაც ერგო ამგვარი ხვედრი. თორმეტი საუკუნე ველოდით სახელგანთქმული აღმოსავლეთმცოდნე არბერის მიერ ან-ნიფფარის<sup>1</sup> აღმოჩენას. არანაკლები ლოდინი დაგვჭირდა, სანამ გასული საუკუნის დასაწყისში მასინიონმა ალ-ჰალლაჯი<sup>2</sup> არ გვაპოვნინა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეროვნული ლიტერატურა შესაძლოა, სამუდამოდ დარჩეს სიბნელეში მივიწყებული, თუ ბედისწერამ არ ინება და უცხოელი არ მოგვივლინა, ვინც მას აღმოაჩენს! ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილებით კი, განა წუთისოფელი რამდენჯერ მოგვივლენს ხსნას იმ უცხოელთა ხელით, რომლებზეც წმინდა წერილში შესანიშნავად წერია: „უმასპინძლეთ უცხოთ! მრავალი ადამიანი გამასპინძლება უცხოთა სახით ანგელოზებს ისე, რომ თავად არ უწყოდნენ ამის შესახებ“.<sup>3</sup>

### **რომანისტი ყოველდღიურ პოლიტიკურ პრობლემებს უნდა ეხებოდეს თუ არა?**

არასდროს მქონია პოლიტიკაზე კარგი აზრი სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელთაგან ყველაზე მთავარი ქეშმარიტების უპირველეს მტერთან – იდეოლოგიასთან მისი მჭიდრო კავშირია.

რომანისტი, რომლის საზრუნავი პოლიტიკის წყველა-კრულვაა, აუცილებლად იდეოლოგიის მსხვერპლი გახდება და საკუთარ თავს შემოქმედებითად სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს სპილოს ძვლის კომპი ცხოვრებისკენ მონოდებას, არამედ პოლიტიკური საკითხების მიმართ რომანისტის მიერ უკიდურესი სიფრთხილის გამოჩენას, განსაკუთრებით კი იმ სამყაროში, რომელიც მიეჩნია პოლიტიკის სახელით მთელი ყოფიერების სტენოგრაფიულად შემოკლებას, რათა ეგზისტენციურ საკითხს ისეთივე პრივილეგია მისცეს, როგორც თავისუფლებას – წმინდა პოლიტიკურ განზომილებაში, რითაც მასში ქეშმარიტების სულს კლავს, თუკი ისეთი მაშველი რგოლი არ მოიმარჯვე, როგორცაა ლეგენდა და მითი. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ რომანისტის რელიგია მითოლოგიაა, აშკარა მტერი კი – იდეოლოგია! იდეოლოგია ის სიტყვაა, რომელზეც წმ. პავლემ თქვა, რომ ის კლავს, მაშინ, როცა მითოლოგია სულია რომანისტისთვის, რომელიც აცოცხლებს. თუ იდეოლოგია ღირებულებათა დაფარვის საიდუმლოა მსოფლიო ლიტერატურაში, მაშინ შემძლია ვთქვა, რომ პოლიტიკით ბრმად გატაცება თანამედროვე არაბული ლიტერატურის სენია.

### **შეგიძლიათ, რამე ახალი გვითხრათ საკუთარ თავზე?**

არაფერია ახალი მზისქვეშეთში, როგორც ეკლესიასტეს ბრძენმა დაგვი-

<sup>1</sup> მუჰამედ იბნ აბდ ალ-ჯაბარ ჰასან ან-ნიფფარი – X ს-ის ერაყელი სუფი ავტორი.

<sup>2</sup> აბუ აბდალლა ჰუსეინ იბნ მანსურ ალ-ჰალლაჯი – IX-X სს-ის ერაყელი სუფი ავტორი.

<sup>3</sup> „სტუმართმოყვარეობა არ დაივიწყოთ, ვინაიდან ზოგიერთებს ანგელოზებისათვის გაუწევიათ სტუმართმოყვარეობა და არ სცოდნიათ“, პავლე მოციქულის წერილი ებრაელთა მიმართ, თავი 13:2.

ბარა. ჭეშმარიტად, ახალი მხოლოდ ძველის განჭვრეტასა და ღრმად შეცნობაში იმალება, ძველისკენ ხელახლა მიბრუნებაში, მის გადაფასებაში, რადგან შექმნის დღიდან დასმული უდიდესი ადამიანური კითხვები დღემდე დაისმის და კვლავაც დაისმება, რადგან, რასაც ჩვენ პროგრესს ვეძახით, მხოლოდ ტექნიკის, ტექნოლოგიების სიმეზღვე მუსიკალური შესრულებაა, სხვა არაფერი!.. მეტიც, შემოიძლია ვთქვა, რომ ეგზისტენციური კითხვები, რომლებიც კი ძველად დასმულა, ახლა უფრო მეტი სიმძაფრითა და მღელვარებით, გზნებით დაისმის და უფრო ღრმად სწვდება სულს. ძველი სამყაროს ლიტერატურა ყველაზე კარგი მოწმობაა ამისა! ჩვენი ზრუნვა და მცდელობა, რამე შევმატოთ მას, ტექსტის მინდორზე მინანქრია მხოლოდ; მიუხედავად იმისა, რომ მინდორზე შეიძლება ისეთი ძვირფასი რაღაცები იყოს მიწერილი, რასაც შეუძლია ცნობისმოყვარეობის ალი ააბრილოს. ცნობისწადილი აქ ჩვენი გზამკვლევი და მეგზურია სამოთხისაკენ, თუნდაც ეს სამოთხე მხოლოდ წარმოსახვითი იყოს! თუ რამე ახალს ვიტყვი, ისეთი იქნება, სათქმელი რომ არაა – ჩვენ ხომ არასდროს ვამბობთ იმას, რი-

სი თქმაც გვინდა! არა სიახლის მიმართ მტრული პოზიციის გამო, რაზეც ჰენრი თორო ამბობს, რომ სინმინდის წასაბილწი სანაგვე – ეს სულია, არამედ ეგზისტენციური პოზიციის გამო – მიუხედავად იმისა, რომ ძველმა ბერძნულმა ენამ ყოფიერების გამოსახატავად „სიახლის“ გარდა სხვა სიტყვა ვერ იპოვა, ეს ორი საპირისპირო პოლუსი შეაჯვარა „განახლების“ სათარგმნად, რათა გამოეხატა მისით შექმნის ის საიდუმლო, რომელსაც ყოფიერებას, არსებობას ვეძახით. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ რომანი, რომელსაც ჩვენგან ელიან, მითიურ რეალობაში იმიტომ როდი ცხოვრობს, რომ ამ რეალობის ახალი განმარტება მოგვცეს, არამედ ის ჩვენს საკუთარ დაფარულ „მე“-ში სახლობს იმ ზომით, რომ მისი მეშვეობით მხოლოდ „შექმნის“ უკვდავ საკითხთან, ჩვენში მცხოვრებ უხილავ არსთან დაკავშირებული ახალი ვთქვათ, ან რამე ახალი დავეუმატოთ იმას, რაც ჩვენამდე უკვე თქმულა. რამდენად წარმატებით შევძლებთ, ავამეტყველოთ იგი ან რამდენად მოგვეცარება ამაში ხელი – ესაა საზომი იმისა, რაც ჩვენ გამოსადეგად გვაქცევს ან რამის კეთების ხალისს გვართმევს.

არაბულიდან თარგმნა  
დარეჯან გარდავაძემ

## იბრაჰიმ ალ-ქუნის საუბარი ლუიზიანას სატელევიზიო გადაცემაში

### უდაბნოში ჩვენ ვხვდებით სიკვდილს...

უდაბნოს თემა – ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ეგზისტენციალური საკითხი, რამდენადაც უდაბნო არ არის მხოლოდ უდაბნო, ის ადამიანის არსებობის სიმბოლოა, რადგან, თუ კარგად დავაკვირდებით, აღმოვაჩინებთ, რომ უდაბნო მდიდარია სულით, ის არის სამოთხე, ნამდვილი სამოთხე. ურბანული დასახლება – ქალაქი – სულის გარეშე ჯოჯოხეთია. ჩემს შრომებში სწორედ ამ სულის არსებობაზე, უდაბნოს მეტაფიზიკურ აღქმაზეა საუბარი. უდაბნო აზროვნებისთვის განძია. უდაბნო არაა ადგილი, რადგან ადგილს პირობითობები ახლავს. პირველი პირობა წყალია. წყლის არარსებობის პირობებში შეუძლებელია ადგილზე გაჩერება, მკვიდრობა; ამიტომაც უდაბნო მეტაფიზიკური ადგილია. აქ არ არის ადგილის დამახასიათებელი პირობითობები.

სამოცდაათიანების დასაწყისში, როდესაც მოსკოვში, გორკის ინსტიტუტში ვსწავლობდი, არსებობდა გავრცელებული შეხედულება, რომ რომანი ურბანული ფენომენია და არ სცდება ქალაქს. ეს იყო ჯორჯ ლუკაჩის თეორია, რომელიც თომას მანზე დაწერილ მის სტატიებში ამოვიკითხე. ამის შემდეგ ხშირად ვეკითხებოდი საკუთარ თავს: მართალია, რომ რომანი მხოლოდ ურბანული ხელოვნების გამომხატულებაა? საბოლოოდ მივედი იმ დასკვნამდე, რომლითაც სრულად ვენინააღმდეგობოდი ამ თეორიას. მე ვთვლი, რომ რო-

მანის წარმოშობის ადგილი არის ადამიანი და არა ქალაქი. რომანის სამშობლო არის ენიგმა, სახელად ადამიანი.

უდაბნო მდიდარია ემოციით. ჩემთვის მასზე რამის დაწერა უდიდესი გამოწვევა იყო, რადგან უდაბნოში ყველაფერი საეჭვოა. ისინი, ვინც ჩემს ნაწერებს კითხულობენ, ხვდებიან, რომ დრო უდაბნოში არის მითიური, საიდუმლო დრო, რადგან იმ ადგილას, სადაც არ არის ქალაქისთვის დამახასიათებელი ურთიერთობები ან კონფლიქტის სახეობები, ბუნებრივია, დროც უჩინარდება. ამიტომაც დრო უდაბნოში არ არის დრო ტრადიციული გაგებით. უდაბნოში დრო უცვლელი და მარადიულია, მას არ აქვს ნიშნები, არანაირი წინაპირობა, რადგან წარსული, აწმყო და მომავალი ერთდროულად მიმდინარეობს. ამას მივყავართ ვარაუდებამდე და უდაბნოს ფენომენის ფილოსოფიურ და ღრმა შესწავლამდე. ეს არის ის, რაც აქამდე არავის გამოუკვლევია. უდაბნო ისევ შეუმჩნეველი განძია, რადგან, გაბატონებული შეხედულებითა და ზოგადი აღქმით, უდაბნო უკაცრიელი ადგილია, სადაც არაფერია. რეალურად, უდაბნოში ყველაფერია. ის ნიღბავს თავის რეალურ ბუნებას. ჩვენ, ადამიანები, ყოველთვის ვფიქრობთ, რომ ბუნებაში უცვლელი და მყარი ადგილი გვიკავია, თუმცა უდაბნოში შენ გარიცხული ხარ ბუნებიდან, მის მიღმა დგახარ, მაგრამ, ამავდროულად, შენ ხარ იქ, სადაც არსებობს თავისუფლება – თავისუფლება

ბუნების წინააღმდეგ. რა არის თავისუფლება? – ის ნიშნავს სიკვდილს. უდაბნოში ჩვენ ახლოს ვართ სიკვდილთან. უდაბნოში ჩვენ სიკვდილს თვალელებში ვუყურებთ, მის მიჯნაზე – ბარზახზე<sup>1</sup> ვართ და ეს სასწაულია. უდაბნო არის ის ერთადერთი ადგილი, სადაც ჩვენ შეგვიძლია, შევხვდეთ სიკვდილს, შემდეგ კი სახლში მშვიდობით დავბრუნდეთ.

უდაბნო ყოველთვის იყო წმინდანებისა და მოციქულების სავანე, რადგან ის დამაკავშირებელი ხდება აბსოლუტურ თავისუფლებასა და არსებობას, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის. ეს მხოლოდ უდაბნოში შეიძლება, მოხდეს, რადგან უდაბნო სრული სისტემაა. ეს არის სრულყოფილი მეცნიერება, რომელიც მთლიანად არ შესწავლილა. ყველაფერს, რასაც ვაკეთებ, მხოლოდ იმიტომ, რომ შევისწავლო ეს დაკარგული განზომილება, დაკარგული სამოთხე – ასე ვუნოდებ მას. ადამიანს უდაბნოში ბაქტერია, ეჭვისა და დიდი კითხვების ავადმყოფობა შეაქვს – არსებობის ავადმყოფობა, ბუნებრივ განზომილებაში არსებობისა... ყოფნა, არყოფნა?!.. – შეკითხვა უცვლელია. უდაბნოს შეუძლია, საკუთარ არსებობაში დაგაეჭვოს. უდაბნოში აღმოაჩენ, რომ არსებობს სამყარო, რომელსაც შეუძლია, არსებობაზე გათქმევის უარი. სული იბადება უდაბნოში, ნამდვილად იბადება... ამიტომაცაა, რომ საჰარის უდაბნოს ხალხები ბუნებით სპირიტუალისტები არიან.

კაცობრიობა იყოფოდა ორ მთავარ

ტომად, რომლებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, რადგან ორი სრულიად განსხვავებული სამყაროდან იღებდნენ სათავეს. შედეგად მივიღეთ მომთაბარე ტომი და მკვიდრი ტომი. მომთაბარე ტომის მთელი კაპიტალი იყო თავისუფლება, რადგან მათ არ ჰქონდათ ადგილის შემოსაზღვრისა და დაკანონების სურვილი. ამიტომ დაიწყეს მუდმივი ძიება, ძიება კი წარმოშობს თავისუფლებას. რაც შეეხება მკვიდრი ტომის კაპიტალს, ეს იყო საკუთრება. მკვიდრმა ხალხმა, საკუთრებასთან ერთად, განავითარა მრენველობა, შეიძინა ხელობა, შექმნა ინდუსტრია და ის, რასაც დღეს ჩვენ ცივილიზაციას ვუნოდებთ. არაბული სიტყვა სახლი – „ბაით“ უდაბნოს ხალხის ენაზე ნიშნავს სიკვდილს. სიტყვა „კაბრ“, რაც არაბულად საფლავს ნიშნავს, ჩვენს ენაზე სახლს ნიშნავს. ჩვენთვის სახლი, ამავდროულად, საფლავია. მკვიდრ ხალხში სული მკვდარია.

წმინდა ავგუსტინემ მომთაბარე ტომს ღვთაებრივი ტომი უწოდა, მკვიდრ ტომს კი – კაენის ტომი, მიწის მკვიდრი, ბინადარი ტომის მნიშვნელობით. ყველა ომი ანტიკურ პერიოდში სწორედ ამ სხვაობის საფუძველზე მოხდა. საჰარის უდაბნოს ხალხი თავს ესხმოდა ანტიკურ ეგვიპტეს, რადგან სასტიკი მტრობა იყო სულსა და სხეულს შორის. ვინ გაანადგურა შუმერული ცივილიზაცია? – აქადელებმა. ვინ გაანადგურა ბაბილონის ცივილიზაცია? – მონღოლებმა. ვინ დაეპატრონა კონსტანტინოპოლს? – სელჩუკები. ვინ გაანადგურა ანტიკური რომი? – ვანდალებმა,

<sup>1</sup> ბარზახი – იხ. ყურანის სურა „მორწმუნენი“, აია 102 (100).



რომლებიც ასევე მიგრანტი ტომები იყვნენ. არ ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ბოლომდე სერიოზულადაა შესწავლილი. ეს არის გამოტოვებული რგოლი კაცობრიობის ნაკვლევ ისტორიაში. უდაბნოს

შესწავლა სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ, თუ გვინდა, რომ ვიგრძნოთ უდაბნო და გავუგოთ ხალხს, ვინც სახლობს მასში.

არაბულიდან თარგმნა  
**ლია ლონდარიძემ**

# იბრაჰიმ ალ-ქუნი

## მაგები

(ნაწყვეტები რომანიდან)

თავი პირველი

### სამხრეთის ქარი

„სამხრეთისაკენ მიჰქრის ქარი, გაბრუნდება ჩრდილოეთისკენ; ბრუნავს, ბრუნავს, მიჰქრის ქარი და უბრუნდება ისევ თავის წრეს“.<sup>1</sup>

ძველი აღთქმა, ეკლესიასტე, 1: 6

#### 1.

ვისაც მთების ჰაერი არ ჩაუსუნ-  
თქავს, მას ცხოვრების გემო არ უგემ-  
ნია.

აქ, მოშიშვლებულ მწვერვალებზე,  
უახლოვდება ის ღმერთებს. სხეულისა-  
გან თავისუფლდება და ეძლევა ძალა,  
ხელი გაიწვინოს და მთვარე მოწყვი-  
ტოს, ვარსკვლავები ჩამოკრიფოს.

ამ ადგილიდან მოსწონს ძირს ხალ-  
ხის თვალიერება – ჭიანჭველებივით  
მოფუსფუსენი, როგორ ეჯიბრებიან  
ისინი ერთმანეთს და ეჩვენება, თითქოს  
მათ სასწაული აღესრულებინოთ. დაემ-  
ვება მათ მინაზე და ნახულობს, რომ  
ისინი საცოდავი დერვიშები<sup>2</sup> არიან, გა-  
მეტებით რომ გადაცვენილან ძიებაში  
და რას იმკიან? – მხოლოდ მონაჩმას  
ტყუილს!

რა სასაცილო და უგვანო ჩანს მათი  
მუყაითობა ზედა საცხოვრისიდან!

აქაქუსის<sup>3</sup> მედიდური და ქედმაღალი  
მთაგრეხილიდან ორი ზღაპრული მთა

გამოყოფილიყო და უდაბნოში ჩაკარგუ-  
ლიყო. ერთი მათგანი სამხრეთისკენ გა-  
წოლილიყო, მთავარი ქედის მეზობლო-  
ბაში და თავის ცთომილ დობილზე უფ-  
რო ტანდაბალი ჩანდა, თუმცა მაინც  
ტოლს არ უდებდა და მასავით ცისკენ  
ანვდილიყო ორი გიგანტური კორპუ-  
სით. ჩრდილო მთას რაც შეეხება, ვაკის  
მეორე მხარეს მთვლემარეს, მისი ბუნ-  
დოვანი, სევდიანი მწვერვალები ოთხი  
წვეტიტ მედიდურად შეჭრილიყო კოს-  
მიურ სივრცეში.

სალამოს ბინდმა დასავლეთი უდაბ-  
ნო მენამულ ფერში გახვია. სქელი  
ღრუბლების ნაფლეთები ჰორიზონტის  
სიგრძეზე გაბნეულიყო. ორ მთას შორის  
დაბლობზე ქარავანი ილანდებოდა, რო-  
მელსაც წინ ფეხოსნები მიუძლოდნენ,  
უზარმაზარ ტახტრევანს ეწეოდნენ, მო-  
ნებით გარემოცულ აქლემზე რომ ტორ-  
ტმანებდა. მდიდრულ ტახტრევანს  
კვალდაკვალ მისდევდნენ ტვირთაკიდე-

<sup>1</sup> და მუნვე მივალს სამხრით და მოჰვლის ჩრდილოთ, გარემოვლის გარემო სული და სიმრგუ-  
ლესა თვსსა მოიქცევის სული.

<sup>2</sup> დერვიშები – სუფიური ორდენის წევრები, რომლებიც სარიტუალო წრეში ბზრიალით და უფ-  
ლის ხმობით აღწევენ ექსტაზის მდგომარეობას.

<sup>3</sup> აქაქუსი – მთაგრეხილი ლიბიის საჰარაში.

ბული აქლემები. თუმცა ამ პროცესის დიდებულება დაკიდებული მწვერვალ-დან სასაცილო სცენად ქცეულიყო. შემჩნეული ჰქონდა, რომ მთა ყველაფერს, რაც კი მიწაზე მორთულ-მოკაზმული და დიდებული ჩანს, სათამაშოდ ხდიდა. მაჰრული აქლემები<sup>1</sup> სიმაღლიდან თავ-ვეზად ქცეულიყვნენ და პატივცემული, ფარშევანგებივით გაფხორილი, პირბადიანი<sup>2</sup> კაცები კი – თოჯინებად, სიცილს ან ტირილს რომ იწვევენ. თვით ტომის წარჩინებული შეიხიც კი, მის ცისფერ, ადამიანთა გულებში მოწინების აღმძვრელ სამოსელში, თავისი მწვერვალის პატარა, უსუსურ თოჯინად ეჩვენებოდა, ძალიან რომ აცინებდა. შენიშნა, რომ მწვერვალის ხალხის მასშტაბებითა და აქტივობით მით უფრო სასტიკად ერთობოდა, რაც უფრო მეტ სერიოზულობასა და ქედმაღლობას იჩენდნენ ისინი. ამპარტავანი, წარჩინებული ხალხისთვის ხელის ჩამორთმევისას რამდენჯერ უთქვამს გულში: „მაცალეთ, ავიდე ერთი მთაზე და იქიდან დაგინახავთ, მართლა ღვთაებები ხართ

თუ მხოლოდ თავგები!“ ეს საიდუმლო აღაგზნებდა მას და განაცვიფრებდა. მთის ზეცად აწვდილი მწვერვალის განზრახ რატომ ამცრობდა და მასხრად იგდებდა დიდებულებსა და მედიდურებს, საცოდავ დერვიშებად რატომ აქცევდა მათ?! შინაგანი გრძნობა ეუბნებოდა, რომ მწვერვალის არ ცდებოდა და, თუკი ის ამპარტავანთ თოჯინებად წარმოსახავდა, ეს ასეც იყო სინამდვილეში. ეს ბარი კაზმავს და რთავს ხალხს, ილუზიად აქცევს მათ! ისინი, ატაცებულნი, გაუჩერებლად დაქრიან, მხნედ საქმიანობენ და სხვებზე უფრო სასაცილონი ჩანან, რადგან მინიერ რეალობაში ყველა დანარჩენ ხალხზე მეტად ცდომილნი არიან, სული ეშმაკისთვის მიუხდვიათ და მასაც მუჭში ჰყავს ისინი გამომწყვდეულნი.

სწორედ მედიდურნი ხდებიან იბლისის ყველაზე იოლი ლუკმა.

როგორც მთაა ღმერთთა საკურთხეველი, ისე ბარია იბლისთა სამფლობელო.

თავი მეორე

### სუფიური ორდენის შეიხი

„ეკრძალეთ ცრუ წინასწარმეტყველთ, რომელნიც მოვლენ თქვენთან ცხვრის სამოსით, ხოლო შიგნით არიან მტაცებელი მგლები“.<sup>3</sup>

მათეს სახარება, 7: 15

1.

პირველი, რაც ფაკიჰმა გააკეთა ჭეშმარიტების მარცვლების დასათესად, ის

იყო, რომ ვარსკვლავთმრიცხველთა, მკითხავთა და მისანთა გრძნეული რი-

<sup>1</sup> მაჰრული აქლემები – ჯიშისანი აქლემები, რომლებიც აქლემების რემას წინ მიუძღვიან. წარმომავლობის სახელი მიემართება მაჰრა იბნ ჰიდანის იემენური ტომს.

<sup>2</sup> ტუარეგების ტომები ცნობილნი არიან იმით, რომ მამაკაცები პირსაბურავით დადიან.

<sup>3</sup> ეკრძალენით ცრუ-წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდნენ თქვენდა სამოსლითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ.

ტუალების წინააღმდეგ გაილაშქრა.

ის მარზუკიდან<sup>1</sup> მომავალ ქარავანთან ერთად ჩამოვიდა, რომელიც მის სამშობლო თუათში<sup>2</sup> ბრუნდებოდა. განაცხადა, რომ კადირიის საძმოს<sup>3</sup> მიმდევარი იყო, რომლის მიზანიც თავისუფლებისთვის საბრძოლველად ხალხის ქეშმარიტ გზაზე დაყენება გახლდათ. არც იმისი ხაზგასმით აღნიშვნა დაუყოვნებია, რომ სუნის<sup>4</sup> ფაკიჰებისგან განსხვავებული აზრი ჰქონდა. ტომის ბელად ადას, რომელმაც მას საკუთარ სახლში უმასპინძლა, უთხრა: „ფაკიჰებთან ჩემს განხეთქილებაზე თქვენთან დასაახლოებლად და თავის წარმოსაჩენად როდი მივუთითებ, რაკილა ვიცი, საჰარის ტომებმა მათი ხელიდან რელიგიის სახელით რა ძარცვა-გლეჯაც იწვენიეს! არა, ჩემი მათთან შეუთანხმებლობა ძირითად გეზშია! მათ რელიგიას ნიშანთა ენა ჩამოართვეს და დოგმები და დოქტრინა ანბანისა და შარიათის<sup>5</sup> ენაზე გადათარგმნეს. მათ შეიტანი სულის სატუსალოდან გამოუშვეს და უბრალო, მიამიტ ხალხს ამქვეყნად მისი დევნისკენ მოუწოდეს მისი მოკვლის მიზნით. ეშმაკმა კი იმდენი ქნა, დაეპატრონა მათ. მათ დაკარგეს ის ყველაზე ღირებული არსი, რაც უფალმა თავის ქმნილებას უბოძა და ყოველ რელიგიას ქვაკუთხედად დაუდო – თავისუფლება!“ შეიხი მიიჩნევდა, რომ სწორედ ამ ცდომილებამ ამოატრიალა ყირაზე რელიგიური სასწაული და ეშმაკმაც სძლია მათ, წინ წარუძღვა მათ მონდომებასა და ძალისხმევას ამ ცხოვრებაში. ისინი

წარწყმდნენ და ყველანი წარმართებად იქცნენ, მათთვის რელიგია ისევ ისეთი უცხო გახდა, როგორც ადრე იყო.

ტომის ბელადმა გაიხარა სტუმრით, მის პატივსაცემად საკლავი დაკლა. შეიხები და წარჩინებულნი სამი დღე თავს ევლებოდნენ მას, ტომის ახალგაზრდა ქალები კი მღერითა და მუსიკით ართობდნენ. მეოთხე დღეს ბელადი ტომის წარჩინებულებს მოეთათბირა და მათი სახელით სთხოვა სტუმარს, დარჩენილიყო, რათა აეხსნა მათთვის და ხილული გაეხადა რელიგიის დაფარული საკითხები, მათი შვილებისთვის ყურანი ესწავლებინა. მან მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. შემდეგ ნებართვა აიღო, თავის სამშობლო თუათში დაბრუნებულიყო, რელიგიური საქმეები დაესრულებინა, რათა რამდენიმე თვეში საბოლოოდ დასარჩენად ჩამოსულიყო. ტომის დიდგვაროვნები გამოეთხოვნენ და გააცილეს, აქლემები საგზლითა და წყლით დაუტვირთეს, მონები გააყოლეს მის განკარგულებაში, მაგრამ მან არც აცია, არც აცხელა და შუაგზიდან უკან გამობრუნდა. თავისი დაბრუნების მოულოდნელი გადაწყვეტილება იმით გამართლა, რომ ამქვეყნიური საქმეები მგზავრობის წვალებად არ ღირს და ადამიანი ჯერ საკუთარი თავისგან უნდა გათავისუფლდეს, თუკი სურს, რომ სხვები დაარწმუნოს ახალი გზის სისწორეში.

უდაბნოს მკვიდრთ ისლამში დაჯგუფებათა ბრძოლაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ. ვერაფერი გაიგეს მისი ნათ-

<sup>1</sup> მარზუკი – აჰაგარის აღმოსავლეთით მდებარე მხარე ლიბიაში.

<sup>2</sup> თუათი – ოაზისი და ქალაქი დასავლეთ საჰარაში, მსხვილი სავაჭრო ცენტრი.

<sup>3</sup> კადირიის საძმო – სუფიური რელიგიური ორდენი, დაარსებული XII საუკუნეში ერაყში ლეთისმეტყველ აბდ ალ-კადირ ალ-ჯილანის მიერ. ეს ორდენი დასავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკაში დღემდე დიდად გავრცელებულია.

<sup>4</sup> სუნა – მოციქულ მუჰამედის ქცევა და სიტყვები, შენახული გადმოცემებში და მიღებული სახელმძღვანელოდ მუსლიმთა მიერ. სუნიტები, სუნის მიმდევრები ძირითად ორთოდოქსულ მიმართულებას წარმოადგენენ ისლამში.

<sup>5</sup> შარიათი – მუსლიმური სამართალი.

ქვამიდან ფაკიჰებთან მისი დაპირისპირების შესახებ და განაგრძობდნენ მის „ფაკიჰად“ ხმობას. თავდაპირველად გადაწყვიტა, რომ მიმდევრები აღეზარდა. ბავშვებს ყურანს ასწავლიდა და ძალიან მონდომებული იყო, რომ მათ სარწმუნოებრივი მოძღვრება სუფთა სახით, შეუმღვრეველი, შუამავლის გარეშე მიეღოთ. შემდეგ გადაწყვიტა, წინ გადაედგა ნაბიჯი და ჭეშმარიტების მსურველი მურიდეებისგან<sup>1</sup> შეადგინა ჯგუფი, რომელიც წარმართულ ერესთან და მაგიურ რიტუალებთან ბრძოლაში მისი გეგმის განხორციელებაში დაეხმარებოდა. თითოეულ მურიდს კისერზე ამულეტი შეაბა და მისცა უფლება, ქვებით ჩაექოლათ მკითხავი ქალი თემეთი; ჭის თავზე წამომდგარ ბორცვზე სპეციალური კარავი გაშალა და ის აქცია ზიქრის,<sup>2</sup> ყურანის რეჩიტაციით კითხვისა და თავის მიმდევარ მურიდებთან შეკრების ადგილად. ხშირად გამოდიოდა იქიდან დაფ-დაირების ხმაური და მომღერალთა ხმები, რომლებიც სუფიურ ლოცვებს მღერით ასრულებდნენ. სწორედ ამ ღვთიურ სენაკში ადგენდა ფაკიჰი ხსნისა და თავისუფლების სწორ გზაზე გასაყვან მეთოდებს. მას შემდეგ, რაც წარმატებით მოულო ბოლო მკითხავი ქალის კულტმსახურებას და აიძულა იგი, ხალხს გარიდებოდა, ხელობაზე ხელი აეღო, დაფარულის კითხვასა და ეშმაკისეული თილისმების ჩხიბვას შემვეებოდა, ფაკიჰმა თავისი მურიდები დასახლებაში გაგზავნა შემდეგი პროპაგანდისტული ნაბიჯისთვის, მანამდე კი წარჩინებულები და დიდგვაროვნები შეკრიბა ტომის ბელად ადას კარავში და მოსთხოვა მათ, ყველას დაენყო საკუთარი თავით, თუკი უნდოდათ, რომ სამოთხე ღირსებოდათ. მათ, შეცბუნებუ-

ლებმა, ერთმანეთში დაბნეული მზერა გაცვალეს. კადირიის შეიხმა თქვა:

– მოვიდა დრო, შეწყვიტოთ ჭალასა და მდინარეზე გალაშქრება.

მათმა გაკვირვებამ იმატა. ტომის ბელადი ალაპარაკდა:

– ტყვეებისა და მონების გარეშე რა გავაკეთოთ?

– ყოველი მფლობელი და მპყრობელი თავადაა მონა და პყრობილი. მონას და პყრობილს კი რა უფლება აქვს, თავისუფლების სიამე სწყუროდეს!

– მაგრამ ჩვენ ხომ მხოლოდ ტყვეებსა და მონებზე სანადიროდ არ მივდივართ ამ ლაშქრობებში! ისლამსაც ვავრცელებთ!

– ისლამს ვერ იქადაგებს ის, ვინც ღვთის მონებზე ისე ნადირობს, როგორც საქონელზე და მერე კი თავის მონებად აქცევს მათ!

სიჩუმე გამეფდა. შემდეგ შეიხმა კიდევ უფრო მეტად შეუტია:

– ეს არ იქნება საკმარისი!

ყველამ კიცხვით მიაპყრო მზერა მოსაუბრეს, ის კი უდარდელად და დაუდევრად თავისას განაგრძობდა:

– თქვენ ყველა დატყვევებული უნდა გაუშვათ და ყველა გაძარცვული მონა გაათავისუფლოთ.

ყველანი დიდხანს დუმდნენ, შემდეგ ისევ ტომის ბელადი ალაპარაკდა:

– რაც იყო, იყო, ჩაიარა და მორჩა. წარსულში მომხდარს ალაჰისგან მიტევება აქვს მიღებული.

– მაგრამ ყველაფერი აღნუსხული და დამახსოვრებულია!..

– ბევრმა ამ პატივსაცემმა ადამიანმა თავისი ტყვეები საყვარლებად გაიხადა, სხვები კი დაქორწინდნენ მათზე ალაჰისა და მისი მოციქულის სუნის წესისამებრ.

<sup>1</sup> მურიდი – სუფიურ ორდენში სარწმუნოებრივი მოძღვრების მიმდევარი.

<sup>2</sup> ზიქრი – ალაჰის რიტუალური ხსენება სპეციალური ფორმულებით სუფიურ ორდენში.

– ტყვე ქალებთან კავშირი აკრძალულია, ხოლო ხმლითა და მახვილით ცოლების მოგვრა ძალადობაა!

ხანგრძლივი დუმილი ჩამონვა. შემდეგ ისევ ტომის ბელადმა სცადა ხმის ამოღება:

– და რა გინდა ჩვენგან, გავეყაროთ მათ?!

– ყველაზე კარგი ღვთისმოსაობა დროულად და სწრაფად გაკეთებული მართალი საქმეა!

– მაგრამ განქორწინება ღვთისგან ნებადართულ საქმეთა შორის ყველაზე საძულველია უფლისთვის!

– ღვთისგან ნებადართულ საქმეთა შორის ყველაზე საძულველი უფლისთვის თავიდანვე ორი მხარის თანხმობით ერთობის გახლეჩაა.

– თუ მონებმა ეგ შენი თავისუფლება უარყვეს და თავიანთი ბატონის მფარველობის ქვეშ დარჩენა მოითხოვეს, მაშინ რა უნდა ვქნათ?! ჩვენი დატოვება ვაიძულოთ?!

– რასაკვირველია, აუცილებლად უნდა აიძულოთ! ხალხი თავისუფლებას გაურბის და მონობისთვის თავშეფარებას ამჯობინებს. ხსნა დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობაა. მონებით უნდა დავინყოთ, თუ გვსურს, საკუთარი თავები შევცვალოთ და წმინდა საქმეს შევუდგეთ.

– შენი მოძღვრება მკაცრია!

– სიამტკბილობით ცხოვრებას გემოს ვერ გაუსინჯავს ის, ვინც ორჯერ არ შობილა! ყველა ღვთიური სწავლება მკაცრია!

როგორც ტომის ბრძენი ბელადი მოელოდა, მართლაც მონათა გათავისუფლება იოლი არ ყოფილა. მათ უარი თქვეს თავისუფლებაზე და ველზე შეჯგუფდნენ. მათ შეუერთდნენ ქორწინებიდან გამომხსნილი ზანგი ქალები, რომლებსაც თავიანთი შერეული სისხლის შვილები წამოეყვანათ თან და უფლის ხსენების სარიტუალო კარვისკენ მიე-

მართებოდნენ. გამომწვევად დამწკრივდნენ, წყველა-კრულვას გაჰყვიროდნენ და ქვებს უშენდნენ კარავს. მათ მურიდები გამოუცვივდნენ და შეიბნენ ჯოხებით, ხელკეტებითა და მუშტებით.

შეტაკება დაჭრილებითა და ერთი დაღუპულით დასრულდა. კადირის მონინაალმდევე წარჩინებულებმა გაიხარეს, მაგრამ შეიხმა გადაწყვიტა, მათ პოზიციას დაპირისპირებოდა ცხოვრების ყველაზე ფასეული ორი ამულეტი, ყველა დროსა და ადგილას რომ აქვთ დამტკიცებული თავიანთი წარმატება – მოთმინებითა და ხერხით!

მეორე დღეს კარვის წინ შეჯგუფებულთა წინაშე გამოვიდა და სიტყვით მიმართა მათ:

– მე ვიცი, რომ ყველაზე რთული გამარჯვება საკუთარ თავზე გამარჯვებაა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ სანაცვლო საზღაური მხოლოდ გაცემულის მიხედვით მოგვეცემა! ამის მაგალითები მოციქულის მიმდევრებში გვაქვს! ისინი სიკვდილს ეძიებდნენ და ცხოვრების სიამტკბილობანი კი განეჩინათ ღვთისგან! თუ არ იშვით დღეს, ველარ დაიბადებით ხვალ!

საუბარი რამდენიმე ხმამ გააწყვეტინა:

– არ გვინდა ხვალ დაბადება! ჩვენს დღევანდელ დღეში დაგვაყენე და გაგვშორდი! წადი!..

შეიხმა მოთმინებით გააგრძელა:

– ჩვენ შევიქმენით თავისუფალნი... ჯგუფური შეძახილით შეაწყვეტინეს:

– არ გვინდა თავისუფლება! წადი შორს ჩვენგან!.. ჩვენი ბატონების ნყალობის ქვეშ გვსურს ცხოვრება!

– თქვენი ბატონი ალაჰია! სამოთხე მხოლოდ თავისუფალთა ფეხქვეშ იქნება!

– არ გვინდა სამოთხე! დაგვანებე თავი და წადი შორს ჩვენგან!..

– ამას ამბობთ მაშინ, როცა თავისუფლების გემო არ გიგემიათ! მაცალეთ ერთი კვირა და თავად ნახავთ, როგორ გამოცოცხლდებით!

ნამით სიჩუმემ დაისადგურა. შეიხმა სიტყვის გაგრძელება დააპირა, მაგრამ ერთი მეამბოხე მაღალი ქალი აესვეტა წინ და თან ატირებულ ბავშვს უტრიალებდა სახესთან:

– ბავშვები დაგვიოხლენ და მამობრივი ალერსი და მზრუნველობა წაართვი მათ!

მას სხვებიც აჰყვნენ:

– ჩვენს ქმრებთან გვსურს დაბრუნება!

შეიხი დადუმდა და მოთქმასა და წყევლას მიუგდო ყური. ცხადად ჰქონ-

და გააზრებული იმ საქმის სისასტიკე, რასაც შესდგომოდა, მაგრამ გადაეწყვიტა, შუაგზიდან უკან არ დაბრუნებულიყო. ქალებში მკითხავი შენიშნა, მისი მძიმე ხმაც გაარჩია:

– ჩვენს მიჯნურებს გვინდა მივუბრუნდეთ! არ გვსურს შენს სამოთხეში ჯაჭვჩაბმულებს წასვლა!

შეიხმა სახე ორივე ხელით მოიწმინდა და დასასონარკვეთით წაიბუტბუტა:

– ღმერთო, საშველად მოგიხმობ! ალაჰის გეშინოდეთ!.. არა არს ძალა თვინიერ ალაჰისა!..

ლამის იმედი გადაეწურა და დამარცხების აღიარებას აპირებდა, რომ არა წარჩინებულთა ცოლები, მის დასახმარებლად რომ გამოემუშრნენ.

## 2.

წარჩინებულ და დიდგვაროვან ქალთა უბედურება იმ დღიდან დაიწყო, ტომის ბელადმა ქალებში საომარი ლაშქრობა რომ წამოიწყო. საკუთარი ჭირვარამის დასაწყისს ისინი ძალიან ხშირად იმ მწუხარე დღით ათარილებდნენ, როცა მათ ტომის ბელადის მაცნე გახელივით თხელ, ამლაც მაჰრულ აქლემზე ამხედრებული გამოეცხადა წყლის რუმბეზაკიდებული აქლემის წასაყვანად, რათა დასახლებიდან ერთი დღის სავალ მანძილზე მყოფ მეომრებს გზად წყლით შეგებებოდა. ქალებმა წარსული გამოცდილებიდან იცოდნენ, რომ, როცა სხვა ტომებზე სათარეშოდ წასული მხედრები ლაშქრობიდან ბრუნდებოდნენ, მათი მაცნე ადრე იმიტომ მოდიოდა, ქალები გაეფრთხილებინა, მხედართა დაბრუნების დრო შეეტყობინებინა და საშუალე-

ბა მიეცა მათთვის, გამარჯვებული კაცების დასახვედრი რიტუალი მოემზადებინათ. ქალებიც ჩქარობდნენ, რომ ხელ-ფეხი ინით მოეხატათ, განბანილიყვნენ და სხეულზე გუნდრუკისა და ველურ ყვავილთა კეთილსურნელება ეკმიათ, თედეთის იშვიათი სუნამო მოეპკურებინათ, ერთმანეთისგან რომ სესხულობდნენ და ჩამოეტარებინათ დასახლების ყველა გათხოვილი ქალის მიერ ასეთი შემთხვევებისთვის სპეციალურად გადანახული ფლაკონები. ქალებმა იმ დღესაც იგივე რიტუალები ჩაატარეს.

ყოველმა ქალმა ყველაზე მდიდრული სამოსი ჩაიცვა – თვალისმომჭრელი სითეთრის რაფილათი<sup>1</sup>, ზემოდან ცისფერი ტარი<sup>2</sup>, შემდეგ კი მენამული ფერის ხალათი თამბარქამთი<sup>3</sup>. ინით მოხა-

<sup>1</sup> რაფილათი – თეთრი, ფართოკალთებიანი, გრძელი პერანგი.

<sup>2</sup> ტარი – კაბა, ქალის სამოსი.

<sup>3</sup> თამბარქამთი – სამოსზე გარედან შემოსაცმელი ქალის ხალათი.

ტულ თითებზე ვერცხლის ბეჭდები ელავდნენ. ყურებზე საყურეები კონწი-ალობდნენ. თხელ მაჯებზე სამაჯურები მოერგოთ. ფერადი მძივების ყელსაბამები ყოველ ყელზე ეკიდა იმ დღეს. ქალები ძალიან შეეცადნენ, ოქროს სამკაულისთვის აერიდებინათ თავი. იმ ცუდს უფრთხოდნენ, რაც ამ ეშმაკისეულ მეტალს მოაქვს. დაფ-დაირა მოამზადეს და ენები გაავარჯიშეს ზალარიდებისთვის,<sup>1</sup> ხორხები კი – სევდიან-კაემნიანი სიმღერებისთვის.

ქალთა ეს ნაკრები დილაადრიანად გავიდა. დიდებული პროცესია მოშიშვლებული ბორცვებისა და აკაციების<sup>2</sup> ხეების გავლით სამხრეთისკენ დაიძრა, იქით, სადაც აქაქუსის მათა მწვერვალები ზეცისკენ აჭრილიყვნენ და რა დიდი იყო მათი გაკვირება, როცა მოხვეჭილ ნადავლში აქლემისა და ცხვარძროხის ფარასთან ერთად სხვა ფარაც იხილეს – ზანგ ქალ-ვაჟთა გრძელი მწკრივი, რომელთაც რამდენიმე ახოვანი ტანის მსახური ისევე მოერეკებოდა, როგორც სხვა მსახურები – ნაძარცვი საქონლის ფარას. ქალებს მონატრების სევდიანი სიმღერები ტუჩებზე დააკვდათ.

გაიღვიძა ეჭვიანობის მხეცმა. ქალისთვის, რომელიც ადამიანის ჩრდილშიც კი თავის მეტოქე სხვა ცოლს ხედავს, ქმრის დაუფლებაში რომ ეცილება, რთული არ იყო, ის შესაძლო საფრთხე დაენახა, რასაც ეს მაღალი, ტანკენარი, ლეგენდებიდან გადმოსული

ეთიოპიელი ქალები წარმოადგენდნენ. მით უფრო, რომ ქალებმა გამოცდილებით კარგად უწყოდნენ თავიანთი ქმრების სუსტი გულების ამბავი, რომელთაც სავსე მთვარის შუქზე მაღალტანიანი აკაციაც კი სამოთხის ჰარემის ტანკენარ ჰურიად<sup>3</sup> ეზმანებოდათ.

კაცებმა ნადავლი დაინაწილეს. ტყვეებზე დიდხანს იდავეს. ტომის ბელადი ჩაერია და თავისი სიბრძნით დაყო წილები. განაცხადა: „სამართლიანობა მოითხოვს, განაჩენი კენჭისყრით გამოვიტანოთ. არ გვსმენია, რომ ამ კანონს ვინმე დაეჩაგროს უდაბნოში“. სხვებმა თანხმობის ნიშნად დაბერილი ჩაღმები დაუკანტურეს, ხელები ხმლების ვადებზე დაუშვეს. ტომის ბელადმა განაგრძო: „ერთი ტყვე ქალი სამი მონა ბიჭის სანაცვლოდ! ვინმე წინააღმდეგია?! ღვთის გულისათვის!..“

დაყოფა დასრულდა და ქალების სანუხარი დაიწყო.

დაბრუნებიდან მესამე დღეს ტომის ბელადმა ერთ მოხეტიალე ფაკიჰს მოუხმო და ტანმაღალ ეთიოპიელ ტყვე ქალზე საქონწინო გარიგება დაადებინა. ტომის კაცებმა ეს გამოწვევად ჩათვალეს და ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ საკუთარი ცოლ-შვილის დასანახად და გასაგონად თავიანთ ტყვე ქალებზე ალაჰისა და მისი მოციქულის სუნის წესისამებრ ქორწინებაში.

ასე გაიკვალა გზა უბედურებამ წარჩინებული, ბედნიერი ქალების გულებისკენ.

<sup>1</sup> ზალარიდები – გამაყრუებელი, საზეიმო რიტუალური შეძახილები (ძირითადად ქორწილებსა და დღესასწაულების აღნიშვნებზე).

<sup>2</sup> ეკლიანი აკაცია (არაბ. ტალჰ) უდაბნოს ხეებში იზრდება. იხსენიება ყურანშიც (56:29). ტურეგებისთვის წმინდა ხეა, რომელსაც მრავალი ლეგენდა უკავშირდება. მსხვერპლთმწიფის რიტუალები მის მახლობლად სრულდებოდა.

<sup>3</sup> ჰურიები – შავთვალა, მარად ნორჩი ასულები, რომლებიც, ყურანის მიხედვით, სამოთხეში ელიან მუსლიმებს.



## 3.

როგორც კი წარჩინებულ ქალებს საკუთარი თავისა და მონათა გათავისუფლების შესახებ ფაკიჰის მონოდება ესმათ, ადიდეს ღმერთი და შეევედრნენ მას, ხელი მოემართა ამ დიდი ხნის ნანატრი მაჰდისთვის,<sup>1</sup> რომელიც მათი ქმრებისთვის სალი აზრის დასაბრუნებლად და კაცების სწორ გზაზე შემოსატრიალებლად, მათი ზანგი ცოლების თვითნებობისგან წარჩინებულ ქალთა გასათავისუფლებლად მოსულიყო.

წარჩინებულ ქალთაგან რამდენიმე უფლის ხსენების სარიტუალო კარავს ესტუმრა. ერთ-ერთი დიდგვაროვნის ცოლმა განაცხადა:

– ასე მეგონა, თავისუფალი და წარჩინებული ქალი ვიყავი. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ტყვე ზანგი ქალი დამიმონებდა!

მეორე თანმხლებმა მხარი აუბა:

– საკუთარ თავებს ქალბატონებად ვთვლიდით და საცოდავ მონებად კი ვიქეციით!

სუფიური საძმოს შეიხმა თანაგრძნობით შესძახა:

– უფალო, მოგვიტევე! ჩვენ ყველანი მხოლოდ ერთარსის – ღვთის მონები ვართ!

ახალგაზრდა ლამაზმანი, ახალდაქორწინებული რომ ჩანდა, აწუნუნდა:

– ჩვენ... ჩვენ მხოლოდ მონათა მონები ვართ!

– ღმერთო, დაგვიფარე!

აქ ისევ პირველი ქალი განინმატდა:

– განა დასაშვები გგონია, რომ თავისუფალი ქალი მონის მონა გახდეს?!

– ალაჰი არ დაუშვებს! თავისუფლება ჩემი რელიგიაა, მაგრამ რა მძიმე ყო-

ფილა ადამიანის გათავისუფლება!

– შენ გვერდით დადგებით! რაც კი გაგვაჩნია, შენს განკარგულებაში გადმოგცემთ. რასაც ბრძანებ, დავემორჩილებით. ოღონდ მდგომარეობა შეგვიმსუბუქე და ჭალების ტყვე ქალებზე ქორწინება აკრძალე! ჩვენს წარჩინებულ შთამომავლობას ზანგური სისხლით გადაგვარება ემუქრება, ბატონო ჩვენო!

– მე უკვე ცხადად ვთქვი ჩემი სიტყვა ამ საკითხზე!

– ალაჰიმც იქნება შენი რწმენის შემწე, ბატონო ფაკიჰო! – და საიდუმლო დელეგაციამ ნაღვლიანი წამღერებით გაიმეორა:

– ალაჰიმც შეენიოს შენს რწმენას, ბატონო ფაკიჰო! ალაჰიმც გვიხსნის ჩვენც და შენც საძულველი მტრისაგან!.. ამინ!.. – და ხელები გამოყვეს ფათიჰას<sup>2</sup> წასაკითხად.

აი, ესაა, რასაც გადმოცემები გვამცნობენ ამ ფარული შეკრების შესახებ. არავინ იცის, იყო თუ არა რამე სხვა საიდუმლო პუნქტები ამ შეთანხმებაში, თუ დასახლებაში მოარული ხმები მორიგი გადაჭარბებული ჭორი იყო იმ მრავალი ჭორიდან, რასაც, ჩვეულებრივ, მთხრობელები ყვებიან.

ცხადი და უტყუარი კი ის იყო, რომ მეორე დღიდან უფლის ხსენების სარიტუალო სახლში ძღვენმა იწყო მოდინება – მიიღებოდა სამაჯურები, საყურეები, ვერცხლის ნაკეთობები. მიმდევრებმა და მურიდებმა საკვები და სურსათ-სანოვაცის მარაგი მოზიდეს – დაახვავეს ხორბლის, ქერის, ლერწმის, სიმინდისა და ფინიკის ტომრები. ყმანვილი

<sup>1</sup> მაჰდი – მესია ისლამური ესქატოლოგიით ქვეყნის აღსასრულისა და სამსჯავროს დღის მოახლოების მაუწყებლად მოვლინებული მუსლიმთა შორის რწმენის გასაძლიერებლად.

<sup>2</sup> ფათიჰა – ყურანის გამხსნელი სურა, მუსლიმთა მთავარი ლოცვა.

ქალები მოვიდნენ თავზე შემოდგმული ქუსქუსის<sup>1</sup> ხის ჯამებით. დღემდე არავინ იცის, რა შელოცვები და თილისმები გამოიყენეს კეთილშობილმა დიდგვაროვანმა ქალებმა მონათა ჯარის დასარწმუნებლად – დამორჩილებოდნენ ფაკიჰის ნებას და მიეღოთ თავიანთი გათავისუფლების ფაქტი. იცოდნენ რა ფაკიჰისა და მკითხავი ქალის შეურიგებელი მტრობა, ყველა ერთ აზრზე იდგა – უარყოფდნენ იმ ფაქტს, რომ მკითხავ ქალს ჯადოსნობის ძალა ჰქონდა.

ჭის უკან გადაჭიმულ სივრცეში შეიხმა ბანაკი მოაწყო თავისი ახალი თანამებრძოლებისთვის. რამდენიმე დღეში დასახლება იმით გააოცა, რომ ფათიჰა წაიკითხა, თოთხმეტი ახალგაზრდა მურიდი საზეიმოდ დაამწკრივა და გაყრილი ზანგი ქალები ცოლებად მიჰგვარა მათ. საქორწინო კონტრაქტების დადება გაგრძელდა, სანამ მიმდევართა უმრავლესობას ყველაზე ეშხიანი ქალები არ ერგო. დარჩა მხოლოდ ძალიან

მცირე რაოდენობა ამაყი ეთიოპიელი ქალებისა, რომლებიც საკუთარი სურვილით ემსახურებოდნენ უფლის მოსახსენებელ სახლს და შეეხვეწნენ ფაკიჰს, მხევლებად მიეღო ისინი. აგორდა ჭორები, რომ ეს ქალები სინამდვილეში მისი საყვარლები იყვნენ მხოლოდ. ამ სასტიკმა ხმებმა წარჩინებული დიდგვაროვნები და ამ ქალების ყოფილი ქმრები ეჭვით გაახელა. მათ ტომის ბელადს მოსთხოვეს, ნება მიეცა მათთვის, ხმლებით აღედგინათ სამართალი. ბრძენმა ტომის ბელადმა კი ისინი მშვიდად დაამუნათა: „ვინც თავიდან დათანხმდა თამაშში მონაწილეობას, მან ბოლოს შედეგებიც უნდა აიტანოს!“

მოულოდნელობები ამით არ დასრულებულა. ტომი (უფრო ზუსტად კი ტომის კაცები) ჯერ გონს არ მოსულიყვნენ, რომ დიდგვაროვნებმა ახალი დარტყმა მიიღეს, რომელიც ყველა დარტყმას შორის უსასტიკესად ჩათვალეს.

#### 4.

თავიდანვე მიხვდნენ, რომ შეიხს მათი თავმოყვარეობის შელახვა ჰქონდა განზრახული, რადგან მან დიდგვაროვნებს უხმო ახალ ადგილას, თავის თანამებრძოლთა ბანაკის შუაგულში მოწყობილ ღვთის ხსენების სახლში. ისინი კარვის შესასვლელში, მიწაზე დასხა და ვერავინ გაბედა, გაეპროტესტებინა, ალბათ იმიტომ, რომ გრძნობდნენ, ეს პროტესტი დამცირების კიბის კიდევ უფრო ქვემო საფეხურზე დასწევდა მათ – დამცირება ხომ შენ არ გეხება, თუკი მას არ იმჩნევ და ხალხსაც ყურადღებას არ მიაქცევინებ. ამას მათ კეთილშობი-

ლების კოდექსი ასწავლიდა. მათაც გადაყლაპეს სირცხვილი. ტომის ბელადმა მოთმინებით აიტანა გაშლილ სივრცეში, კარვის პალოსთან ჯდომა ღვთის ხსენების სახლში. არავის გამოჰპარვია და ყველამ შენიშნა ღიმილი, რომელიც მის ბაგეებს სხდომის განმავლობაში არ მოსცილებია.

შეიხმა, რომელიც მათ წამებას წელავდა, თქვა:

– ნუ იფიქრებთ, რომ მასპინძლობის ადათ-წესების უცოდინარი ვარ და ცუდად გეპყრობით. კარვის შესასვლელში, მიწაზე განზრახ დაგსვით, რათა შეიგ-

<sup>1</sup> ქუსქუსი – ჩრდილოაფრიკული ცხელი კერძი ბურღულით, ხორცითა და ბოსტნეულით.

რძნოთ, რომ ეს დამცირება არაფერია იმასთან შედარებით, რასაც თქვენი მონები და ქვეშევრდომები განიცდიდნენ თქვენგან.

დამცირებაზე მითითება ამ დამცირების დადასტურებაა. სირცხვილი მიენია მათ სამუდამოდ! ტომის ბელადი ეცადა, თავისი სიბრძნით სიტუაცია გამოესწორებინა:

– მიმაჩნია, რომ ჩვენ აქამდე სირცხვილი არ გვიგემია. გარეთ, გაშლილ სივრცეში, სუფთა ჰაერზე ჯდომა ჩვენს ქვეშევრდომთა და მონათა შორის ყოველთვის გვჩვეოდა. ღირსეულო ფაკიჰო, ჩვენ მზად ვართ შესაფერი ფასი გადავიხადოთ ჩვენი სულების გათავისუფლებასა და ჩვენთვის რელიგიის საფუძვლების სწავლებაში.

შეიხმა შესძახა:

– ყოჩაღ! ყოჩაღ! არ ვიცი, რატომ არ იღებთ ყურად ბრძენი ბელადის შეგონებას და მის საქციელს არ მისდევთ?! პირველი, რისგანაც მორწმუნე ჭეშმარიტი რწმენით უნდა გათავისუფლდეს, ეს მედიდურობა და ამპარტავნებაა. სიდიადე ალაჰს აქვს ზეცად, მონებისთვის ზემოდან ქედმაღლურად ყურება კი წყეული ეშმაკის ნიშან-თვისებათაგანია. ხსნის გემოს ვერ იგემებს ის კაცი, ვის გულშიც ამპარტავნობისა და პატივმოყვარეობის ერთი მარცვალის მაინც არის!

შეიხი გაჩუმდა. დიდგვაროვნებმა ერთმანეთს გადახედეს. მცირე ხნის შემდეგ ფაკიჰმა საუბარი გააგრძელა:

– გაბერილ-გაფხორილ ჩალმებსა და ფარშევანგის სამოსს ახლო მომავალში შევეხებით. დღეს კი უფრო მნიშვნელოვანი საქმისთვის გიხმეთ.

ამ დროს მას ეთიოპიელმა მხევალმა ერთი კოჭობი რძე მოუტანა. შეიხმა ორი ყლუპი მოსვა, ტუჩები ამ თავისი გამხდარი თანაშემწის სამოსის კილით მოინმინდა და წარმოთქვა:

– თქვენი სახლები უკვე განმინდეთ უწმინდურობისგან! ახლა კი თქვენი ფული უნდა განმინდოთ და ზაქათი<sup>1</sup> გასცეთ!

დაძაბული სიჩუმე ჩამოწვა. ნერვები დაიძაბა. ვილაც უსირცხვილო გოგო მოურიდებლად მოვიდა და ჩაიჩამოარიგა. ყლუპის მოსმაც კი ვერავინ შეძლო. ჩაის ჭიქები თავიანთ წინ სილაში ჩადგეს და თავჩაქინდრულები თვალმოუშორებლად მიაჩერდნენ ქაფის ბუშტუკებს.<sup>2</sup>

ბოლოს ისევ ბელადმა მოიკრიბა გამბედაობა და ჩაერია:

– ჩვენი რელიგიური მოვალეობის შესრულებას არასოდეს გავქცევით. ზაქათს ყოველ დღესასწაულზე გავიღებდით.

შეიხი ისევ ალაპარაკდა, თითქოს ამ პასუხს ელოდაო:

– დღესასწაულებზე ზაქათის გაღება ერთია და ქონების განწმენდა – მეორე. ფულის გაღება ყველაზე მცირედი და უმნიშვნელო შეწირულებაა მისთვის, ვისაც შეიტნისგან სულის გამოხსნა სურს. არა მგონია, თქვენ შორის რომელიმე მდიდარმა ალაჰისთვის ფულის გაღებაში იძუნნოს! – ჯიბეში ხელი ჩაიყო, იქიდან ქალაღის გრაგნილი ამოიღო და დეტალურად წაიკითხა ის გასაოცარი კანონი, რომელიც ხაზინის დასაარსებლად, საშემოსავლო და საქონლის გადასახადების, სავაჭრო ქარავნების მოსაკრებლების დასაწესებლად შეედგინა.

<sup>1</sup> ზაქათი – მოწყალება, რომლის გაღება სავალდებულოა მუსლიმისთვის.

<sup>2</sup> ჩაის დაყენებისა და მიტანის რიტუალი ითვალისწინებს მის სიმაღლიდან დასხმას ისე, რომ ჩაიმ ქაფი მოიყენოს.

## 5.

ტომის ხვედრმა დიდგვაროვნები შეაშინა. ისინი დაამწუხრა იმის დანახვამ, ეს უსამართლო და სასტიკი კანონი ძალაში შესასვლელად როგორ იკვალავდა გზას და რეალური ძალაუფლება როგორ გადადიოდა გაიძვერა და მარჯვე შეიხის ხელში. მათ ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ ამ კანონის აღსრულება ტომის ბელადის ძალაუფლებისა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრება იყო, თუმცა მან საკრებულო კარავში უპასუხა წარჩინებულებს:

– ნიაღვარს და ღვარცოფს პირისპირ მხოლოდ გიჟი თუ დაუდგება!

ის მათ შორის ყველაზე ამტანი და გამძლე იყო უბედურების მიმართ, დიდხანს ისაუბრა ხსნისა და სამოთხის დასამსახურებლად მთელი ქონების მსხვერპლად გაღების აუცილებლობაზე. მათ მოტეხილ მზერას და თვალეში ამეტყველებულ დამარცხებას ის არ შეუშინებია. ერთ-ერთი დიდგვაროვანი შეეპასუხა:

– ჩვენ მას ჩვენი შვილები ყურანისა და რელიგიის საფუძვლების სასწავლად მივაბარეთ, მან კი ისინი თავის მიმდევრებად და მურიდებად აქცია!

მეორე დაეთანხმა:

– მათგან თანამებრძოლთა ჯარი შექმნა ჩვენთან საბრძოლველად!

მესამემ შესძახა:

– მონები მოგვისია! ხმლით მონაპოვარ-ნაალაფარ ცოლებს გაგვყარა! რელიგია გვეუბნება: „...რაც თქვენს მარჯვენას მოუპოვებია...“<sup>1</sup> როგორ აცხადებს ის პრეტენზიას, მოგვინოდოს მოციქულის რელიგიისკენ და თან გვიბიძგებს გაყრისკენ – ღვთისგან ნებადართულ საქმეთა შორის უფლისთვის ყველაზე საძულველი საქმისაკენ?!

ტომის ბელადმა გაიღიმა მეოთხე წარჩინებულის ჩივილზე:

– ეს ყველაფერი არ იკმარა, კიდევ უფრო შორს წავიდა და ცოლები მოგვტაცა!

– რა სირცხვილია!..

რადიკალურად განწყობილები შეგულიანდნენ და აყვირდნენ:

– ამ თვითმარქვიას მხოლოდ ხმალი გააჩერებს!.. ამ სირცხვილს მხოლოდ სისხლი ჩამორეცხავს!..

ერთ-ერთი წარჩინებული შეიხი ალაპარაკდა და სხვებს ცეცხლზე ნავთი დაუსხა:

– თქვენ ხომ მას უფრო უსირცხვილო საქმეებზე დაუხუჭეთ თვალი!.. ხომ არ დაგავინცდათ, რომ ამ ყველაფრის შემდეგ ის ჩვენი ფულის აცანცვლას აპირებს?!..

ხანგრძლივი სიჩუმე გამეფდა. შემდეგ ერთი თავზე მდიდრულჩაღმანამოდგმული ახალგაზრდა აპილკილდა:

– ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ მას ჩვენი თავების მოშიშვლება სურს და ამპარტავნობასა და ამპარტავნებთან ბრძოლის საბაბით ჩვენთვის პირსაბურავების მოხსნას აპირებს. დასახლებაში ჯუნგლების ტყიური მონებივით თავმოხდომილ გავლას სიკვდილს ვამჯობინებ!

მედიდური დიდგვაროვანი კვლავ ალაპარაკდა:

– სინამდვილეში, აღარ დარჩა ნიშანი, ჩვენს კაცობაზე რომ მიუთითებს! – შემდეგ ტომის ბელადს მიუბრუნდა:

– და როგორ გინდა, ბატონო ბელადო, რომ ამაზე ხმა არ ამოვიღოთ?! ჩვენ ხომ ახლა მონები ვართ და მონის მონაზე უარესები?!

ტომის ბელადმა ადამ, რომელიც,

<sup>1</sup> ყურანი, სურა 23 „მორწმუნენი“, აია 6.

მუხლებზე მდგარი, ქვიშაზე თითით რა-  
ღაც სიმბოლოებს ხატავდა, მშვიდად  
უპასუხა:

– სამოთხეში მოხვედრას საფასურის  
გაულებლად ლამობთ?!

ერთმა უკიდურესი შეხედულებების  
დიდგვაროვანმა იყვირა:

– არ გვინდა სამოთხე დამცირების  
ფასად! სიკვდილი უფრო ღირსეულია!

ბრაზით მოგუდული ხმები გაისმა:

– ღირსება დავკარგეთ! სიკვდილი  
უფრო ღირსეულია!

ამ გაცხარებულ მომენტში მთელი ამ  
თავყრილობის მანძილზე კუთხეში ჩუმად

მჯდომი კაცი წამოდგა, ტომის ბელად-  
თან მივიდა და საიდუმლო გააცხადა:

– რამდენიმე დღის წინ თასილის<sup>1</sup> სა-  
ძოვრებზე ფაკიჰს შევხვდი. აბა, თუ  
იცით, ჩვენი ფაკიჰის აღმსარებლობაზე  
რა მითხრა?! – შემდეგ გამჭოლი, დაჟი-  
ნებული მზერით წარჩინებულებს მია-  
ჩერდა და ჩურჩულით თქვა:

– თქვა, რომ ის მაგიის რწმენას ქა-  
დაგებს.

ტომის ბელადი გაოცებით ჩაეკითხა:

– მაგიის რწმენას?!

თუმცა წარჩინებულებმა ამაზე ვე-  
ლარაფერი თქვეს.

## 6.

ტომის ბელადი განაპირებული და  
იზოლირებული აღმოჩნდა. სუფიური  
ორდენის შეიხისაგან ნებართვა აიღო,  
რომ ჰამადის უდაბნოში გადასახლებუ-  
ლიყო. თავად შეიხი საქარავნო გზებს  
დაეუფლა და ვაჭრებს მოსაკრებელი  
გაუორმაგა. სხვა ტომებს შეება და  
ჯუნგლებში საომარი ლაშქრობები მო-  
აწყო, ტყვეები, მონები და საქონლის  
ფარა წამოასხა, თუმცა ერთი შეუმჩნე-  
ველი შეცდომა დაუშვა.

ამბობდნენ, რომ მან თიმბუქთუდან<sup>2</sup>.  
მომავალი ერთ-ერთი ქარავნის ვაჭრე-  
ბისგან საჩუქარი მიიღო. ეს საჩუქარი  
ოქროს ქვიშით სავსე პატარა ზარდახშა  
იყო. არავინ იცოდა, როგორ გამოეპარა  
ბრძენ შეიხს ამ ავბედითი, ეშმაკეული  
მეტალის ამბავი<sup>3</sup>. ავი ენები ავრცელებ-  
დნენ ისტორიას, რომელიც ირწმუნებო-

და, თითქოს სწორედ მკითხავი ქალი  
იყო ის, ვინც შეიხს ეს მახე მოუწყო, ვა-  
ჭარი კი – მისი საიდუმლო შუამავალი,  
ქალის ძველი მეტოქისთვის მოჯადოე-  
ბული შელოცვის გადასაცემად. ხალხი  
ამ იღუმალ ზარდახშას ასეთი მოწინე-  
ბის შარავანდედით არ შემოსავდა, თავ-  
დად შეიხი რომ არ მოპყრობოდა მას,  
როგორც თილისმას – სადაც არ უნდა  
წასულიყო, თან დაჰქონდა; სასათუმალ-  
ქვეშ ამოიდებდა ხოლმე, როცა კი და-  
სასვენებლად თავს მიდებდა ან დასაძი-  
ნებლად წვებოდა; მისი თანაშემწეები  
და მურიდები ხშირად გამხდარან მოწ-  
მენი, როგორ მალავდა შეიხი ზარდახ-  
შას თავისი დასაჯდომის ქვეშ ღვთის  
ხსენების სახლში სარიტუალო სხდომე-  
ბისას. ყველაზე მეტად მის მიმდევრებს  
ის აოცებდათ, რომ მათ პატივსაცემ შე-

<sup>1</sup> თასილი – ალჟირის საჰარაში თასილ-აჯერის ზეგნის მახლობლად საფეხუროვანი მთიანი  
ლანდშაფტი, სადაც უძველესი, ჩვ. წ. აღ-მდე VIII-VII სს-ის კლდის მხატვრობის ნიმუშებია აღ-  
მოჩენილი მღვიმეებში.

<sup>2</sup> თიმბუქთუ – ტუარეგების მიერ 1100 წელს დაარსებული მსხვილი სავაჭრო ცენტრი საჰარის  
სამხრეთ-დასავლეთით, შუა საუკუნეების ინტელექტუალური ცენტრი.

<sup>3</sup> ტუარეგები ძველთაგანვე ამჯობინებენ ვერცხლს, გაურბიან ოქროს და მას დაწყველილ მე-  
ტალად მიიჩნევენ.

იხში განძისა და ქონების მოხვეჭის სიყვარული არ შეუნიშნავთ. პირიქით, ის ხშირად წყევლიდა ფულსა და ფულის მოთაყვანეებს. მისი სიტყვებითა და აღწერით, ეს ყვითელი მეტალი ამქვეყნიური და იმქვეყნიური უბედურების საფუძველი იყო. ამ ზარდახშის ამბავი აცბუნებდა და აბნევდა მურიდებს და ხშირად ამბობდნენ, რომ ის ამ ავბედითი ქვიშისგან განსხვავებულ რაღაც სხვა საიდუმლოს მალავდა.

აი, დადგა თიმნოქალინი<sup>1</sup> გალაშქრების დღე. ეს ის დღე იყო, როცა ამოუცნობმა, უხილავმა ძალებმა დარტყმა მიიტანეს ზღაპრულ სამეფოზე და ერთბაშად მოსპეს იგი. ვინც ამ საკვირველ ბრძოლას ცოცხალი გადაურჩა, გადერვიშდა და გონი წაერთვა, ან სამუდამო მდუმარება მიესაჯა და მეხსიერება დაკარგა.

ამ დიდი მნიშვნელობის დღეს წინ ფართომასშტაბიანი მზადება უძლოდა ლაშქრობისთვის, რომელიც, შეიხის თქმით, უდაბნოს ისტორიას შეცვლიდა, თუმცა დეტალები ტრადიციულად საიდუმლოდ დაიტოვა, როგორც საბედისწერო გადანყვეტილებების მიღებისას სჩვეოდა ხოლმე.

მისი მტრები ამ გასაიდუმლოებისა და გაბუნდოვანების პოლიტიკას მიიჩნევდნენ სწორედ შეიხის წარმატების საიდუმლოდ. ამ ლაშქრობის წინ, რომელსაც, უხილავი ძალების წყალობით, ახდენა არ ეწერა, მებრძოლები მთელი მზადების პერიოდში ფიქრობდნენ, რომ ისინი სამხრეთით უნდა დაძრულიყვნენ, ჯუნგლების მიმართულებით, თუმცა შეიხმა მოულოდნელად, სულ ბოლო მომენტში, გამოუცხადა მათ გეგმა და უკან გაბრუნებისა და ჩრდილო-დასავ-

ლეთით სვლის ბრძანება გასცა. ცდომილ გრძნულ მთასთან, – იდინანთან,<sup>2</sup> – ჯარი ორ ნაწილად გაიყო. თავიანთი მსვლელობით ამ იდუმალ, იზოლირებულ მთას ალყად შემოერტყნენ და მისი მწვერვალები – ზეცად ატყორცნილი კოშკები – მარწუხებში მოაქციეს უსასრულო ადამიანური მწკრივით. მათ ყველაზე გამანადგურებელი იარაღი, რაც კი უდაბნოში შეიძლებოდა ჰქონოდათ, მძიმედ აესხათ და უხილავი მტრისკენ მიიწვედნენ გაშლილ სივრცეში.

თიმნოქალინის ჭის თავზე ქარავანი შეჩერდა და შეიხმა წყლის მომარაგება, მხედართა ცხენ-აქლემისთვის სულის მოთქმის შესაძლებლობის მიცემა და მათი დარწყულება ბრძანა იდუმალი მგზავრობის გაგრძელების მოლოდინში.

სწორედ ამ დროს გაისმა საშინელი ღრიალი და მოულოდნელმა ქარიშხალმა დაბერა. ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. უხილავმა მტერმა, რომელთა სახეებიც არავის უხილავს და რომელთა მოგერიება ვერავინ შეძლო, ხმალი იშიშვლა და დაატრიალა მათ შორის, იწყო მათთვის ცხვარივით ყელის გამოჭრა. შეიხი პირველ დახოცილთა შორის აღმოჩნდა. ვერავინ შეძლო, გაქცევით ეშველა თავისთვის. ის მცირედნიც, ვინც გადარჩნენ, დახოცილებს ჰგავდნენ, რადგან ირწმუნებოდნენ, რომ უხილავმა ლაშქარმა გვამებიც გადაჩხრიკა ცოცხლად გადარჩენილ დაჭრილთა ძიებაში. მონდომებულნი იყვნენ, ბოლო მოეღოთ მათთვის, ვის მკერდშიც სიცოცხლის რამე ნიშან-წყალი დარჩენილიყო. არავინ იცოდა ამ ლაშქრის ვინაობა ან მათი განზრახვა. არც ის უწყოდნენ, შეიხმა მათთან საომრად შეყარა ლაშქარი თუ

<sup>1</sup> თიმნოქალინი – ტოპონიმი საჰარაში.

<sup>2</sup> იდინანი – მთაგრეხილის განცალკევებული მთა ღათის ოაზისის ჩრდილოეთით. ტუარეგებისთვის წმინდა მთა საჰარაში.

სხვა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. იმ შეიხებს კი, რომელნიც კარვებში დარჩნენ, რადგან ავადმყოფობამ ან სიბერემ შეუშალა ხელი, ლაშქარს შეერთებოდნენ, საგონებელში აგდებდა ის ფაქტი, რომ მტერს კვალი არ დაეტოვებინა. ისევე უკვალოდ გაქრნენ, როგორც მოვიდნენ – სიცარიელიდან ამო-

იზარდნენ და სიცარიელესვე დაუბრუნდნენ. თუმცა ერთმა გარემოებამ მიიპყრო ხალხის ყურადღება – ზარდახშა გაუჩინარდა!..

უცნაური აღარ იყო, რომ უბედურების მიზეზი წყეულ ოქროს ქვიშას დაუკავშირეს.

არაბულიდან თარგმნა  
დარეჯან გარდავაძემ

1.

დიდგვაროვანი წარჩინებული ბრძენთა საბჭოდან დაბრუნებისას თავის მონასთან მუსაიფს შეეჩვია.

მისი მეუღლე წლების წინ შავმა ქირმა იმსხვერპლა. მას შემდეგ ტომში ძეხორციელი ვერ ნახა, ვისაც სამასლაათოდ ისე შეეწყობოდა და საიდუმლოს ისე ანდობდა, როგორც თავის მონას, რომელიც მამისგან მემკვიდრეობით ერგო. ღამეული საბჭოდან ძალაგამოცლილი ბრუნდებოდა; ცისფერ სამოსს გაიხდიდა, თეთრით შეანაცვლებდა; დედაბოძთან თავის ადგილს დაიკავებდა; ზურგით სვეტს მიეყრდნობოდა; ფეხებს შემოსასვლელის პარალელურად გაშლიდა; პირბადისგან<sup>1</sup> გათავისუფლდებოდა და მონას უხმობდა. ცეცხლის ანთებას უბრძანებდა თიფუშქანის ან თიბრიმთის<sup>2</sup>, ან ორივე ბალახის ნარევის ნაყენის დასაყენებლად. როგორც კი კერიიდან ცეცხლის ალი ავარდებოდა და სიბნელე გაიფანტებოდა, სიტუაცია იცვლებოდა – დიდგვაროვანი წარჩინებული ენად ისე გაიკრიფებოდა, როგორც ცეცხლის ენა აიხსნიდა ხოლმე თავს.

ადრე, პირველ წლებში, თანამოსაუბრეს უდაბნოს სანუხარსა და ქალების ამბებზე ელაპარაკებოდა, შეყვარებულთა ამბებს უყვებოდა, სატირულ ლექსებს<sup>3</sup> უკითხავდა, ქალწულთა გულისნადებზე ესაუბრებოდა, მაგრამ ბრძენთ არ დაუხანებიათ და იგი მამამისის სანაცვლოდ თავიანთი საბჭოს წევრად აირჩიეს. მა-

ნაც გულმოდგინედ დაინყო ამ საპატიო თავყრილობებზე სიარული. ნახა, რა ინტრიგებიც ტრიალებდა შეიხთა შორის; შეიტყო მათი ფარული ზრახვები მეზობელი ტომების წინააღმდეგ; გაეცნო, ტომის ბელადი რა მეთოდებს მიმართავდა უთანხმოებათა თავიდან აცილებისა და საბჭოს წევრთა ქიშპობის დასასრულებლად; საბოლოოდ მიხვდა, რომ ყველაზე გავლენიანი და ძლევამოსილი ბრძენნი ისინი იყვნენ, ვისაც ყველაზე გაიძვერულად შეეძლო შეთქმულებათა მოწყობა და ხრიკების ხლართვა. გული შეეკუმშა და თავგზა აებნა.

ერთ ღამესაც, კარავში დაბრუნებულმა, თავისი მოხუცი მონა იხმო. სამოსი გამოიცვალა და ხმალი ქარქაშიდან ამოიღო. ხმლის ალესილმა ფხამ ცეცხლის ალზე იელვა. მონას მიმართა და თან ცხვირწინ უძღები ლესული იარაღი დაუტრიალა: „ტომის ბელადი ჩვენ წინ იშიშვლებს ხოლმე ხმალს, როგორც კი საბჭოს კარავში შევალთ და განზრახ არ აგებს ქარქაშში მთელი ჩვენი შეკრების მანძილზე. ტომის ბელადს მიაჩნია, რომ ტომის სიძლიერე იმით იზომება, რამდენად შეუძლიათ მის ბრძენთ ტომის საიდუმლოს მალვა. თუ ბრძენი ტომის საიდუმლოს გათქვამს, ტომი დაილუპება. ტომის ბელადს ხმალი ჩვენს კისრებზე უდევს, სანამ სხდომა დასრულდება. მომაპყარი, ბუბუ, ყური და თვალით დაიმახსოვრე – ამ იარა-

<sup>1</sup> ტუარეგულ ტომებში მამაკაცები პირბადით დადიან.

<sup>2</sup> თიფუშქანი, თიბრიმთი – უდაბნოს ბალახეული, ჩაის მსგავსად აყენებენ და სვამენ.

<sup>3</sup> ჰიჯა – გაკილვა, სატირულ ლექსი არაბულ პოეზიაში ისლამამდელი ხანიდან არის დამკვიდრებული.



ლის ენა ცეცხლის ენაზე უფრო გაუმაძღარია, ის შენი კისრის სისხლს დაენაფება და წყურვილს მოიკლავს, თუ კანონს დაარღვევ და ერთ დღეს ჩემს საიდუმლოს გაამჟღავნებ, რადგან ტომის ბელადის ხმალი კიდევ ჩემი კისრის სისხლს დაღვეს, თუკი მე საბჭოს საიდუმლოს გავთქვამ!“ ბუბუმ ისეთი იდუმალი ღიმილით გაიღიმა, როგორც მხოლოდ ჭკვიან მწყემსებს სჩვევიათ ან მონებს, რომელთაც თავიანთი ბატონების მსახურებაში ხანგრძლივი დრო მოუღვევიათ. მერე წელში ისე მოიხარა, პირბადის ბოლოთი ცეცხლში ნახევრად ჩამწვარ-ჩაფერფლილ აკაციის ჯირკებს შეეხო. შეშა გულის გამანვრილებლად ტკაცუნობდა, თითქოს კვნესით შეეღას ითხოვდა და ნებოვანი, სისხლისფერი წვენი სდიოდა. ძირს წამხობილმა მონამ თავი ასწია და ვედრებით შეჰღალადა: „აზრად არ მომსვლია ოდესმე, გამებედა და ურჩობა გამომეჩინა, ჩემი მბრძანებლის ბრძანება არ შემესრულებინა!.. მაგრამ ჩემმა ბატონმა უწყის, რომ მისი მონა ბუბუ უდაბნოს დანარჩენ ქმნილებებზე უკეთესი როდია! ჩემმა მბრძანებელმა ისიც იცის, რომ უდაბნოს მცხოვრებთ ყველა თაობაში შავ ჭირზე მეტად ცნობისნადილის სენი სტანჯავთ. მომიტევოს ჩემმა მბრძანებელმა და საპატიო საბჭოს საიდუმლოთა სმენის შარს ამარიდოს...“ დიდგვაროვან წარჩინებულსაც გაეღიმა. ცეცხლის ენა შეამონმა, ხმლის პირს როგორ ელამუნებოდა შუქის ძაფებით, თუმცა მალე კვლავ ნადველი შემოაწვა. მათ ორს შორის სიჩუმემ დაისადგურა. მხოლოდ აკაციის კვნესით ტკაცუნის არღვევდა მდუმარებას. ბოლოს დიდგვაროვანმა წარჩინებულმა თქვა: „ვის გინდა, ჩემი საიდუმლო გავუმხილო?!.. მარტოხელა კაცი ვარ. ვის გინდა ვემუსაიფო, როცა თანამოსაუბრე და ამხანაგი არ მყავს. თუ დაგავინყდა მამაჩემის – ტომის ხნიერი

წინამძღოლის – ანდერძად დანატოვარი, თავად მას თავისი მამა-პაპისგან რომ ერგო?!.. ის მე ყოველთვის მაფრთხილებდა, ხალხის ბრბოსა და მასას არ შევრეოდი. შენ კი იცი, იგი ამ თვითმარქვია, მკვებარა საცოდავი არსებებისგან თავის მორიდებას მხოლოდ იმიტომ კი არ მირჩევდა, რომ ისინი მდაბალი არსებები არიან, რომელთაც ერთგულება სულ არა აქვთ, არამედ მაფრთხილებდა, მათთან ჯდომასა და მასლაათს მოვრიდებოდი, რადგან ისინი კაცისთვის დაგებული მახეა. საკრებულო ყოველთვის მახეა კეთილშობილი, წარჩინებული კაცისთვის, ბუბუ!.. თავყრილობისას, ბუბუ, კაცს სხვა გზა არ რჩება და ცდუნებას ეძლევა. თავყრილობისას ის აუცილებლად ენად გაიკრიფება, მოაღებს პირს (ამ საშინელ ღიობს) და წამოსცდება ის, რაც არ ითქმის, რაც ეწინააღმდეგება კანონს და ჭკუა-გონებისთვის მიუღებელია. მე შენ მეგობრად გირჩევ, ბუბუ, ვისთანაც სამასლაათოდ დავჯდები და მამის ანდერძს აღვასრულებ. მე შენ ჩემს საიდუმლოთა შესანახად როდი ამირჩევინხარ! მე უკვე შემიცვნია უდაბნოს საიდუმლო და აღმოჩენილი მაქვს ერთგულების არარსებობა. მე შენ აგირჩიე, რადგან გამოცდილი მაქვს – მონა, რომელიც მამაშენს ერთგულად ემსახურა, ყველა მეგობარზე კარგი მეგობარია. მაშ, ამიტანე, ბუბუ, როგორც თავის დროზე მამაჩემს იტანდი. მომაპყარი ყურნი და იფრთხილე, არ გაამჟღავნო ჩემი საიდუმლო, რომელსაც ჩემი გული ვერ დაიტევს და ვერ დაითმენს“.

ბუბუმ ტანჯვით ამოიოხრა, ხოლო მისმა ბატონმა ზურგი კარვის დედაბოდს მიაცრდნო და იმ დღიდან დაიწყო თავისი გულის ნადების გადაშლა და ტომის საბჭოს საიდუმლოებებზე საუბარი.

## 2.

თვეების შემდეგ დიდგვაროვანი წარჩინებულის აქლემების რემაში ჭირი გაჩნდა.

სენი პირველად იმ მძვინვარე და საშინელ აქლემს შეეყარა, რომელსაც დედალი აქლემების გასანაყოფიერებლად იყენებდა. ის უზარმაზარი ტანისა იყო და სასტიკად იკბინებოდა. ზედ საზარელი კუზი ჰქონდა წამოდგმული. დამჭლევდა ეს ავსული, გახდომა იწყო და ხორცი დასცვივდა, სანამ სულ არ დაილია. თვეც არ გასულა ჭირის გავრცელებიდან, რომ მწყემსებმა ის მკვდარი იპოვეს საძოვარზე.

ამის შემდეგ სიგამხდრის სენი კეთილშობილი წარმოშობის დედალ აქლემს შეხვდა. დამჭლევება იწყო და მწყემსების თვალწინ თვალსა და ხელშუა დაილია. მათ ეს ამბავი დიდგვაროვან წარჩინებულს მოუტანეს. ისიც დაფაცურდა. თავს დასტრიალებდა დედალ აქლემს, ყურადღებით სინჯავდა, მის სხეულში ჭირის კვალს ან ავადმყოფობის ნიშანს ეძებდა. ვერაფერი იპოვა ისეთი, რაც სხეულში სენის არსებობაზე მიანიშნებდა. დედალი აქლემი დაეცა და სული დალია. დიდგვაროვანი წარჩინებული საძოვარზე გავიდა. საბალახო

ადგილები შემოიარა, ტომის წარჩინებულთა მწყემსებს გამოჰკითხა. მათ ხელები მინაში ამოურიეს – „ჭირიმც იქით იყოსო!“ თვალები ზეცად აღაპყრეს – „მადლობა უფალსო!“ და ერთხმად დაუდასტურეს, რომ წლებია, ჭირიანობა საძოვრებზე არ შემოსულა. დიდგვაროვანი წარჩინებული მეზობელ ტომში გაემგზავრა და იქიდან ბრმა აქიმით დაბრუნდა, რომელსაც სახელი გაეთქვა საძოვრებზე ჭირიანობასთან ბრძოლით და ცხოველთა სენის ცოდნით. აქიმმა მთელი რემა გასინჯა – მამალ-დედალი აქლემი სულ სათითაოდ ამონმა, მშობიარე და ახალშობილებიც კი არ დაუტოვებია და ჭირის ან შინაგანი სნეულებების კვალი ვერ იპოვა. ბოლოს დიდგვაროვან წარჩინებულს უთხრა: „გიჯობს, ჭირი სხვაგან ეძებო, რადგან აქლემთა სხეულებში ის არ არის“. წარჩინებული შეცბა, აირია. ჰკითხა: „ნუთუ ეს ჯადოსნობაა?..“ აქიმმა მიუგო: „აღბათ...“

დიდგვაროვანმა ჯერ არ იცოდა, რომ ის იდუმალი მიზეზი ახალ მზაკვრობას უმზადებდა – მის კეთილშობილ ამლაც<sup>1</sup> აქლემს უბედურება დაატყდებოდა თავს.

## 3.

იშვიათი აქლემი იყო. იფოგასის<sup>2</sup> ტომთა ბელადისგან მიეღო საჩუქრად, როცა მას სტუმრობდა თავიანთი ტომის

ბელადის შეტყობინების გადასაცემად. ეს იმ დროს, როდესაც ერთ-ერთი უცხო ლაშქრობის მოსაგერიებლად კოალიცი-

<sup>1</sup> ამლაცი – ჭრელი. ქართულში შემოსულია არაბული სიტყვიდან „აბლაკ“, რომელიც ჭრელს ნიშნავს და ცხოველთან მიმართებით იხმარება. გიორგი წერეთელი თავის არაბულ-ქართულ ლექსიკონში არაბული „აბლაკის“ შესატყვის ქართულ-სვანურ ფორმად ისევ „აბლაკს“ მიუთითებს, თუმცა სულხან-საბას და სხვა ლექსიკონებში ეს სიტყვა „ამლაცი“ ფორმით არის მიუთითებული და ქართულ ტექსტთა კორპუსშიც ამავე ფორმითაა დადასტურებული.

<sup>2</sup> იფოგასი – ტუარეგული ტომების გაერთიანება, რომლებიც მალის ტერიტორიაზე, მთიან მასივში სახლობენ.

ას ადგენდნენ. თავისი ხელით ზრდიდა. ისე ექცეოდა, თავის გარდაცვლილ ცოლს რომ არ მოჰყრობია. ერთმანეთს ისე ერთგულდებდნენ, ასეთი ერთგულება იმ ყალბი არსებებისგან არ უგრძნია, საკუთარ თავს მეგობრებს რომ უწოდებდნენ. ამლაცმა იხსნა იგი იმ ჩასაფრებული ალყიდან, სამხრეთის ჯუნგლების ტომებმა რომ მოუწყვეს და უზარმაზარი ქვიშის ზღვის ლაბირინთებიდან ცოცხალი გამოიყვანა, როცა წყლის მარაგი ამოეწურა, ქვიშის მტვერმა მოუსწრო და ლამის სადღაც მიუსავლეთში, უცნობ მიწაზე დაიკარგა. ყველაფერს აიტანდა, მაჰრული<sup>1</sup> ამლაცი აქლემის დაკარგვის გარდა. შეეძლო, დაეკარგა ცოლი და აეტანა. შეეძლო, დაეკარგა ახლობელ-მეგობრები და აეტანა. თვით ბუბუს დაკარგვაც შეეძლო აეტანა, მაგრამ მარტოსულ კაცს, წარჩინებულ მხედარს და რაინდს როგორ უნდა გადაეტანა უსაყვარლესი არსების – კეთილშობილი ამლაცი აქლემის დაკარგვა?!..

მაჰრულმა აქლემმა დამჭლევება იწყო და დიდგვაროვანმა წარჩინებულმა – გახდომა. აქლემმა ალაფი შეიზიზლა და საძოვარზე გასვლაზე უარი თქვა. დიდგვაროვან წარჩინებულსაც საჭმელზე გული აღარ მისდიოდა და გარეთ გასვლას, – თვით ბრძენთა საბჭოზე სია-

რულსაც კი, – თავი ანება. აქლემს თვინიერ თვალეში სევდა და ჭმუნვა ჩაუდგა და ბუბუმ თავისი ბატონის თვალეშიც სევდა და ჭმუნვა დაინახა.

მაჰრული აქლემი რამდენიმე კვირაში მოკვდა და დიდგვაროვანი წარჩინებული ცხელებამ გადაბუგა. გონმიხდილი იყო და ტომი ფიქრობდა, რომ ის ამ მდგომარეობიდან ვერ გამოვიდოდა.

მას შემდეგ, რაც გამომჯობინება დაეტყო, კაცი გაგზავნა და მისანი იხმო.

გრძნეული მასთან მთელი ღამე იყო განმარტოებული კარავში. ჯადოსანი იქიდან გამოვიდა და არავინ იცოდა, რა მოხდა მათ შორის. მომდევნო ღამით მწყემსებმა რემაში მობორილე მოჩვენება იხილეს, მაგრამ ანც ჯინად მიიჩნიეს და ყურადღება არ მიუქცევიათ.

რამდენიმე დღეში დიდგვაროვანი წარჩინებული გრძნეულმა მისანმა მოინახულა ღამით. კიდევ ერთი ღამე იყო მასთან განმარტოებული და კვლავ არავინ იცოდა ჯადოსნის საიდუმლო. მიხვდნენ მწყემსები და მათზე ადრე კი – მონა ბუბუ, რომ ვერ შეიტყობდნენ მისნის საიდუმლოს, რადგან დიდი ხანია, რაც მათთვის ცნობილი იყო – გრძნეული რისი გრძნეული იქნებოდა, თუკი ხალხი მის საიდუმლოს შეიტყობდა.

#### 4.

ტომში ხმა გავრცელდა, რომ თვალი იყო ის, რამაც დიდგვაროვანი წარჩინებულის აქლემების რემა განყვიტა. შური იყო ის, რაც ეწია ამლაც აქლემს. თუმცა დიდგვაროვან წარჩინებულს კრინტი არ დაუძრავს. კვლავ განაახლა ბრძენთა საბჭოზე სიარული. ისევ დაუბრუნდა

კარვის დედაბოძთან ჯდომის ჩვევას; კვლავ დაიწყო ხმლის ქარქაშიდან ამოღება და თავისი ერთგული მონა ბუბუს გასაგონად იმ სასტიკი შეგონების წარმოთქმა, რომლის გამეორებასაც მიჩვეული იყო ყოველთვის, როცა კი მისი გული ველარ დაიტევდა საიდუმლოს და ის

<sup>1</sup> მაჰრული აქლემი – ჯიშისანი აქლემი, რომელიც აქლემთა რემას წინ მიუძღვის. წარმომავლობის სახელი მიემართება მაჰრა იბნ ჰიდანის იემენურ ტომს.

გარეთ გადმოხეთქავდა. ამით სურდა, შეემსუბუქებინა საკუთარი თავისთვის მძიმე ტვირთი, ერთგული მონა კი ყოველ ჯერზე კვლავ თავის მართლებითა და მუდარით უმეორებდა, აეშორებინა მისთვის საიდუმლოებების ტარების ტვირთი.

მაგრამ ამ ძველმა ჩვეულებამ მოულოდნელად ახალი სახე მიიღო.

სალამოს საუბრის დასრულების შემდეგ, როცა ფიჩხის ბოლო ტოტიც ჩაინვებოდა ცეცხლში, ბუბუ ყოველდამეკარვიდან გადიოდა. გადიოდა სიბნელეში და უხილავ წყვდიადში უჩინარდებოდა. მის ბატონს არასდროს უკითხავს საკუთარი თავისთვის, სად მიდიოდა მისი მონა, მაგრამ ამ ღამით, როგორც კი ბუბუ კარვიდან გავიდა, დიდგვაროვანი წარჩინებულიც მის კვალს მიჰყვა. მაშინვე უკან არ ასდევნებია, აცალა, თვალს მიჰფარებოდა; შემდეგ კარვი-

დან გასხლტა და მის კვალდაკვალ წყვდიადის საბრძანებელს შეერია. ბუბუ რემისკენ ნავიდა, აქლემებში შევიდა, დედალ აქლემს თავზე წამოარტყა, შემდეგ გზა გააგრძელა, წინ ნავიდა და მსუქანი, ხშირბენვიანი აქლემის წინ გაჩერდა, ხარბად რომ ცოხნიდა ალაფს. აქლემმა ლეჭვა შეწყვიტა, ყურები ცქციტა. თვალელები დაეძაბა. მისმა მზერამ სინყნარე დაკარგა. თვალელებში მოულოდნელი შფოთვა ჩაუდგა. დიდგვაროვანი წარჩინებული იქვე მდგარ დედალ აქლემს ამოეფარა და ბუბუს დააკვირდა. დაინახა, როგორ მოირთხა მან ფეხი მინაზე გაბურძგნილი აქლემის წინ და საუბარი დაიწყო. ყური მიუგდო ბუბუს – ის აქლემის გასაგონად ყველა იმ საიდუმლოს იმეორებდა, რომელიც ბრძენთა საბჭოში ტრიალებდა და რომლებიც მისგან ჰქონდა მოსმენილი იმ სალამოს სეანსზე.

## 5.

დილით დიდგვაროვანმა წარჩინებულმა აქლემი გასინჯა. მწყემსებს უთხრა: „მკითხაობა არ უნდა იმის თქმას, რომ ეს აქლემი რამდენიმე კვირაში მოკვდება“. რამდენიმე დღეში აქლემმა გახდომა იწყო, გამოიფიტა, დაილია და რამდენიმე კვირაში მოკვდა. მწყემსებმა ამბავი მოუტანეს, თვალელები გაოცებით ჰქონდათ სავსე. მწყემსებს უთხრა: „ახლა უკვე გავიგეთ სენი“. ერთ-ერთს სთხოვა, კარვიდან მათრახი მოეტანა მისთვის. სხვებს უბრძანა, მისი ერთგული მონა გათოკილი მიეყვანათ მასთან. ავენიან მათრახს ხელი წამოავლო, ჰაერში მოიქნია და ნიშანი მოხაზა. მათრახმა ისეთი ნაპერწკალი გაყარა, ისე გაკვესა, როგორც ელვამ ზამთრის ღრუბლებში. მისი ავი ენა მონაზე დაეშვა, სამოსი შემოაფლითა და ხორცი ამო-

ჭამა. დიდგვაროვანი ერთგულ მონას შოლტავდა, თან ყოველ დარტყმაზე უყვიროდა: „არ მოგეშვები, სანამ არ მეტყვი, რა ჯადოსნობით მოკალი ჩემი ერთგული მეგობარი ამლაყი!..“ დიდხანს ღრიალებდა ბუბუ, ისე მოთქვამდა და ტიროდა, რომ მისი მოთქმა მთელ უდაბნოს მოედო... ბოლოს თავის ბატონს სთხოვა, გაჩერებულიყო, რადგან გადაწყვიტა, ელიარებინა. ერთხანს ოხრავდა, მერე ცხელ წყალს სვამდა კარგა ხანს, სანამ ალაპარაკებოდა: „რაც ვაკეთე, შენი ერთგულებით გავაკეთე, ჩემო მბრძანებელო!.. მამაშენის ძვლების ერთგულებით!.. მას შემდეგ, რაც ჯუნგლების ტყეებიდან ყმანვილი მომიყვანა, მე მისგან ცუდი არ მინახავს“. დიდგვაროვანმა წარჩინებულმა მათრახი ჰაერში მოიქნია, ირგვლივ შიში ჩა-

მონვა. დაფარული რისხვით თქვა: „ერთგულებაზე როგორ ლაპარაკობ, როცა მიმუხთლე და ერთგულების ფიცი გატეხე?! შენ გარდაცვლილთა ერთგულებაზე ლაპარაკობ და წმინდა ნეშტს კი უღალატე, როცა მთელ ტომში ყველაზე კეთილშობილი არსება მოკალი!“ მონა ხმამაღლა აქვითინდა. თქვა: „რაც გავაკეთე, მხოლოდ შენი ერთგულებით გავაკეთე, ჩემო მბრძანებლო!.. ჩემი დიდი ბატონის ხსოვნის ერთგულებით!.. ჩემს ხელმწიფეს ხომ უკვე მოვახსენე, არ ვარ-მეთქი ღირსი საიდუმლოებათა შენახვისა... რადგან... რადგან ღმერთი არ ვარ და ჩემს მბრძანებელს მოეხსენება, რომ თვით თავისუფალი ადამიანებიც კი უძღურნი არიან, შეინახონ საიდუმლო და მამ, საცოდავ მონა ბუბუს რალა მოეკითხება?!.. მე რომ საკუთარი თავისთვის შვება არ მიმეცა და უტყვი არსებებისთვის არ გამენდო შენი საიდუმლო, ნამდვილად მოგკვდებოდი, როგორც ამლაყი მოკვდა, ჩემო ბატონო... აღიარე, ჩემო მბრძანებლო, პირველივე დღიდან ხომ თავად ვერ შეძელი საიდუმლოს შენახვა-მოთმენა და გადანყვიტე, შენი ერთგული მონისთვის გაგენდო იგი!.. განა ჩემგან უენო, უტყვი არსებებისთვის, რომელთაც საუბარი კი არ შეუძლიათ, მაგრამ ყურები ასხიათ, შენი საიდუმლოს განდობა უფრო მსუბუქი ცოდვა არ იყო, ვიდრე მისი

მწყემსებისთვის მოყოლა, რომლებიც მერე სხვა მწყემსებთან ილაპარაკებდნენ ამაზე, მთელ ტომს მოსდებდნენ და ტომის ბელადის ყურამდეც მივიდოდა?!.. განა ამ ჩემი სულელური საქციელით ჩემი მბრძანებელი ტომის ბელადის ძალმომრეობისგან არ დავიცავი?!.. თუმცა კი ამით მისი ამლაყი აქლემი მოვკალი...“

ბუბუ კვლავ საზარელი ხმით ატირდა. დიდგვაროვანი წარჩინებული დაფიქრდა და გადაჭრით, შურისგებით წარმოთქვა თავისი ბრძანება: „ენას მოგაჭრი, შე უბედურო!“ მოხუცი მონა შეემუდარა: „შემინყალე, ჩემო მბრძანებლო!.. ნეტავ შენი ხმალი ენის მოჭრის ნაცვლად ყელს გამომჭრიდეს!..“ დიდგვაროვანმა მიუგო: „შენ შეგიძლია, ხმალი ყელში თავად გამოისვა... მაგრამ არავის ძალუძს, ენა თვითონ მოიჭრას. ჩემი საზრუნავი მხოლოდ შენი ენაა“. მონა კიდევ ერთხელ შეეხვეწა: „ჩემი ხელით ყელის ხმლით გამოჭრა რომ შემეძლოს, მონა კი არ ვიქნებოდი, ჩემო მბრძანებლო!.. მომკალი, ოღონდ ენას ნუ მომაჭრი, ჩემო ბატონო!..“

დიდგვაროვანმა წარჩინებულმა მონას ენა წააჭრა და ბრძენთა საბჭოდან დაბრუნებისას კვლავ მასთან მუსაიფი და ტომის საიდუმლოთა მოყოლა გააგრძელა.

## 6.

ბატონის მიერ ენის მოჭრის შემდეგ მონა ნელ-ნელა შეიცვალა. გახდა, ჩამოხმა, გამოიფიტა. თუმცა მისი მბრძანებელი, რომელმაც ერთგული მეგობარი ამლაყი დაკარგა, არ ნყვეტდა მონისთვის ყველაზე საზარელი საიდუმლოებებით ყურების გამოჭედვას; მეტიც, ბრძენთა საბჭოს ხვაშიადებს გან-

ზრახ ამატებდა სხვა ტომების საცხოვრისებიდან მოსულ იდუმალ ამბებს და თავისივე გამოგონილ საიდუმლოებებს. აკვირდებოდა მონის თვალეში ჩამდგარ ელვარებას, ამჩნევდა თრთოლას მის სხეულსა და ხელებში, ესმოდა ფარული ხმები, რომელსაც ის გამოსცემდა ყოველთვის, როცა კი კარვიდან გა-

დიოდა სალამოს საუბრების დასრულებისთანავე.

რამდენიმე კვირაც არ გასულა, რომ ბუბუ აღარ მოსულა, გაუჩინარდა. დიდგვაროვანმა წარჩინებულმა კარავში დაუწყო ძებნა და იპოვა დედაბოძს მიყრდნობილი – ღია თვალებით სიცარიელეს მიშტერებოდა, პირდაფჩენილს ბუზები გუნდ-გუნდად ისე მისეოდნენ,

თითქოს მისი ბაგეებიდან იმ საიდუმლოს ართმევა სურდათ, რომელიც დაკარგულ ენას ვერ წარმოეთქვა. მაშინაც კი, როცა დიდგვაროვანმა თავისი მონაიატაკზე დაასვენა და მწყემსებს უხმო სუდარის მოსამზადებლად, მიცვალებულს ყბები კვლავ ერთმანეთს დაცილებული ჰქონდა და უენო პირი – ღიად დარჩენილი.

შვეიცარიის ალპები, 1993 წ.

არაბულიდან თარგმნა  
დარეჯან გარდავაძემ

## დაკრძალვა

სასტუმრო დარბაზში სიკვდილის სუნი ტრიალებდა... იანვარი იდგა... ძალადობის, ბრძანებულებებისა და სისხლის ჩანჩქერების თვე... სამძიმარზე მოსულთაგან ერთ-ერთმა ცეცხლს შეუბერა და ქვიშიანი გრიგალის ხმაურში თქვა:

– მეფემ ზოგი დამნაშავისათვის სამხედრო წოდების ჩამორთმევის თაობაზე ბრძანება გამოსცა.

მაზრის უფროსი დიდხანს გასცქეროდა ქვიშიან გრიგალს. მერე ცეცხლზე დაიხარა და გავარვარებულ ნალვერდლებში ჩაიდანი ჩადგა... სხვებივით კედელს მიეყრდნო. ცეცხლისთვის სულის ბერვისგან თვალები აუნწყლიანდა... ჯილბაბის სახელოთი მოიწმინდა და სასონარკვეთით დაამატა:

– დილით რადიოთი მოვისმინე.

აღ-ყამ აბუ შაკურის ჩუმად იყო... მაზრის უფროსმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია და გაურკვეველი მიზეზების გამო სირაქლემის ფერადი ფრთების მარათი სახის დანიავება დაიწყო.

გარედან შემოსული ყრუ კვნესის ხმა მატულობდა. ფანჯრების მინაზე წვიმის პირველი წვეთები ერთმანეთს გასწრებაში ეჯიბრებოდნენ... მერე კი წამოსულმა კოკისპირულმა ქალის ცრემლებთან შეზავებული სურნელი დააყენა... ღვთიურმა ორკესტრმა უკვდავი სიმფონიის შესრულება დაიწყო... აბუ შაკურმა გააფურთხა... მაზრის უფროსმა ჩაახველა. ოთახის კარმა დაიჭრია და მისი მკვეთრი ხმა ყურებს უსიამოდ მოხვდა... იქ მყოფთა სიჩუმე წამებს ითვლიდა. კარიბჭეზე გამოჩნდა

ის, ვისაც არავინ ელოდა!

აღ-ყამ აბუ შაკურს სახე შეეცვალა. მაზრის უფროსმა უხერხულად იგრძნო თავი... იატაკზე მიმოფანტულად მსხდომმა ხალხმა კი სიჩუმე არჩია... საიდ საადალლამ დანარჩენებს გადააბიჯა, აღ-ყამ აბუ შაკურს მაჯაზე ხელი წაავლო, დაიხარა, თითქოს კოცნისო... რამდენიმე გაუგებარი სიტყვა წაიდუღუნა... მერე ნაბიჯით უკან დაიხია და ზურგით კედელს მიეყრდნო... აღ-ყამ აბუ შაკურის ბაგეზე სასონარკვეთილი ღიმილი გამოკრთა, თითქოს რალაც გაახსენდაო, წაიდუღუნა:

– დიდხანს იცოცხლე, საადალლას ვაჟო!

ქედმაღლურ კუშტ სახეზე სწრაფადვე გაუქრა ღიმილი... სიამაყის მიუხედავად, წვიმის წვეთივით კრიალა პატარა მარგალიტისოდენა ცრემლი წამოუვიდა თვალიდან!

ყველამ თავი დახარა, მაზრის უფროსის ჩათვლით... საადალლა თვალს ადევნებდა, თუ რა მედიდურად იკვლევდა გზას აღ-ყამ აბუ შაკურის უპედან გადმოვარდნილი მარგალიტის ცრემლი... ლოყაზე დაეშვა გაუბედავად და ღრმა ნაოჭების სიღრმეებში ჩაიღვარა და ჩაიკარგა...

სამარისებურ სიჩუმეში საიდ საადალლამ შენიშნა, რომ მაზრის უფროსი მალულად უყურებდა – ეჭვით აღსავსე უცნაური გაშეშებული მზერით... შეყვარებული კაცის გახელებული მზერით, ლამაზი ქალის ტრფობაში მოცილეს რომ შესცქერის...

\* \* \*

მეფე დიდი წმინდანია... წინასწარ-მეტყველთა და მოციქულთა მოდგმის... მართავს მაღალი ღმერთის წყალობით... ანარქიის შესაჩერებლად ცეცხლის გახსნას ბრძანებს. საჭიროების შემთხვევაში გამაფრთხილებელ ბრძანებებს გაცემს და შეინყალებს კიდეც, როცა სურს. მაზრის უფროსებსა და წარჩინებულ პირებს სამძიმრისა და სულის საწუგმოდ აგზავნის. ისამ ურჩობა გამოიჩინა უფლის მოძღვრებების მიმართ და წყევლა-კრულვა დაიმსახურა, რადგან დემონსტრაციებზე წმინდანის ჩამოგდებას მოუწოდებდა... ფილმში წმინდან ტომას ბეკეტი<sup>1</sup>, რომელსაც დემონსტრაციებამდე რამდენიმე დღით ადრე უჩვენებდნენ ეკრანზე, მეფე ჰენრიმ იგივე გააკეთა. თავის ქვეშევრდომებს უბრძანა მუხანათურად მოეკლათ ბავშვობის მეგობარი – მღვდელი ტომას ბეკეტი, რადგან ის მეფის ჩადენილ დანაშაულებებს განუდგა. მეფემ ბრძანება გამოსცა თავისი მომხრეების დაჭერისა და დასჯის თაობაზე... მერე მათრახები გადასცა ეკლესიის სამღვდლოებას, რათა მისთვის ასჯერ დაერტყათ შოლტი იმ დანაშაულის გამო დასასჯელად, უფლისა და ბავშვობის მეგობრის წინაშე რომ ჩაიდინა. ო, რა ტრაგიკული ხუმრობაა!

ისას სისხლი დალიეს არეულობის ბოლომდე ჩასახშობად... სხვების სისხლიც დაღვარეს იმავე საბაბით. ყველა დანარჩენი ხელკეტებით გარეკეს. სალამოს კი რადიოდან მანიფესტები და

გამაფრთხილებელ ღონისძიებათა ბრძანებები იღვრებოდა და ხალხის სურვილით სამინისტრო ჩამოიქცა! ისას დაღვრილი სისხლით დათხოვნილ იქნა სამინისტრო და დაიწყო მანევრები... ო, რა ლაჩრობაა!

ისას გვამმა დაამხო სამინისტრო... შენ კი, ო, საიდ საადალლა, ტყეში – ქოხში – დაიმაღლე ყველაზე მშვიდარა თაგვივით!... გამხმარ პურს ლოლნი, მკვახე ფინიკს ჭამ, ცივ წყალს სვამ... გლეხი თოხს რომ დაჰკრავს მინას, ან მანქანის მოტორის ხმა სპილოსავით რომ გაივლის ტყის ბილიკზე, ოფლს გასხამს, სუნთქვა გეკვრის და ერთ წამში ორჯერ კვდები... ისა უკან გაჰყვა მამას და დედას. პატარძალი პირველ ღამემდე დაქვრივდა... შენ უკან რაღა რჩება?

მამაშენი მანამდე მოკვდა, სანამ სიკვდილის აზრს ჩასწვდებოდი. დედაშენი კი კიბოთი გარდაიცვალა, როცა თხუთმეტსაც არ იყავი აცილებული. შენი დარჩენილი ცხოვრება ციხის კედლებში განადგურდება... რაღა გაშინებს?

ო, ძალიან ძვირი დაგიჯდა მეფის წინააღმდეგ შეძახილები... ისა ერთხელ მოკვდა... შენ კი ყოველდღე კვდები. ყოველ ფეხის ხმაზე ან ტყის ოდნავ ჩქამზე ათჯერ კვდები... ცირკის მოცეკვავის სამოსს იცვამ. მტრების გეშინია და მეგობრებს გაურბიხარ... შეშინებული იპარები ქოხიდან, როგორც რიგითი დამნაშავე გაიძურნება გამოქვაბული-

<sup>1</sup> ტომას ბეკეტი (1118-1170) – ინგლისის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე; 1162 წლიდან კენტერბერის არქიეპისკოპოსი. ებრძოდა მეფე ჰენრი II-ს, რომელიც ცდილობდა ეკლესია სამეფო ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა, ხოლო ეკლესიის მსახურნი სამეფო სასამართლოსთვის დაექვემდებარებინა. მოკლეს ჰენრი II-ის ბრძანებით.



დან. ღამის დადგომასთან ერთად ღამურასავით გამოძვრები... ვინც მეფის წინააღმდეგ შეძახილებს ბედავს,... ვინც ქუჩაში მოძრავ ჯარებს არაფრად აგდებას, არ უნდა ეშინოდეს!

ალაჰიმც შეგინყალებს, ო, ისა! როგორ მშურს შენი ხვედრის! გუშინ დაკრძალვის დრო შეგატყობინეს. შენ უკან დაბრუნდი და ქოხში დაიმაღე. ჯერ წიგნის წაკითხვა სცადე... მერე ფანარი ჩააქრე და დილაამდე იტირე. ეს პროტესტი იყო, სევდა თუ სულელური სისუსტე?

დილით ცირკის მოცეკვავის სამოსი გაიძრე... მოჩვენებითი გამბედაობით იქამდე დახეტილობდი გზებსა და ქუჩებში, რომ ალ-ყამ აბუ შაკურის მესერამდეც კი მიხვედი. იქ კი, მოულოდნელად, მაზრის უფროსს პირისპირ გადაეყარე... მან კი ყველაფერი იცის... და ისე გექცევა, როგორც ძველ მტერს... ო, როგორ შეცდი! ო, რა მარცხი განიცადე!

\* \* \*

ვიღაცამ მტირალი და სუსტი ხმით მიცვალებულის გამოსვენების დრო გამოაცხადა... ყველანი ერთდროულად წამოდგნენ, გეგონებოდათ, სამხედრო ბრძანებას დაემორჩილნენო. ყურანის აიებს ბუტბუტებდნენ. საიდ საადალლას ხმა უთრთოდა, როცა სურას – „თქვი, ალაჰი ერთია“ – გასაგონი ხმით კითხულობდა. ალ-ყამ აბუ შაკური მიუახლოვდა და ჩუმად უთხრა:

– არ წამოხვალ!

დაიბნა. შეეცადა გაეპროტესტებინა:

– მაგრამ მე მოვედი...

ძალიან მკაცრად და მკვეთრად გაანყვეტინა:

– მე ვთქვი: არა! აქ დარჩები... დავბრუნდები!

საიდ საადალლამ თავი დალუნა. ალ-ყამ აბუ შაკური თვალს მიეფარა.

გარეთ სამძიმარზე მოსულები შეგროვილიყვნენ. ქალებმა მოთქმა-გოდება ატეხეს. წვიმამ გადაილო.

ოთხი მამაკაცი წინ წამოვიდა. კუბო მხრებზე შეიდგეს. ქალების განწირულ კივილში პროცესია დაიძრა. მას წინ მაზრის უფროსი მიუძლოდა და თან სირაქლემის ფერადი ფრთებისაგან გაკეთებული მარათი ბუზებს იგერიებდა. გვერდით ალ-შაკური უსიტყვოდ მიჰყვებოდა... ყველა ერთხმად იმეორებდა:

– ალაჰი დიდია!

\* \* \*

ორი სამყაროს მეუფევე, შემინდე! ალაჰიმც აკურთხებს და მიესალმება მოციქულ მუჰამედს. ქონება და შთამომავლობა ამქვეყნიური ცხოვრების სამკაულია... ათასჯერ ვუთხარი, პოლიტიკას არ გაჰკარებოდა. ის მავნე და უსარგებლოა. ხელი არ მიტრიალდებოდა, ჯოხით მეცემა. დაუფიქრებლად მოიქცა. ალაჰიმც შეგინყალებს მას და კმაყოფილი იქნება მისით... მეც მიმიტევებია მისთვის ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცოდვები... ათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა დემონსტრაციაში, მაგრამ ისა მოკვდა... რატომ?

შემინდე, ზეციერო, ამ სიბრძნის ჩანდომას რომ ვცდილობ! რაც შეეხება შურისძიებას, არ არის გამოსავალი, რომელიც გამოგესარჩლება და არც საშუალება, რომელიც გამოდგება... ისა

არც კაცს მოუკლავს და არც ტომს. არც მეფეა რამეში დამნაშავე. ამის მრავალი დამამტკიცებელი საბუთი არსებობს. ისა მთავრობამ მოკლა. მე არც ძალა გამაჩნია და არც ღონე მთავრობის წინააღმდეგ... ალაჰი აფრთხილებს ადამიანებს, ნუ დაიღუპავენ სულს... ო, ღმერთო! რა უბედური ვარ! როგორ დავუძღვლურდი... ო, უფალო, მომეც გამძლეობა! შენ ხომ ყოვლისშემძლე ხარ!

ჩვენ თავის დროზე კაცებივით ვიცხოვრეთ. ო, საადალლას ძეო! ახლა თქვენი დრო დადგა. მამაშენმა გამონვევა ესროლა იტალიელებს. თოფით ებრძოდა მათ მთებში... როდესაც დაიჭირეს, გრასიანი<sup>2</sup> თავის ხელით მოკლა და მერე სახრჩობელაზე ჩამოკიდა.

მოგატყუეს, როცა გითხრეს, რომ ცეცხლი ნაცარს ტოვებს... ცეცხლი ნაღვერდალს ტოვებს და მხოლოდ ის ტოვებს ნაცარს... დამიჯერე!

ეს ის დროა, რომელშიც სურათი შეიცვალა. არა მხოლოდ ხმლები ამარცხებენ, როგორც ჩვენს დროში... ისა დავკარგე – ერთადერთი ვაჟი. ო, საადალლას ძეო. ვისაც შთამომავლობა არ დაუტოვებია ამ ქვეყნად, არ უცხოვრია... აჰა, შენ რისკზე წახვედი და, მიუხედავად პოლიციისა და შენზე გამოცხადებული ძებნისა, მოხვედი. რატომ?

ისას სამძიმარი არ დააბრუნებს. მაშინ რატომ გარისკე?

\* \* \*

ალ-ყამ აბუ შაკური ყურანის აიას ბუტბუტებდა, როდესაც პროცესიამ სა-

საფლაოსკენ მიმავალი ერთ-ერთი მთავარი ქუჩა გადაკვეთა.

ტროტუარზე სკამები და ლიმონათის ბოთლებით, მწვანე ჩაით, ყავის ჭიქებითა და ნარგილეთი გადავსებული მაგიდები იდგა. ხმაურის მიუხედავად, ალ-ყამ აბუ შაკურს გარკვევით მოესმა, როგორ გააფურთხა ვიღაცამ... მეორემ შენდობა შეუთვალა... მესამემ ყურანის მოკლე სურის კითხვა დაიწყო. თვალი მოჰკრა მოსასხამიან მოხუც კაცს – ფეხზე მდგომარე კედელს მიყრდნობოდა. ოცდაათი წლის ვიღაც მამაკაცი – თიხაში ამოსვრილი ხაკისფერი კოსტიუმითა და წელზე შემორტყმული შავი ქამრით – მონინებით გაჩერდა. მის გვერდით მდგომმა ევროპელმა მამაკაცმა ქუდი მოიხადა და უკან დაიხია... დანარჩენები გულგრილად მიდი-მოდიოდნენ ტროტუარზე, თითქოს ყველაფერი კარგად იყო... ალ-ყამ აბუ შაკურმა თავი ჩალუნა და, ბურანში მყოფს, სასფლაომდე აღარ აუნწევია!

\* \* \*

როდესაც მაზრის უფროსთან ერთად შინ დაბრუნდა, სამძიმარზე მისულები აღარ დახვდნენ... მაგრამ ტირილი არ შეწყვეტილა. ოთახში იატაკზე მორთხმული მოხუცი ქალი სლუკუნ-სლუკუნით ტიროდა... ალ-ყამ აბუ შაკურმა კატეგორიული ტონით გააწყვეტინა:

– მორჩა!... საკმარისია ტირილი!

შემკრთალმა ქალმა თავი ასწია, ქვითინი აღმოხდა და თითქოს დახმარებას ითხოვს, მორჩილად წამოიძახა:

– საადალლას ვაჟი...

<sup>2</sup> რუდოლფო გრასიანი (1882-1955) – იტალიელი გენერალი. ცნობილი იყო თავისი სასტიკი ქმედებებით ლიბიაში.

ალ-ყამ აბუ შაკურმა და მაზრის უფროსმა უმალ ერთმანეთს გადახედეს. ქალმა კი ნაღვლიანი ხმით გააგრძელა:

– მოვიდნენ და ნაიყვანეს... ჩემ თვალწინ, როგორც სახედარს, ისე სცემეს... მერე კი თხასავით წაათრიეს...

მოხუცმა ქალმა ტირილი გააგრძელა. კედელს მიყრდნობილი ალ-ყამ აბუ შაკური თავის თავს ეკითხებოდა:

– ისაზე ვიტყვო თუ საადალლას ვაჟზე... ან ორივეზე ერთად?

რაც შეეხება მაზრის უფროსს, მან ცხვირსახოცი ამოიღო, არარსებული ოფლი მოიწმინდა და სირაქლემის ფრთების მარაოთი არარსებული ბუბები მოიგერია. უკვე მეორედ იგრძნო თავი უხერხულად. ჩაახველა და ალ-ყამ აბუ შაკურს მორიდებით უთხრა:

– იქნებ შუამდგომლობა აღგვეძრა... უკეთესი იქნებოდა!

მაგრამ ალ-ყამ აბუ შაკური დიდხანს უაზროდ მიშტერებოდა და არ პასუხობდა... ალბათ, ეს იმის დასტური იყო, რომ უარს ამბობდა ამ შემოთავაზებაზე... დამშვიდობებისასაც ბევრი ელაპარაკა აბუ შაკურს, მაგრამ ის არ უსმენდა... მერე ფარდაგი აიღო, კიბლას მიმართულებით დადგა, რომ ნაშუადღევის ლოცვა აღევლინა. პირველ რაქათზე „ფათიჰა“ წაიკითხა... მეორე რაქათზეც „ფათიჰა“ წაიკითხა და უცებ აღმო-

აჩინა, რომ „ფუტკრის“ სურადან 34-ე აიას კითხულობდა.

როცა ლოცვა დაასრულა, ღმერთს შენდობა და წყეული ეშმაკისგან თავის დაცვა შესთხოვა... ჩაცუცქდა და კრიალოსნის მარცვლა დაიწყო. როცა დაასრულა, ერთხანს ორივე ხელში ატრიალა... ისევ „ფუტკრის“ სურადან სამჯერ წაიკითხა 34-ე აია. ჯიბიდან კოლოფი ამოიღო, დაფქულ თამბაქოს დაყნოსა... სამჯერ დააცემინა. შემდეგ წამოდგა და აუჩქარებლად სასტუმრო დარბაზისკენ წავიდა... ისევ იდგა სიკვდილის სუნი. სიბნელე წვებოდა... სიჩუმე გამეფებულიყო... რკინის სკივრს თავი ახადა და თოფი ამოიღო... თავისი დაბრეცილი თითებით შეეხო... მუსლინის ძველი ჩვრით განმინდა... ერთხანს ყოყმანობდა და მერე ტყვიების მჭიდვე ჩადო. ჯერ ლიცენზიაც აიღო... მერე გვერდზე მოისროლა. პატარა ყურანი ჩაიღო ჯიბეში. კისერზე კრიალოსანი ჩამოიკიდა... თოფი მხარზე მოიგდო და გავიდა...

მესრის გარეთ გაჩერდა... ყური მიუგდო მოხუცი ქალის ტირილს... მზეს ახედა... მას კი მონითალო ბინდ-ბუნდი შემოხვეოდა და აღარ ჩანდა... ფარულად და ცხადად შეაჩვენა ეშმაკი... სიბრაზით გააფურთხა... და... ქალაქისკენ აიღო გეზი.

არაბულიდან თარგმნა  
იზოლდა გრძელიძემ

## იბრაჰიმ ალ-ქუნის ქართული ბიბლიოგრაფია

### იბრაჰიმ ალ-ქუნი ქართულად

1. მცირე პროზა, „თითის ფალანგზე მოკლე მოთხრობები“, არაბულიდან თარგმნა იზოლდა გრძელიძემ. დაიბეჭდა ლიტერატურულ ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“, №21 (229), 17 ოქტომბერი, 2014 წ. გვ. 68-70;
2. ნოველები „ნიაღვარი“ და „შავი ვაცი“, არაბულიდან თარგმნა ირმა მახარაძემ. დაიბეჭდა ლიტერატურულ ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“, №13 (247), 26 ივნისი, 2015 წ. გვ. 66-69;
3. ნოველა „ერთი ყლუპი სისხლი“, არაბულიდან თარგმნა იზოლდა გრძელიძემ. დაიბეჭდა აღმოსავლურ ჟურნალ „არმაღანში“, №2 (მარტი-აპრილი), თბილისი, 2016 წ. გვ. 23-29;
4. რომანი „ოქროს ქვიშა“, არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ. გამოიცა გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ, თბილისი, 2016, 202 გვ.;
5. რომანი „ქვიდან ნაჟური სისხლი“, არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ, გამოიცა გამომცემლობა „ნიგნები ბათუმში“ მიერ, თბილისი, 2017; 150 გვ.

### სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომები იბრაჰიმ ალ-ქუნის შემოქმედების შესახებ:

1. გოგა ასლამაზიშვილი, „პიროვნებისა და ბედისწერის საკითხი ლიბიელი მწერლის იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში „ოქროს ქვიშა“, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, 2016;
2. ანა ოთხოზორია, „მაგიური რეალიზმი ლიბიელი მწერლის იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში „ქვიდან ნაჟური სისხლი“, საბაკალავრო ნაშრომი, თსუ, 2017.

მოამზადა  
დარეჯან გარდავაძემ

## სარჩევი

რედაქციის წინათქმა .....	5
--------------------------	---

### გოლი თარაყი

<b>აბას მილანის სიტყვა, წარმოთქმული გოლი თარაყის ბითას პრემიით დაჯილდოების ცერემონიაზე, თარგმანი ნათია დუნდუასი .....</b>	<b>9</b>
<b>შეხვედრა გოლი თარაყისთან 2005 წ. 23 მაისს (თსუ),</b>	
თარგმანი თეა შურლაიასი .....	11
<b>ამონარიდები ინტერვიუებიდან გოლი თარაყისთან, თარგმანი</b>	
მზია ბურჯანაძისა .....	19
<b>გოლი თარაყის სიტყვების გემო, ანი ლაზვიაშვილი.....</b>	<b>36</b>
<b>ემოციურ-ასოციაციური ფენომენი გოლი თარაყის ლირიკულ პროზაში, მზია ბურჯანაძე .....</b>	<b>40</b>
<b>გოლი თარაყის ქართული ბიბლიოგრაფია, მოამზადა</b>	
თეა შურლაიამ .....	48

### იბრაჰიმ ალ-ქუნი

<b>იბრაჰიმ ალ-ქუნი, დარეჯან გარდავაძე .....</b>	<b>53</b>
<b>იბრაჰიმ ალ-ქუნის თარგმნის პროცესი (ელიოტ კოლა), თარგმანი</b>	
ანა ოთხოზორიასი .....	56
<b>ინტერვიუ იბრაჰიმ ალ-ქუნისთან, თარგმანი დარეჯან გარდავაძისა .....</b>	<b>59</b>
<b>იბრაჰიმ ალ-ქუნის საუბარი ლუიზიანას სატელევიზიო გადაცემაში,</b>	
თარგმანი ლია ლონდარიძისა .....	63
<b>იბრაჰიმ ალ-ქუნი, მაგები (ნაწყვეტი რომანიდან), თარგმანი</b>	
დარეჯან გარდავაძისა .....	66
<b>ენა (კრებულიდან „დერვიშის შემოდგომა“), თარგმანი</b>	
დარეჯან გარდავაძისა .....	80
<b>დაკრძალვა, თარგმანი იზოლდა გრძელიძისა .....</b>	<b>87</b>
<b>იბრაჰიმ ალ-ქუნის ქართული ბიბლიოგრაფია, მოამზადა</b>	
დარეჯან გარდავაძემ .....	92

**ყდაზე: გოლი თარაყი და იბრაჰიმ ალ-ქუნი.**

ტირაჟი 50 (ორმოცდაათი) ცალი

რედაქტორი 593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com

სწავლული მდივანი 599160619; E-mail: nanio02@yahoo.com



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge